



11

СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО • SOVIET ART • SOWIET KUNST

საქართველო

საქართველო

1965

საქართველოს საბჭოთა კავშირი  
1965 წლის 25 თებერვალი




# საქართველო საბჭოთა კავშირი


თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
ქინო  
კაჩიბაქაძე  
ქოჯობაძე

საბჭოთა კავშირის საბინიზატოს  
პროპაგანდის განყოფილება



1965





დავით კაკაბაძე

წალერი. 1919 წ. (შეყვანება პირველად)

← ი. რეზინი

გერმელი სურათისათვის „გამომყე, სატანა“ 1901 წ. (დახატულია  
საზაბატრო აკადემიის მოსწველუ მოსე თოიძე. შეყვანება პირველად)  
ოსტროგორსკის ი. კრამსკოის სახ. გალერეა

მთავარი რედაქტორი — ოთარ ეგაძე

ს ა რ მ დ ა ქ ც ი ო კ ო ლ მ ე ბ ი ა: შალვა ამირანაშვილი,  
გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი,  
ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე,  
ვანო წულუკიძე.



ვ. სეროვი  
სივანლის მთოდონში

კრიესერ „აგრორას“ გასროლამ გავანტა წყველიანის ღრუბლები, დაამსხვრია ადამიანის უფლებრივი შესლდვის ჯოჯოხეთური მანქანები, ცარიზმის ციხეები და ბორკილები. მოსამ მტაკებლები, მეტეახორები და ყველა ჯურის მნაგერელები, მიწასთან გაასწორა ყოველივე დრომოტმული და მსოფლიოს აუწყა ისტორიის ახალი ერის დასაწყისი.

იმ ისტორიულ დღეს საფუძველი ჩაეყარა თავისუფალი შრომისა და შემოქმედების სამყაროს.

ნათელი აწმყოსაკენ მიმავალი სახელგონანი გზა განვლო რევოლუციურმა საბჭოეთმა ოქტომბრის დილიდან მოყოლებული — დღევანდელ დღემდე.

რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩვენი ხალხის ლეგენდარული ვაჟკაცობის, სიქველისა და კეთილშობილების ეპიზოდები დარჩება, როგორც განუმეორებელი გმირობის ნიმუშები, რომლის ბადალი არ ასოსეს კაცობრიობის ისტორიას.

დაიდი გამარჯვებით შთავონებული შემოქმედებითი შრომის ადამიანები გიგანტური ტემპებით შეუდგნენ ნათელი მომავლის ქედვას. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შენებას. ისტორიული დროის მცირე მონაკვეთში ჩვენი მრავალეროვანი საშობლო საუკუნეებით ჩამორჩენილი, პრიმიტიული, აგრარული მეურნეობის ქვეყნიდან მსოფლიოში ერთ-ერთ მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა, რომლის დროშა შრომისა და თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის, მშვიდობისა და ბედნიერების სიმბოლოდ იქცა ჩვენი პლანეტის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანისათვის. სულიერად ამაღლდა და გამდიდრდა ადამიანი, შეიკვალა მისი დამოკიდებულება მატერიალური და კულტურული ფასეულობისადმი. დიდი სოციალური და ეკონომიური გარდაქმნები განხორციელდა ქვეყნის საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

წელს დიდი ზომით აღინიშნა დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიანზე გამარჯვების ოცი წლისთავი. ამ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით ძლევამოსილმა საბჭოთა ხალხმა კიდევ ერთხელ გეჩიგნა ჩვენი სახელმწიფო წყალობების სიმძლავრე და დამაპტიცა, რომ „მსოფლიოში არ არსებობს ძალები, რასაც შეეძლოს სოციალისტური საზოგადოების წინსვლითი განვითარების შეჩერება“.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამერვე წლისთავს ჩვენი საშობლო საყოფელთაო-სახალხო აღმაგლობის ვითარებაში ეგებება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებების ცხოველმყოფელი და მაორგანიზებელი ძალის შემოქმედებამ განაპირობა ჩვენი სახელგონანი მუშათა კლასისა და საკომლუურნეო აგეობის ჯერ არნახული, ჯერ არგავონილი შრომითი წარმატებები. ამ პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით შთავონებული საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შემართება ცხოველი ინტერესით წარმართავს მრეწველობის მართვის გაომჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისათვის ღაშქრობას.

უდიდესი შრომითი აღმაგლობით შეხვდა ქართული ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის მოწვევის ცნობას.

რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომლებმა გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს, ისინი აღართოვანებით ჩაეხუნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმაგლობისათვის გაშლილ, ყრილობისწინა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა აკვლიავს

# ღიალი ოქტომბრის გზით

თენგიზ ბილიხიძე



ველი რომაელების პანთეონში განთავსდა ქალღმერთად წარმოდგენილია ახალაზრდა ფრთოსანი ქალი აგრორა, რომელიც მოიღვარე ცხენებშეშობული ეტლით ამოდის ოკეანედან. მისი სახელი ცისკრის, რიჭაჟის სინონიმაც არის და განახლების, მომავლის იმედის სიმბოლოც.

სიმბოლიკა 1917 წლის სუსხიან შემოდგომაზე ფინეთის ყორიში, ბალტიის ზღვის ტალღებზე მოტივტივე „აგრორას“ ხალხით გათენებული ისტორიული „25 ოქტომბერი“.

ღირსეული მაჩვენებლებით შეზედნენ პარტიის მომავალ პროლოგს.

სიამაყის გრძობას ბადებს ქართველი მერაიებისა და მევენახეების წინასაოქტომბრო შრომითი წარმატებები, ყურძნის სარეკორდო მოსავლი.

საბჭოთა ქვეყნის საამაყო მიღწევებში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჩვენი ინტელიგენციამ — მეცნიერებმა, ლიტერატორებსა და ხელოვნების მოღვაწეებმა.

ახლა, როცა ადამიანთა ხელში თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მონაპოვარი, როცა მთელი სისრულით გამოვიღინდა მასების შრომითი და შემოქმედებითი ენერჯის პოტენციური ძლიერება, მხატვრული ინტელიგენციის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა. იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს კომუნისმის მშენებლების იდეურ-მორალურ აღზრდას, მისი გემოვნების განვითარებას, ჩვენი საზოგადოების სულიერი სიმდიდრის მასშტაბების გაზრდას.

სილაშავე, მშენებერება ყველანა და ყველაფერში საბჭოთა ადამიანების არსებით მოთხოვნილებად იქცა. ეს საყოველთაო სახალხო მისწრაფება ჩვენი საზოგადოების მზარდი კომუნისტური თვითშეგნების თვალსაჩინო მაგალითია.

საბჭოთა არქიტექტორებისა და მშენებლების ყოველდღიური შრომა მიმართულია იქითკენ, რომ მაქსიმალური მიზნერებულობა და სიმყარდროვე შექმნან მშრომელთა საცხოვრებელ ბინებში, ფართოდ დახვეწიან ბინის კეთილმოწყობის პრინციპები, ამაღლონ ხალხის გემოვნება. ყოფი სილაშაზისთვის იზრძიან ჩვენი მხატვრებიც. ახლა მხატვრული შემოქმედი მუშაკები არიან ყველან — საწარმოებში თუ საკოლმურხნეო კულტურის სახლებში, ქარხნებსა თუ სკოლებში... დიდი ყურადღება ექცევა მონარტი თათბის ესთეტიკურ აღზრდას. ახალგაზრდებს თავიდანვე მტკიცედ უნდა ჩაენერგოთ სინამდვილისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, მათ სულიერ მოთხოვნილებად უნდა იქცეს სწრაფვა იქითკენ, რომ ჩვენი ყოფის ყველა უნანვე მაღალი კულტურა დამკვიდრდეს.

ცნობილია თუ იდეოლოგიური ბრძოლისა და ესთეტიკური აღზრდის საკითხში რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება თეატრს. მითუმეტეს საბჭოთა თეატრს, რომელსაც გააჩნია რა თავისი საკუთარი დიდი გამოცდილება, ღირსეულად ამაყობს არა მხოლოდ განკლდოვი სახელოვანი გზით, არამედ ახალ-ახალი მიღწევებითაც. ახლა, როცა ლიტერატურასა და ხელოვნებაში ასე მწვავედ დგას ტრადიციებისა და ნოვატორიბის საკითხი, საბჭოთა თეატრი სულ უფრო მეტად ისწრაფვის ცხოვრების მხატვრული ასახვის გაბედული ნოვატორიბა შესაფერისად შეუთავსოს მსოფ-

ლიო კულტურის პროგრესული ტრადიციების განვითარებას და გათქვენებას, სულ უფრო მეტი სრულყოფით გამოხატვის ახალი სამყაროს მძებნებელი ადამიანის სახე, რაც შიავარია, ასახოს თანამედროვეობა თავისი მრავალმხრივობით, თავისი პროგრესული განვითარებით, თანამედროვეობა მშვიდობის, კაცობისა და დემოკრატიზმის არსებით პრობლემებით.

რევოლუციის კარიშხალში დიარწა საბჭოთა კინოხელოვნების აკანი, იმთავითვე რევოლუციის იბოჰპარი სული და ძლიერი შთქქვა დასკვა ჩვეს კინოფილოებს. ენი, ხელოვნებათა სფერის „ყველაზე მასობრივი, ყველაზე მნიშვნელოვანი“ ხელოვნება, იქცა იდეოლოგიური ირძილის უძლიერეს იარაღად. ჩვენი კინოხელოვნების ნაწარმოებებისათვის უცხოა ადამიანის ფრიოდისტურული ქვეცნობიერი სამყაროდახ ჰვერება, „დედრამატოზიასი“ და „დეგეროიზაციის“ ყალიბი „თეოიოები“. რეალისტური, ხალხის ცხოვრების ასახველი მართალი საბჭოთა ფილმები დღეს მსოფლიოს მრავალმლიონიან მაყურებელს ეუბნებიან სიმარტეს ჩვენი ქვეყანაზე, ადამიანებზე, დიდი ოქტომბრის მოხაოვარზე, ქადაგებენ საბჭოთა ჰუმანიზმის მაღალ იდეებს, სხვადასხვა ერის შვილთა შობას, მეგობრობას, იზრძიან ხალხთა მშვიდობისათვის.


ქართული საბჭოთა კინოხელოვნებას არასოდეს ანდა პროვინციული კარჩაკეტილობის დალი. ახლა ჩვენს ფილმებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უჩვენებენ და ისინი, როგორც ყოველთვის გამარჯვებული გამოდიან დიდ საერთაშორისო კინოფესტივალებზეც.

დღეს, როცა საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგის შემოქმედებითი მუშაკები გაცხოველებით ემზადებიან ორი უმნიშვნელოვანესი თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და გ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, როცა მოვლენებს გაეცქერით ამ მოახლოებული ორი დღესასწაულის სიმაღლიდან, კიდევ უფრო იზრდება ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის — მხატვრების, მოქანდაკეების, რეჟისორების, მსახიობების, კომპოზიტორებისა და ყველა შემოქმედებითი ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ხალხისა და პარტიის წინაშე.

ქართველი ხალხი, საქართველოს მშრომელები, — მუშები და კოლმურხნენი, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, მოსამსახურენი და მოსწავლენი შემდგომშიც დაიდი კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ მტკიცედ იდგებიან ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გასამტკიცებლად, კომუნისმის გამარჯვების მოსახლოვებლად.

### 3. კუზნეცოვი

სოლნი ოქტომბრის დღეებში





თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ზაგვიანებისა თანამედროვე პერიოდში იდეოლოგიური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, ცხოვრებასთან მათი მჭიდრო კავშირის განხორციელება კომუნისტური პარტიის ყოველდღიური საქმიანობის დამახასიათებელი თავისებურებაა.

გ. ი. ლენინის მითითებამ, რომ კომუნისზმის სრული გამარჯვება შესაძლებელია ყველა მშრომელის პოლიტიკური შეგნებულობის, შრომითი აქტიუობისა და კულტურული დონის მძლავრი აღმაგლობის პირობებში, თავისი გამოხატულება პოეზა პარტიის პროგრამაში: „კომუნისზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო მძლავრი ფაქტორი ხდება. რაც უფრო მაღალია საზოგადოების წევრთა შეგნება, მით უფრო სრულად და ფართოდ ვითარდება მათი შემოქმედებითი აქტიუობა კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, შრომის კომუნისტური ფორმებისა და ადამიანთა ახალი ურთიერთობის განვითარებაში და, მასთანადავს, მით უფრო სწრაფად და წარმატებით წყდება კომუნისზმის შეგნებულობის ამოცანები“<sup>1</sup>.

კომუნისზმის მშენებელთა რიგებში თავისი ადგილი აქვს მიჩენილი საბჭოთა მწერლობას, იდეური შემოქმედების ისეთ ქმედით საშუალებას, როგორც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა და ხელოვნება.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, პირველად მსოფლიო აზროვნების ისტორიაში, მეცნიერულად განმარტეს ლიტერატურისა და ხელოვნების არსი, განსაზღვრეს მისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მოგვცეს მისი როლისა და შინაშენლობის მეცნიერულ-მატერიალისტური გაგება და ჩამოაყალიბეს მისი ისტორიული ამოცანები. ლიტერატურა და ხელოვნება საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა, ადამიანთა სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი სპეციფიკური დარგია. იგი ადამიანისაგან დამოუკიდებელი ობიექტური სინამდვილის მხატვრული ფორმით ასახავს წარმოდგენს. ამ აზრით ლიტერატურა და ხელოვნება ექვემდებარება იგივე კანონზომიერებებს, რასაც საერთოდ ექვემდებარება საზოგადოებრივი ადამიანის ცნობიერება. მაგრამ, მეორეს მხრივ, მარქსიზმი იმასაც მიუთითებს, რომ ადამიანთა შემოქმედების მხატვრული ფორმები, როგორც სინამდვილის ასახვის სპეციფიკური ფორმები, შეუძლებელია აიხსნან თვით ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების შინაგანი კანონებით. მხატვრული შემოქმედება ორგანულად დაკავშირებული ცოცხალ ცხოვრებასთან, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებებთან. ლიტერატურა და ხელოვნება აღმოცენდება და ვითარდება მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში და ამიტომაც განიხილება იგი, როგორც სოციალური კატეგორია.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ლიტერატურასა და ხელოვნებაზე საზოგადოების განვითარების მატერიალისტური გაგებიდან გამომდინარეობს და მასში პოულობს იგი თავის ორგანულ საყრდენს.

საზოგადოებრივი აზრის განვითარების მთელი ისტორია პრაქტიკულად ასაბუთებს, რომ მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმის გარეშე, ისტორიის მატერიალისტური გაგების

<sup>1</sup> სკკპ XII ყრილობის მასალები, გვ. 505-506.

## პარტიის

## საესხატპრო

## პოლიტიკა და

## ხელოვნება

გივი ფანჩულიძე



საბჭოთა ხალხი, მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით ასორციელებს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას. ძირითადი ისტორიული ამოცანა, რომელიც პარტიის მიერა დასახული საბჭოთა ხალხის წინაშე, ესაა კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და ახალი ადამიანის აღზრდა.

იდეურ-აღზრდელბობით მუშაობა პარტიას კომუნისზმის მშენებლობის ძირეული ამოცანების გადაჭრის უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიაჩნია და სწორედ ამიტომ დიდ ყურადღებას უთმობს მშრომელთა, უწინარეს ყოვლისა, მოზარდი



გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა, როგორც საზოგადოების ისტორიის განხილვისთვის სწორი, მეცნიერული ახსნა, ასევე საზოგადოებრივი იდეების, თეორიების, წარმოდგენებისა და შეხედულებების წარმოქმნისა და განვითარების ურთულესი პრობლემის გადაწყვეტაც.

მარქსიზმის აღმოცენებამდე ვერცერთმა ფილოსოფიურმა სკოლამ ვერ შესძლო ამ პრობლემის არაფერ თუ მართებულად გადაჭრა, არამედ თითქმის სწორად დაყენებულ კი. იდეალისტი სოციალდემოკრატები და ლიტერატურაშიცოდველებისთვის ადამიანთა აზრები, იდეები, მეცნიერული თუ მხატვრული შეხედულებები და, საერთოდ, მთელი ცოდნა ის განსაპირობებელი, საბოლოო საფუძველია, რომელზე დაყრდნობითაც მიემართება კაცობრიობის მატერიალური და სულიერი ისტორიის განვითარება. ისტორიის იდეალისტური გაგება იმაში მდგომარეობს, რომ იგი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობებისაგან დამოუკიდებელ თვითმპარ პროცესად თვლის და იდეების, თეორიების, მეცნიერული და მხატვრული შეხედულებების განვითარებას, მის საფუძველს თვით იდეებში ეძებს.

საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში პირველად მარქსიზმმა შესძლო აღმოეჩინა და მეცნიერულად დადასტოვებინა ისტორიული მატერიალიზმის კარდინალური დებულება, რომ საზოგადოების ისტორიის განვითარების მამობრავებელი ძალა თვით საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში, ადამიანთა მიერ მატერიალური დოლადაის მოპოვების წესში, წარმოების წესში უნდა ვეძებოთ. კ. მარქსმა მიუთითა, რომ „თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალური წარმოებულ ძალათა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური შედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება“.

წემოთქმულიდან ის დასკვნა გამოიმდინარეობს, რომ ერთის მხრივ, შეუძლებელია მეცნიერების, ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების და იდეოლოგიის სხვა ფორმების განვითარება თვითმპარ პროცესად წარმოებისაგან და მათი განვითარების საფუძველი თვით მათშივე ვეძებოთ. პირიქით, ამ იდეოლოგიურ ფორმათა ფესვები საჭიროა ვეძებოთ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებაში, მათს კლასობრივ ურთიერთობაში, წარმოების წესში, და მეორეს მხრივ, არ შეიძლება საკითხის ისე გაუბრალოება და გაგულგარება, რომ ყოველგვარი იდეოლოგიური მოვლენა, თუნდაც ჩვენი ლიტერატურული უშუალოდ წარმოებიდან, ან კიდევ ეკონომიკიდან გამოიყვანოთ. ბერძნულენოვანი ფორმულა იმის შესახებ, რომ იდეოლოგიურ მოვლენათა სასიასი თითქმის უშუალოდ წარმოების დონე, ტექნიკის მდგომარეობა განსაზღვრავდეს, მცდარია და მი-

უღებელია. ყველაფერი ეს აშკარად ჩანს მხატვრული ლიტერატურის, როგორც იდეოლოგიის ერთ-ერთი ფორმის მხატვრულით.

1894 წელს ფ. ენგელსი წერილში კ. შტარკენბურგისადმი აღნიშნავდა: „პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური, რელიგიური, ლიტერატურული, მხატვრული და სხვ. განვითარება ეკონომიურ განვითარებას ემყარება, მაგრამ ყველა ეს გაგონება ახდენს აგრეთვე ერთი მეორეზე და აგრეთვე ეკონომიურ განვითარებას. სამეცნიერო სკი არ არის, რომ ეკონომიური მდგომარეობა არის ერთადერთი აქტიური მიზეზი, ხოლო სხვა ყველა დანარჩენი მხოლოდ პასიური შედეგია. არამედ ეს არის ურთიერთშემოქმედება იმ ეკონომიური აუცილებლობის საფუძველზე, რომელიც საბოლოო ანგარიშით მუდამ ხორციელდება“.

ლიტერატურის საზოგადოებრივი ცხოვრებასთან მიმართების პრობლემა ერთ-ერთი უძირთავდესია ლიტერატურის მარქსისტულ თეორიაში. ეს პრობლემა სრულად მოიცავს ლიტერატურის თეორიის თითქმის ყველა ძირითად მხარეს, მის ყველა ნაწილს, ამიტომ ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე შეძლებულია საკითხის დასმა და მსჯელობა ლიტერატურის თეორიის სხვა საკითხებზე.

ლიტერატურის მეცნიერულ თეორიას მიაჩნია, რომ ლიტერატურა ყოველთვის და ყოველ პირობებში დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. იგი თავისი არსებით და მოქმედებითა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და არ არის განუყოფელი საზოგადოებაში არსებული კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის მიმართ. მაგრამ იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრება, კლასთა ურთიერთდამოკიდებულება და კლასობრივი ბრძოლის პირობები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში სხვადასხვანაირია, ამიტომ ლიტერატურის კავშირი სინამდვილესთან სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში სხვადასხვაგვარია. ფ. ე. ლიტერატურის განვითარებას, მის კავშირს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან თავისი ისტორია აქვს და თუ ვესურს მისი სოციალური ბუნების მეცნიერული არსი გავიგოთ, იგი უცილებლად ამ ცვალებადობასა და განვითარების პროცესში უნდა განვიხილოთ.

სინამდვილის მხატვრული ასახვა, მხატვრული შემოქმედება ადამიანთა მთელი სულიერი მოღვაწეობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ საზოგადოების განვითარების ადრულ საფეხურზე, როდესაც ლიტერატურა, როგორც სულიერი მოღვაწეობის თავისებური სფერო, არ იყო გამოყოფილი იდეოლოგიის ცალკე დარგად, იგი უკავშირდებოდა არა მარტო სულიერი მოღვაწეობის სხვა დარგებს, არამედ ადამიანთა მოღვაწეობის მთლიანად. შრომის დანაწილება და ფიზიკური საკან განხორციელება შრომის გამოცალკევება ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო იმისა, რომ იდეოლოგიურ ფორმებსა და მათ შორის ლიტერატურასაც ცალკე, შედარებით დამოუკიდებელი, კონკრეტული სახე მიეღო.

ლიტერატურა და ხელოვნება საზოგადოებრივი პრაქტიკის კერძო სახედ იქცა საზოგადოების განვითარების შედეგად, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო შრომის დანაწილების ის-

2. კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი 1953 წ. გვ. 10.

3. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩვეული წერილები, თბილისი, 1949 წ. გვ. 518.

ტორიულად განსაზღვრული საფეხურით. საზოგადოებრივი განვითარება საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიფერენცირებას ახდენს, ხდება მატერიალური და სულიერი წარმოების შეფარდებითი გათიშვა და თვით სულიერი მოღვაწეობის სფეროც დიფერენცირდება იდეოლოგიის სხვადასხვა დარგებად. ამრიგად, თვით ადამიანთა პრაქტიკა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ხდება.

მასასადავმ, ლიტერატურა როგორც ობიექტურია, ისე სუბიექტურია მხრივ, წარმომადგენელი ადამიანთა საზოგადოებრივი პრაქტიკის განვითარების საფუძველზე და ამასთან იგულისხმება, რომ სინამდვილის ადამიანური შექმნება და თვით საზოგადოებრივი პრაქტიკის მრავალმხრივობა ისეთი ფაქტორებია არიან, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ლიტერატურის წარმოშობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურა თავის შინაარსით და ფორმით არა მარტო დამოკიდებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არამედ იგი, როგორც ადამიანთა სულიერი მოღვაწეობის ერთ-ერთი ფორმა, წარმოადგენს მისი განვითარების ნაყოფს, საზოგადოების სოციალური განვითარების შედეგს.

მაგრამ ლიტერატურის სოციალური არსის გასარკვევად არა კმარა მხოლოდ იმაზე მითითება, რომ ლიტერატურა სოციალური განვითარების ნაყოფია; საჭიროა რეალურად ყოველსა, გაიჩვენეს საკითხი ლიტერატურის, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმის, ადგილისა და როლის შესახებ და სხვ. საზოგადოებრივ მოვლენათა რიგში. ეს საკითხი უშუალოდ ემება პრობლემას ლიტერატურის დამოკიდებულებისა საზოგადოებრივ ზედნაშენთან.

საკითხი ისმის: არის თუ არა ლიტერატურა ზედნაშენური მოვლენა, თუ იგი საზოგადოებრივი ფენობენია, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს არც ბაზისს, არც ზედნაშენს. ამ საკითხზე ორი თვალსაზრისი არსებობს. ერთი ლიტერატურას მიიჩნევენ გარკვეულ, მოცემული ეკონომიური ბაზისის შესაბამისი ზედნაშენის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, კომპონენტად, ე. ი. ზედნაშენურ მოვლენად, ხოლო მეორენი მას ყოველგვარი ზედნაშენისაგან დამოუკიდებლად თვითმყოფად მოვლენად აცხადებენ. ჩვენ არ შევადგებთ აღნიშნულ თვალსაზრისთა გამოკვლევას, შევკვირვებით მხოლოდ საკუთარი შეხედულებების გადმოცემას ამ საკითხზე.

თავიდანვე რომ ნათელი იყოს ის, რის დასაბუთებასაც შევუძლებით, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ უმართებულოდ ვთვლით ლიტერატურის არაზედნაშენურ მოვლენად მიჩნევას. მაგრამ რას ნიშნავს იმის აღიარება, რომ ლიტერატურა ზედნაშენური მოვლენაა? სასებით უდავოა, რომ ლიტერატურაში, ლიტერატურულ ქმნილებებში არც თუ ისე ცოცხალ ისეთი რამ, რაც ნამდვილად არ შეიძინა ზედნაშენში. ლიტერატურაში ძნელი არ არის არაზედნაშენურ ელემენტთა პოვნა. თუ მხედველობაში მივიღებთ, სხვას რომ ყველაფერს თავი დაავანებთ იმას, რომ ენის გარეშე არ არსებობს ლიტერატურა, დაგრწმუნდებით, რომ არაზედნაშენურ (ამ შემთხვევაში ენის) ელემენტთა როლი ლიტერატურაში უაღრესად მნიშვნელოვანია. მაგრამ ასეთი რეალისტურა არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ლიტერატურა არაა ზედნაშენური მოვლენა. ასე რომ ყოფილიყო არც ფილოსოფია და სხვა მეცნიერებანი უნ-

და ჩაგვეთვალა ზედნაშენურ ფენომენებად, რადგან ფილოსოფია ხომ არ არსებობს ენის, ე. ი. არაზედნაშენური მოვლენის გარეშე. საკითხს რაიმე მოვლენის ზედნაშენობასა თუ არაზედნაშენობაზე ვერ გადაწყვეტს მისი ამა თუ იმ შემადგენელი ელემენტის ზედნაშენური ან არაზედნაშენური ხასიათი. საჭიროა გათვალისწინებელი იქნას მიცემული მოვლენა (ჩვენს შემთხვევაში ლიტერატურა), როგორც გარკვეული ფენოსობობობა, მთლიანად, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა და როდესაც ხელოვნებას განვიხილავთ არა ცალკე ელემენტების მიხედვით, არამედ როგორც ერთიან მთლიანს, როგორც ერთიან საზოგადოებრივ მოვლენას, მაშინ მისი ზედნაშენური ბუნების საკითხი უფრო ნათლად და გარკვევით წარმოგვიდგება.

მარქსიზმი ახსნის, რომ ბაზისი არის საზოგადოების ეკონომიური წყობა მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, ხოლო ზედნაშენი — საზოგადოების პოლიტიკური, უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური და სხვ. შეხედულებანი და მათი შესაბამისი დაწესებულებანი. საზოგადოებრივი ზედნაშენის სპეციფიკად მარქსიზმს ის მიაჩნია, რომ იგი ბაზისს ემსახურება პოლიტიკური, იურიდიული, ესთეტიკური და სხვ. იდეებით და ქმნის საზოგადოებისათვის ამ იდეების შესაბამის დაწესებულებებს.

ამგვარად, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მიხედვით, საზოგადოებრივ ზედნაშენში, სხვებთან ერთად შედის მხატვრული შეხედულებები, ესთეტიკური იდეები და ამ იდეების შესახებ დაწესებულებები. ეს კი, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურა და ხელოვნება მთელი თავისი ძირეული შინაარსით ზედნაშენში შედის. ეს იმიტომ, რომ მხატვრული შეხედულებები, ესთეტიკური იდეები, რაც მარქსიზმის კლასიკოსთა მიერ ზედნაშენურ მოვლენათა რიგშია მოქცეული, იქნებოდა არა ხელოვნებასა და ლიტერატურისაგან დამოუკიდებლად, არამედ თვით ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველ ქმნილებაში ადამიანის სინამდვილესთან დამოკიდებულება აისახება იმდენად, რამდენადაც ხელოვნება სინამდვილეს ასახავს და ის ზოგადი, რაც ლიტერატურასა და ხელოვნების მხატვრული სახეებით გამოითქმება, არის სწორედ საზოგადოების მხატვრულ შეხედულებებსა და ესთეტიკური იდეების ძირეული საფუძველი, ე. ი. მხატვრული შეხედულებები და ესთეტიკური იდეები, რომელთა ზედნაშენური ხასიათი არავისძინ უნდა არ იწვევს, სხვა არაფერია თუ არა ხელოვნებისა და ლიტერატურის ქმნილებების გააზრება და განზოგადება. ესეც რომ არ იყოს, გაუგებარი იქნებოდა თვით მხატვრულ შეხედულებებსა და ესთეტიკური იდეების არსება, თუ მათ ლიტერატურასა და ხელოვნებას მოვწყვედით. გაუგებარი იქნებოდა ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, რაც მხატვრული იდეების წარმოებაში მდგომარეობს. რისთვისაა ქმნის საზოგადოება ლიტერატურასა და ხელოვნებას? იმისათვის, რომ ისინი მას მოემსახურონ მხატვრული იდეებით, დაემკაცოფონ მისი ესთეტიკური მოთხოვნები, გააღრმავოს მისი ინტელექტი, მაგრამ რა, ან ვინ ემსახურება საზოგადოებას მხატვრულ შეხედულებებითა და ესთეტიკური იდეებით? ლიტერატურისა და ხელოვნების თეორეტიკოსები?



ფილოსოფოსები? თუ თვით ლიტერატურა და ხელოვნება თავისი ქმნილებებით? რა თქმა უნდა — ლიტერატურა და ხელოვნება თავისი მრავალფეროვანი დარგებით.

მასმასამე, ამით ჩვენ იმას ვამბობთ, რომ მხატვრულ შეხედულებებსა და ესთეტიკურ იდეებში, რომლებიც მარქსიზმის ლიტერატურაში ზედწაშენურ მოვლენებად არიან მიჩნეული, უნდა ვიკვლით მათი ხელოვნება და ლიტერატურის მთავარი, ძირითადი შინაარსი, ის, რითაც და რისთვისაც არსებობს საერთოდ ხელოვნება და ლიტერატურა თავიანთი მრავალრიცხოვანი დარგებით.

მაგრამ, კანონზომიერად მივიჩნევთ რა ლიტერატურის ზედწაშენურ ხასიათს, ბუნებრივად წამოიჭრება ერთი წინააღმდეგობა. მარქსიზმი ასხნის, რომ ზედწაშენი პროდუქცია ერთი ეპოქისა, რომელშიც არსებობს და მოქმედებს ერთი ეკონომიური ბაზისი, ამიტომ ზედწაშენი არ არის უცვლელი, იგი ისპობა მოცემული ბაზისის მოსაზრებასთან ერთად: ამის შესაბამისად, თუ ლიტერატურა ზედწაშენური მოვლენაა, იგი უნდა ისპობოდ მოქმედებდეს ბაზისის მოსაზრებასთან ერთად. ეს რომ ასე იყოს, მაშინ სოციალისტური რეალობის ლიტერატურას უარი უნდა ეთქვას იმ ძვირფას მემკვიდრეობაზე, რაც მან ძველი საკაცობრიო კულტურისა და კერძოდ, ლიტერატურისაგან მიიღო. მაგრამ ამ წინააღმდეგობას ყოველგვარი აზრი ეკარგება, როდესაც საკითხისადმი მარქსისტულ მიდგომასთან გვაქვს საქმე. მარქსიზმი კი ასხნის, რომ საზოგადოების მხატვრული შეხედულებანი, ისევე, როგორც მისი ფილოსოფიური შეხედულებანი, წარმოადგენენ ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის, ან კლასის არა ურბლო სუბიექტური ინტერესების გამომხატველებს, არამედ ამავე დროს და ძირითადად სინამდვილის ობიექტური ასახვის ფორმები არიან. მართალია, ყოველგვარი ლიტერატურული ქმნილების ზოგადი იდეა გაბიზოტებულია ამა თუ იმ ეპოქის კლასობრივ მოთხოვნებში, მაგრამ საერთოდ ლიტერატურის ობიექტური შინაარსი (ან უფრო ხშირად ლიტერატურის შინაარსის ობიექტური მხარე), შეიცავს რა სინამდვილის სწორ ასახვას, გასწრეველად დამოკიდებულია კლასობრიობასთან. სწორედ ამასა და დაფუძნებული წარსული ეპოქების შემოქმედებით მიღწევითა მემკვიდრეობით გადაცემად მომდევნო ეპოქებზე. მაგრამ, მეორე მხრივ, ყოველი ამ ეპოქათანინ ისტორიულად განუპირობებელია, რადგან ისტორიულადვე განუპირობებელია გარკვეული ეპოქის საზოგადოების მატერიალური ცხოვრების წესობა, რაც შესაბამის საზოგადოებრივ ცნობიერებას განაპირობებს. ასე, რომ ანტიკურისა ალორძინება სხვა წყობილებასში შეუძლებელი ხდება, ისევე, როგორც შუა საუკუნეებისა და უფრო გვიანდელისაც, მაგრამ ყოველი მომდევნო მხატვრული ეპოქა წინამორბედი ეპოქის მხრებზე დგას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურისა, ისევე როგორც ადამიანის სულიერი მოღვაწეობის სხვა სფეროში ლიტერატურის განვითარების წინა ეტაპის შეცვლა, ამ ნიშნად, მარქსისტული მოძღვრების მიხედვით, არ ნიშნავს ძველისათვის შექანიკურად ხაზის გადასმას, მოსაზრებას; პირიქით, ეს გარემოება ძველის ღრმად და კრიტიკულად ათვისებაზე მიუთითებს, სწორედ ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა ძველ პროგრესულ მემკვიდრეობის კრიტიკულ ათვისებაზე.

მასმასამე, ამ ნაწილში დასკვნის სახით რომ ვთქვათ ზედწაშენის ლეგიტიმაცია შესაბამის ბაზისის ლეგიტიმაციათან ერთად, ლიტერატურისათვის არ მოსაწყვეს ფორიკურად განადგურებას, მის მოსაზრებას. ზედწაშენის შეცვლა აუცილებლობით მოჰყვება მხატვრული ზედწაშენის შეცვლა, მაგრამ ეს გავტეული უნდა იქნას შემდეგნაირად: ზედწაშენის მოსაზრებასთან ერთად ისპობა არა ლიტერატურა საერთოდ, არამედ ლიტერატურის საზოგადოებასთან დამოკიდებულების მანამდე არსებული ფორმები და სისტემები, რაც შეუსაბამი ხდება ასახლი ისტორიული პირობებისათვის.

საზოგადოებრივი ბაზისისა და მისი შესაბამისი ზედწაშენის შეცვლა ლიტერატურის პროგრესული იდეათა მოსაზრებას რომ არ ნიშნავს არც ფორმით, არც შინაარსით, ამას ასახულებს ლიტერატურის განვითარების მიოლი ისტორია — ჰომეროსი, დანტეს, რუსთაველის, შექსპირის, გოეთეს, პუშკინის და სხვათა მხატვრული ქმნილებანი, რომლებსაც არამც თუ არ დაუკარგავთ ჩვენზე უსტიტიკური შემოქმედების უნარი დღევანდელ პირობებში, არამედ, პირიქით, უძვირფასეს განაძად შედინ ჩვენი თანამედროვე კულტურის საგანურში და ამასთანავე აღზრდის შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენენ. როგორც საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტი, საზოგადოებრივი ზედწაშენის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი უაღრესად დიდ გარდამქმნელ შემოქმედებას ახდენს თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მაგრამ ეს ითქმის არა ყოველგვარი ლიტერატურაზე, არამედ მხოლოდ იმ ლიტერატურაზე, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან და სიმართლით გამოხატავს მის ჭირასა და ლხინს.

მარქსიზმის ფუნდამენტლები ჭეშმარიტ რეალისტურ ქმნილებად მიიჩნევენ ისეთ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიც ცხოვრების სიმართლად და იღვრება ერთ მილიანობაში იქნეობად მოცემული. მათი აზრით, მხატვრული ნაწარმოებია ავგარკარიანობის დადგენისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად მართებულად არის ასახული რეალური სამყარო მის კონკრეტულ-ისტორიულ განვითარებაში.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მკაცრად აკრიტიკებდნენ მწერლის მიერ ცხოვრების სინამდვილის უგულვებელყოფის ცდას, მოგვლენათა ასახვას მათი განვითარების ისტორიულ-კონკრეტული პირობების გათვალისწინებლად, რაც საბოლოოდ აპირობებს, რეალისტური პოზიციებიდან გადასხვევას. აღსანიშნავია, რომ ფ. ენგელსი ბალზაკის შემოქმედების შეფასების დროს მისი ნაწარმოებების მხატვრულ ღირსებასთან ერთად განსაკუთრებით აღნიშნავდა მათ შემქმნებით მნიშვნელობას. „ბალზაკი, რომელსაც მე რეალიზმის გაცლიებით უფრო დიდოსტატად ვეძლი, — აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — ვიდრე წარსულის, აწმყოს და მომავლის ყოველგვარ ზოლავებს, „ადამიანურ კომედიამი“ გვალღვეს საფრანგეთის საზოგადოების ყველაზე უფრო შესანიშნავ რეალისტურ ისტორიას... საიდანაც თვით ეკონომიური მტკალების თვალსაზრისითაც კი უფრო მეტი გავიგე... ვიდრე ამ პერიოდის ყველა სპეციალისტის—ისტორიკოსის, ეკონომისტის, სტატისტიკოსის წიგნიბიდან ერთად აღებული“<sup>4</sup>. ამ ნათლადა მითითებული რეალისტურ

<sup>4</sup> კ. მარქსი ს. ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 518.



რი ნაწარმოების დიდ შემეცნებით მნიშვნელობაზე, მხატვრული ნაწარმოები, თუ მასში წარმოადა ასახული ეპოქის თავისებურებები, ფ. ენგელსის აზრით, წარმოადგენს საზოგადოების განვითარების ისტორიის შესწავლის შესანიშნავ წყაროს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების მიერ ლიტერატურის კლასობრივი არსის განმარტებას. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მეცნიერულად დასაბუთეს რა იდეოლოგიის კლასობრივი ხასიათი, მიუთითეს, რომ მწერალი არ შეიძლება გამომხატავდეს ამა თუ იმ კლასის, ან სოციალური ჯგუფის ინტერესებს, მწერალი თავის შემოქმედებით ხელს უწყობს, ან პირიქით იბრძვის გარკვეული კლასის ან საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ, რადგან მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც ადამიანის აზროვნებაზე ზემოქმედების უნარი გააჩნია, ხელს უწყობს გარკვეული იდეების, შეხედულებების დამკვიდრებას და გაგრძელებას, ან იბრძვის მათ წინააღმდეგ.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მწერლის როლისა და ადგილის გაკვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ აღორძინების ეპოქის შემოქმედებითი აზროვნების დახასიათებასა და ანალიზს. ფ. ენგელსი მიუთითებდა რა ამ ეპოქის პროგრესულ-რევოლუციურ ხასიათზე, აქედან გამომდინარე, მის განმსაზღვრელ თავისებურებად მიიჩნევდა მხატვრული აზროვნების მოწინავე თეორიისა და პრაქტიკის შერწყმას. აღორძინების ხანის ხელოვანთა ცხოვრება და შემოქმედება მიმდინარეობდა საყოველთაო რევოლუციურ ვითარებაში, რასაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა მოწინავე აზრის ჩამოყალიბებაში. სწორედ ამ დროს წარმოიშინა „შემგზავნი აზრის სიმძლავრით, ნაწარმითა და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით... მაგრამ, რაც მათთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია, ეს ის არის, რომ ისინი თითქმის ყველანი მათი დროინდელი მოვლენების შუაგულში ტრიალებენ, პრაქტიკულ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი, ამ თუ იმ პარტიის მხარეზე დგანან და ამასთან ერთად იბრძვიან, ვინ სიტყვით და ვინ კალმით, ვინ ხმლითა და ვინ კიდევ ორივეთი“<sup>5</sup>. საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალი, რევოლუციურ ბრძოლაში პრაქტიკული მონაწილეობა, ფ. ენგელსის აზრით, ბუნებრივად გამომდინარეობდა აღმაშენებელი ბურჟუაზიის კლასობრივი, იდეოლოგიური ტენდენციებიდან. სულ სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე ბურჟუაზიის გაბატონების, მისი რეაქციულ კლასად გადადგომის შემდეგ, როდესაც რევოლუციური განვითარებისათვის ბრძოლის ნაცვალად, ყველაფერი ერთ მიზანს — კაპიტალისტური მოგების მიზანს ემორჩილება. სწორედ ამ ვითარებაში წარმოიშვა ე. წ. „დამოუკიდებელი ხელოვნების“ და „შემოქმედების თავისუფლების“ ბურჟუაზიული თეორიები, რაც გაბატონებული კლასის რეაქციული ტენდენციების საფარს წარმოადგენს.

კაპიტალის ბატონობის ხანაში მწერალს ორი გზა აქვს.

ერთი — უდალატოს ხელოვანის ჭეშმარიტ მოწოდებაზე განუდგეს სინამდვილის სწორი ასახვის პრინციპს, აბსტრაქტულად და დამახინჯებულად წარმოასხოს ის, ხოტბა შესახას არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და მყოფე — დრამად გაერკვეს ცხოვრების სინამდვილეში, მართებულად ასახოს მოვლენათა მსვლელობა და განვითარება, მისი ტენდენციები, ამხილოს არსებული ყოფის ყოველგვარი მანკიერი ნიშანი. ამ შემთხვევაში ის ნების თუ უნებლიეთ პროგრესული ძალების სამსახურში დგება, საზოგადოების რევოლუციური განვითარების ინტერესებს ემსახურება. კლასობრივ საზოგადოებაში მწერლისათვის არ არსებობს რაიმე შუალევი, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან დამოუკიდებელი პოზიცია. სურს თუ არა ეს, თავისი შემოქმედებით იგი ობიექტურად დგება რომელიმე კლასის ინტერესების სამსახურში, ემსახურება მისი იდეური პოზიციების გამაგრებას.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ამხელდნენ რა იდეალისტური ესთეტიკის თეორიის სივალბეს განსაკუთრებით ხაზგასმით მიუთითებდნენ მხატვრული ნაწარმოების ტენდენციურობაზე და მწერლისაგან მოითხოვდნენ რევოლუციურ ტენდენციურობას, მოწინავე კლასის ინტერესებისადმი სამსახურს. აქედან გამომდინარე, განსაზღვრეს რა ლიტერატურის კარს, მისი როლი და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა განსაკუთრებით აღნიშნეს მისი აქტიური როლის შესახებ: „სოციალისტური ტენდენციური რომანი მთლიანად ასრულებს, ჩემი აზრით, თავის დანიშნულებას, სიმართლით ასახავს რა რეალურ ურთიერთობას, არღვევს რა გაბატონებულ პირობითს ილუზიებს ამ ურთიერთობათა ბუნების შესახებ, იწვევს ბურჟუაზიული სამყაროს ოპტიმიზმის შერყევას, ნერვავს ეჭვს არსებული წესწყობილების საფუძვლების უცვლელობაში“<sup>6</sup>. მარქსიზმის ფუძემდებლები ლიტერატურის ქმედით რეალის შეფასების დროს განსაკუთრებით მიუთითებდნენ ტენდენციურობაზე, რადგან კლასობრივ საზოგადოებაში დამოუკიდებელი, უკლასო იდეოლოგია არ არსებობს და არც ლიტერატურა შეიძლება დამოუკიდებელი იყოს.

ლიტერატურის საზოგადოებრივი როლის, მისი მოწოდების და დანიშნულების შესახებ კ. მარქსის და ფ. ენგელსის საპროგრამო დებულებები ახალ ისტორიულ ვითარებაში შემოქმედებითად განავითარა ვ. ი. ლენინმა.

ვ. ი. ლენინმა პირველმა ჩამოაყალიბა მარქსისტული ესთეტიკის ძირითადი დებულება ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის შესახებ, განსაზღვრა მათი დიდი შემოქმედებითი როლი სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების საქმეში. მოგვცა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების საპროგრამო დებულებები, ამასთანავე განსაზღვრა ის ორგანიზაციული პრინციპები, რომელსაც ყოველთვის ეყრდნობოდა და ეყრდნობა ჩვენი პარტია ლიტერატურული სამსახურში ხელმძღვანელობის დარგში.

<sup>5</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, „რჩეული ნაწარმები, ოპიკალი 1950 წლის, ტ. 1, გვ. 62-63.

<sup>6</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწარმები, ტ. 1, გვ. 9.


აკაკი

ხორავას

შეუსრულდა

70

წელი



უჩა ჯაფარიძე

აკაკი ხორავა — ოტელი

**ქ**ართული ტემპერამენტის ვენეციელი მავრი რუსულ სცენაზე თავის ტრაგიკულ ცხოვრებას ამთავრებდა. მღელვარებით სულგანაბლუ დარბაზს მშობლიურ თეატრშიც ვიყავი ჩვეული, მაგრამ ამჯერად, ქართული ენის არმცოდნეთა შორის, ადვილზე ვერ ვისვენებდი, მინდოდა ერდროულად ყველა სავარძელთან ვმდგარიყავი და თითოეული მაყურებლის განწყობილებით შემეხედა სცენისათვის... მინდოდა გამეგო, თუ ვინ როგორ განიცდიდა მას, რაც ჩემთვის დიდი ხანია განუსაზღვრელად მომხიბვლელ სანახაობას წარმოადგენდა. ლოდინი დიდხანს აღარ დამჭირდა. ერთსულოვან-

ნი ტაშის გრიალით ფეხზე წამოიჭრა მთელი დარბაზი. გაისმა აღფრთოვანებული შემახილი: ხორავა!.. ხორავა!.. თითქმის ოცჯერ გამოიძახეს იგი სცენაზე. თავშეკავებული ჩრდილოეთელების ფსოდენ სამხრეთულმა ოვაციებმა ზეადმიტაცა, სიამაყემ მძლია და რატომღაც მინდოდა ყველას გასაგონად შევევირა, რომ ის ვინც თქვენ ასე ძლიერ მოგხიბლათ თავისი ღრმა ვნებებითა და კეთილშობილებით, ადამიანური გრძნობებითა და აზრის სიძლიერით, რენესანსის ტიტანი კი არა ჩემი თანამემამულეა მეტი...

უცებ სახტად დავრჩი. მახლობლად უცხოელი ზანგი შეე-



ნიშნე. ისიც აღფრთოვანებული და გაამაყებული ჩანდა. ეჭვი არ იყო მასაც თავის თანამემამულედ მიანდა ოტგლო-ხორავა და განა მართო მას? ვგონობდი, რომ თვითუფლს ეგამაყებოდა ხორავას სახით თავისი თანამემამულის აღმოჩენა.

უფრო გვიან, როცა საფუძვლიანად გაეყვანი მის შემოქმედებას, დაგრწმუნდი, რომ ის საღამო შემთხვევითი არ ყოფილა. აკაკი ხორავას მსახიობური ხელოვნების მთავარი გამწვინდევლობა მის ინტერნაციონალოზმშია. ადამიანური განცდების, ამაღლებული იდეალების, სპეტაკი სიყვარულის, სიმამაცისა და მშვენიერების მომღერალი ერთნაირად გასაგები და ძვირფასია ყველა ერისათვის. ამით აისხნება ის დიდი პოპულარობა, რომელიც წილად ხვდა თავის დროზე მის მიერ განსახიერებულ ახალი დროის ადამიანებს — ბერსენეფსა და ან-ზორ ჩერბიეს. ამიტომაც აღნიშნავდა გაუთუე „პრავდა“ 1936 წელს, რომ ხორავას ქართველი კეთილშობილი არსენია, ახლობელ ადამიანად იქცა ყველა ეროვნების მაცურებლისთვისო, ხოლო ტირანის წინააღმდეგ აღმდგარმა მისმა კარლ მოთრმა და ჰუმანისტური იდეალების ერთგულმა პლატონ კრეჩეტმა ერთნაირად აღაფრთოვანეს გერმანელი, ინგლისელი თუ ამერიკელი ჟურნალისტები. ყოველივე მშვენიერისათვის მებრძოლმა ტრუბადურმა — სირანო დე ბერვერაკმა კი საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეს პიერ კოტს ათქმევინა: „შე ხომ ყველაფერი მესმის, თუმცა ქართული ენა არ ვიცი... ეს

ხომ წამდვლიად ჩემი სამშობლოა“. გარსია, სემიონ ლურსბიძე, გენერალი მურავიოვი, ივანე მრისახე, ოიდიპოსი, გიორგი სააკაძე... და რამდენი როლის დასახელება შეიძლება, რომლებმაც მაცურებლებს თუ ოტგლოსებრ აშკარად არა, აღფრთოვანებისა და პატივისცემის ნიშნად გულში მანინ „მოკრძალებით მიწამდე დაასრვეინეს თავი“ (კაჩალოვი).

მაინც რომ აისხნება ხორავას მსახიობური ხელოვნების ესოდენ დიდი შთამბეჭებლობა? თუ ვადაპირველად არც თუ ისე დიდი ყურადღება მიექცეის თვითოქმედი სცენიდან რუსთაველის თეატრში მისულ 27 წლის ჭაბუკს, რომელიც თავისი ხავერდოვანი ხმითა და ატლტეტური აგებულებით მაინც უნდა გამორჩეულიყო სხვებისაგან, მაგრამ სულ მაღე, როგორც კი იგი ამავე თეატრის ესთეტკურ იდეალებს უზიარა და „სიტკვა მოძრაობას შეუფარდა, ხოლო მოძრაობა სიტკვას“, მეტი შესატყობა მისცეს ჭაბუკს. ჭეშმარიტი ხელოვნება რომ სინამდვილის ბრმად გადამფერება არ არის, ეს კარგად იყოდა ხორავამ ჯერ კიდევ თავისი სცენური მოღვაწეობის დასაწყისშივე, როცა ლაერტის როლს ასრულებდა, ამავე დროს სისტემატურად ისმენდა კულისებში ჰამლეტის შექპირიხეულ რჩევა-დარიგებას რეალისტური თეატრის დანიშნულების შესახებ. მაშინ იგი „ჰამლეტის“ დამდგელთან ერთად უფრო მეტს გულისხმობდა თეატრის „ბუნების სარკედ გახლდამაში“, ვიდრე ეს ზოგიერთებს წარმოგვიანათ. ხორავას მტკიცედ სწამს, რომ შემოქმედი მხოლოდ ისაა, ვისაც შეუძლია ჩვეულებრივში ამაღლებული აღმოაჩინოს, ანუ, როგორც როდენი იტყოდა, ერთი ტონით უფრო მაღლა იმღეროს, ვიდრე ბუნებაშია. ხორავას შემოქმედების მახასიათებელი სწორედ ეს მაღალი ტონია, რომელიც არასდროს იქცევა უაზრო და არაბუნებრივ ყვირილად და ყოველივის ხაზს უსვამს ცხოვრების მშვენიერებასა და სიმართლეს. მსახიობი წინააღმდეგია, როგორც მსატკრები გამოსტყამენ, — სინამდვილის აბსოლუტური გადახატვისა. დამაჯერებლობისა და პოეტური შთაგონების რეალისტური პრინციპიც ხომ აქედან გამომდინარეობს. ხოლო თუ იგი გამონაკლის შემთხვევაში, ზოგჯერ დაბლაც დაშვებულა, ესეც ჭეშმარიტი შემოქმედის ხვედრია. სურათში რომ უფრო მკვეთრი გახდეს სინათლე, ჩრდილისა საჭირო. ხორავას შემოქმედებითა ჩრდილებმა (ლირი იქნება იგი თუ გლუვოვი) კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალეობა მიანიჭეს მის თვალსაჩინო როლებს. მისი გმირები — ცალთვალა გარსია (დ. ლიპსკეროვის „კარმენსიტა“), თუ ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“) სიცოცხლით სავსე ადამიანები არიან, რომლებშიც ჩვეულებრივი და ყოფითი აყვანილია დიდ სოციალურ განზოგადებამდე. სწორედ ეს არის მისი, როგორც მსახიობის, მონუმენტრობაც. ყოველივე ეს კი, ცხადია, შეუძლებელია დიდი ფანტაზიისა და შემოქმედებითი მგზნებარების გარეშე.

ანმეტელისა და, უფრო ადრე, მარჯანიშვილის სახით ხორავას ჰყავდა სწორი გზის მარჯნებელი მასწავლებლები, რომლებმაც მტკიცე დასაყრდენი მისცეს მის გმირულ-რომანტიკულ სტილსა და შესაბამის გამომსახველობით ზერხებს, მაგრამ ხორავა, როგორც შემოქმედი, საშუალო დონეს ვერ გასცდებოდა, რომ ის კლასიციზმის ეპოქის მსახიობის მსგავსად, ბრმად შეზღუდულიყო რაიმე წინასწარ შემუშავებული კანონებით და არ გაემდიდრებინა გმირულ რომანტიკულ სტილი





თავისი დიდი დიაპაზონით, ფსიქოლოგიური სიმართლითა და სიღრმით. თეატრის კორიფეების მიერ შთაგონებული ეს სტილი უთუოდ მოკედებოდა ზორავას პირველივე მსახიობურ გამარჯვებასთან ერთად (ანზორ ჩერბიცი), რომ ზორავა-ჩერბიცი დაკავშირებული ყოფილიყო მარტო იარაღსმული ქართველი კაცის ინტონაციის, ტემპერამენტის, რიტმული და პლასტიკური გამოხატვის გარეგნულ სახესთან. უთუოდ ამიტომ იყო, რომ ზორავას ბერმუხა — ტარიელ გოლუა ნაკლებად შეეწყო რუსთაველის თეატრის სცენაზე ვითომდა ახმეტელი-სეული სტილის მაგვარ სპექტაკლს, რომელშიც წინა პლანზე წამოვიდა არა შინაარსი, არამედ ფორმა გმირულ-რომანტიკულია.

ზორავას ყოველთვის სჯერა, რომ მაყურებელი გულგრილი დარჩება სცენაზე წარმოსახულისადმი, თუ მსახიობს არ შესწევს უნარი აღაგზნოს იგი იმ სიმართლითა და მღელვარებით, რომელიც არა მარტო გმირის ტიპიურ ჩვენებაში მდგომარეობს, არამედ არსებითი მოვლენის განზოგადებულ წარმოსახვაში.

ჯერ კიდევ 1926 წლამდე, თუ ზორავამ მთელი სრულყოფით ვერ გამოიყენა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი ისეთ როლებში, როგორც იყო: სერჯანტი — ა. ოდრონის



ა. ხორავა — სკანდერბეგი

მისი ოსტატობით აგზნებულმა დამფასებლებმა ერთმანდად აღუნიშნეს, რომ „არავის არ გამოუდის ისე კარგად გადასვლები შეკავებული ნელი მოძრაობიდან და მშვიდი, წყნარი, დაძაბული მეტყველებიდან სწრაფ ნახტომსა და სირბილზე, სასტიკ ან საზუიშო შეძახილზე, როგორც აკაკი ხორავას, რომელიც აიძულეს მაყურებელს წამოდგეს ადგილიდან“ („პირადა“, 1936 წ. 31 აგვისტო).

სახის გაადამიანურების ცდამ უზრუნველყო მსახიობის წარმატება. როცა მაყურებელი ხორავას ივანე მრისხანეს უყურებდა, სცენაზე მიხიბლული რჩებოდა „დიდი ხელმწიფის“ სწორედ იმ ადამიანურობით, რომლისთვისაც უცხო არ იყო მოკვდავთა შობილიური და მეგობრული გრძნობების ჩვეულებრივი განცდები. ადამიანურის შემეცნებას ყოველთვის ერთვოდა რომანტიკულად შეაწუელი ტონიც. ჭეშმარიტი ხელოვანი თავისივე შექმნილ იერსახეს არასოდეს არ უგვაშ მამაკვდინებელ წერტილს, ხოლო ნამდვილი მაყურებელი კმაყოფილი რჩება, როცა მას თეატრიდან თან მიაქვს არა მარტო სპექტაკლის დროს აღძრული შთაბეჭდილებანი, არამედ მარაგიც ახალი განცდებისა და შთაბეჭდილებების წარმოსაქმნელად. ვინ მოსთვლის თუ რამდენ მსახიობს მოუკლავს სამუდამოდ თავისი გმირი სცენაზე ისე, რომ თეატრიდან გასულ მაყურებელს აღარ შესძებნია ვზრუნა მის ბედზე, მაგრამ თითვე ჩამოსათვლელი არიან ისეთი მსახიობები, რომელთა მიერ წარმოსახული გმირების ტრაგიკულ დასასრულსაც კი ახალ სიცოცხლეს ანიჭებენ მაყურებლები.

ამა თუ იმ როლში მთავარისა და არსებითის ჩვენება თავისი დამაჯერებლობით მაყურებელსაც აქცევს შემოქმედად. ხორავას მსახიობური ხელოვნების დანიშნულებაც ისაა, რომ

ა. ხორავა — გარსია („კარამენსიტა“)



„მასკოტში“, მილიონერი — პაზენკლევერის „გზაში“, ანდუცადარ დიდებულები — გ. ერისთავის „გაყრაში“ და სხვ... ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ეს როლები არ იძლეოდნენ მსახიობისათვის სასურველი განზოგადებული გმირული სახის შექმნის საფუძველს. შინაგანი ლტოლვის შესატყვისი სახის ძიება განსაკუთრებით იმ პერიოდში დაიწყო, როცა თავისი სიცოცხლის მჩქეფარებით, სიახლისა და გმირულის გრძნობით, ძველისა და დახავებულის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილით აღიმაღლა ხმა კორპორაცია „დურუკმა“ (1924) და თან მოიტანა ახალი სუნთქვა, ახალი მაჯისცემა. მსახიობი ბრმა და მოღერი ახირებით არ გამოსდევნებია ამ სიახლეს. „დურუკს“ პროგრესულთან ერთად თან ახლდა მჩქეფარე სიჭაბუკის ცდუნებანიც. ამ ცდუნებათაგან თავის დაღწევა არც თუ ისე ადვილი იყო მათთვის, რომლებმაც გაბედულად აღმართეს მალღა სიახლის გამოზხატველი დროშა და თუმცა ხორავაც „დურუკელთა“ პირველ რიგში იდგა, ცდილობდა აღფრთოვანებასა და გულისხმიერებასთან ერთად არ დაერღვია ზომიერება. მის მიერ შექმნილმა, გააზრებულმა რეალისტურმა სახეებმა სავსებით შეიგუეს მსახიობის შესანიშნავი ხმა, ძლიერი, მომზიბველი გარეგნობა, ტემპერამენტი, ხოლო

სათქმელი არ წაართვას მაცურებელს. მისთვის მთავარია არ-  
სებითი აღძრული ბიძგი თორემ, როგორც თვითონ ამბობს,  
„ღანარჩენს აქტიურად ამუშავებს ბოლომდე თვითონ მაცუ-  
რებელი“. თუ მისი გმირების ტრაგიკული ცხოვრება ზოგჯერ  
დალაპებით მთავრდება, თვითონ მაცურებლები აგრძელებენ  
თავიანთი წარმოსახვით მათ სიცოცხლეს. ხორავას ცნობილი  
ფრაზა: „თეატრიდან გასვლისას მაცურებელს უნდა საჯერო-  
დეს, რომ მას შეუძლია გადეს გმირი“ ძალიან დარჩა ვერა-  
ნისთვისაც. საკმარისია აღინიშნოს მისი სააკაძე („გოგორგი  
საკაძე“) და სკანდერბეგი („ალბანეთის დიდი მებრძოლი  
სკანდერბეგი“). ორივე სახეში გმირულის და ადამიანურის  
მთლიანობამ მიზანს მიაღწია. თეატრისაგან განსხვავებით  
ეკრანის სპეციფიკა მსახიობისაგან მოითხოვდა მეტ სრულყოფ-  
ფასა და ფსიქოლოგიურ სიმართლეს. ხორავამ ეს სირთულე  
სძლია და მისთვის ჩვეული შთამოგონებლობით წარმოადგი-  
ნა ხალხის საყვარელი გმირების მსატერული სახეები. წელს,  
მისი დაბადების 70 წლისთავზე კიდევ ერთი ახალი როლით  
გავახარა ხორავამ. მ. ჭიაურელის ფილმში („რაც გინახავს,  
ვედარ ნახავ“) შექმნა მეტად მიმზიდველი, ღრმად ეროვნუ-  
ლი სახე ძველი თბილისელი ყარაჩხულისა, რომელიც მისი  
ადრინდელი კინოგმირებიდან განსხვავდება ფოროსმანისა და  
გუდიაშვილის ფერწერის მომხიბვლელი კოლორიტით, მაგრამ  
ამავე დროს ნაცნობია ვაგაკუური და კეთილი სულით.

ბევრი გამოჩენილი თეატრალური მსახიობი დამარცხებუ-  
ლა ეკრანზე, ხოლო ბევრ სახელგანთქმულ კინომსახიობს ვერ  
აუთვისებია თეატრის სცენა. ორივე შემთხვევაში უმთავრესი  
მიზეზი თვითთვის სპეციფიკური ენის არცოდნა ყოფილა ყო-  
ველთვის. თუ თეატრის პირობითობა მსახიობისაგან კარგად  
იგუბებს როდენისეულ მაღალ ტონს როგორც შესრულების  
ტექნიკის, ასევე ხასიათის გამოვლენის მხრივაც, კინოში ეს  
მაღალი ტონი უკვე აღარ გამოდგება ამ სიტყვის თეატრალუ-  
რი მნიშვნელობით. კინოობიექტივე ეკრანზე ამჟღავნებს არა  
მარტო გრიმისა და დეკორაციების ხელოვნურობას, არამედ  
ყოველი მოძრაობის, მეტყველების თუ მიმიკის მცირედ ზედ-  
მეტობასა და სიყალბესაც. თეატრისა და კინოს ამ სპეციფი-  
კურ სხვაობათა სამაგალითოდ საკმარისია გავიხსენოთ ხორა-  
ვას მიერ თეატრს და კინოში შესრულებული ერთი და იგივე  
როლი — გოგორგი სააკაძისა. ხორავა-საკაძე თეატრში ემო-  
ციური ძლერადობით ავლენდა გმირული სახის ფართო მასშტა-  
ბურობას, თუ შეიძლება ითქვას, მკაფიო თეატრალური სერ-  
ნებით (პლასტიკა, რიტმი, მეტყველება, ფსტები). ხორავა-  
საკაძე ეკრანზე წარმოვიდგება რა უშუალოდ გმირის ცხოვ-  
რებით, კინოობიექტივს არ აძლევს საშუალებას დეტალურში  
აღბეჭდოს ხელოვნური სიყალბე. აქ უკვე გმირული სული  
თვით შეტოსნავის ხასიათის სიღრმეშია. იგი ისე მოქმედებს,  
თითქოს კინოგადამღები კამერაც ერთ-ერთი თანამონაწილე  
ყოფილიყოს მისი გმირული ცხოვრების, ხოლო მაცურებელი  
მისი ეკრანზე ნახვის შემდეგ გმირულის შთაგონებით გადის  
კინოთეატრისა.

აკაკი ხორავამ ყურადღება მიიპყრო რეჟისორული ნამუ-  
შევრებითაც. მაღალი საზოგადოებრივი შეფასება მიიღო მის-  
მა დადგმაში რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე.  
(ნ. პოგოდინის „თოფანი კაცი“, 1938 წ., ა. სუმბათაშვილ-  
იუჟინის „ღალატი“, 1940 წ. გ. მდიენის „მოსკოვის ბჭეს-




ა. ხორავა — არკიშილი („თენიშლილი“)

თან“, 1941 წ.). ყოველ დადგმას მან თანამედროვეობის პო-  
ზიციებიდან შთაბერა დამახასიათებელი გმირულ-რომანტი-  
კული სული.

„ყოველი ნაწარმოები, რა არარაობაც არ უნდა იყოს ის,  
მწერლის პიროვნებას გამოსახავს, — წერდა ვიქტორ პიუგო, —  
ეს არის მისი სასჯელი, თუ იგი წერილმანია. ეს არის მისი  
ჯილდო — თუ იგი დიდი ადამიანია“. ხანგრძლივმა შემოქმე-

ა. ხორავა კანის კინოფესტივალზე





დებიტმა შრომამ მართლაც თვალსაჩინოდ წარმოადგინა ხორავა, როგორც პიროვნება. გულისმხიერება, პრინციპულობა, სიმამაცე, სიბეჯითე და თავისი თავისადმი მომთხოვნელობა ისევე დამახასიათებელია მისთვის, როგორც მის მიერ შექმნილ გმირთა უმეტესობისათვის. არსენასავით ადამ-მარ თალმა, ოტელიასავით ფაქიზმა და მიმდობმა, სირაოსავით მშვენიერების თყვანისმცემელმა აკაკი ხორავამ კარგად იცის უზრალოების, მგობრობისა და თანაგრძობის ფასი. ასალ-გაზრდობის სიყვარულმა იგი სამსახიობო ოსტატობის პედა-გოგად მიიყვანა თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც უკვე ოც წელზე მეტია რაც მუშაობს. ისეთი დიდი ენერჯისა და ტემ-პერამენტის შემოქმედი, როგორც აკაკი ხორავა, რა ვასაქ-ვირია სასცენო ხელოვნებასთან ერთად ესოდენ ნაყოფიერ სა-ზოგადოებრივ მოღვაწეობასაც რომ ეწეოდეს. აკ. ხორავა პირ-ველი ინიციატორია საქართველოს თეატრალური საზოგადოე-ბის დაარსებისა. 1937 წლიდან ხალხმა არაერთხელ აირჩია „იი საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. სამამულო ომის დროს (1942) აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის ხელ-მღებანელობით რუსთაველის თეატრის მხატვრული ბრიგადე-ბი გაემგზავრნენ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე და ბრძო-ლიდან შორის ხანმოკლე შესვენებების დროს სახელდახელო მცენიდან აღვივებდნენ მებრძოლებში პატრიოტულ ხულისკვე-თებას.

1950 წელს მშვიდობის მომხრეთა საკავშირო მეორე კონ-ფერენციაზე აკ. ხორავა მშვიდობის დაცვის საბჭოს კომიტეტ-ტის წევრად აირჩიეს, ხოლო წლების მანძილზე იგი საქარ-თელის მშვიდობის დაცვის კომიტეტის უცვლელი თავმჯდო-მარეა.

ხუთჯანის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტიტი, პროფესორი აკაკი ხორავა, ორჯერაა და-ჯილდოებული ლენინის ორდენით (1945 და 1950 წ.) მიღე-ბული აქვს აგრეთვე „შრომის წითელი დროშის ორდენი“ — 1936 წელს და „წითელი ვარსკვლავის ორდენი“ 1944 წელს და 1946 წელს, სხვადასხვა მედლები და საპატიო სიგელები. 1956 წლის 30 ივნისს მადლიერმა ქართველმა ხალხმა დაბა-დების 60 წლისთავზე მას დიდი ზეიმით გადაუსადა იუბილე-ღვაწლისილი შემოქმედი გრაფიკოსის, ფერმწერლის თუ მოქანდაკის შთაგონების წყაროდ იქცა.

მარჯანიშვილმა და ამხეტელმა ათეული წლებით გაუსწრეს ჩვენი კომიური აღმაფრენის რიტმულ ეპოქას, როცა ადამია-ნებს ნახევარი სიტყვებით ესმით ერთმანეთის, როცა ცხოვრე-ბის ტემპმა დააჩქარა ადამიანური განცდებისა და აზროვნე-ბის პროცესიც, ხელოვნებისაგანაც მოითხოვა კონკრეტულობა და გამოსახველობი ხერხების სინთეზური მითლიანობა, ეს კი ჩვენი სცენის კორიფეგებმა ადრევე დაიასბეს მონხად. აკაკი ხორავას სახით ქართულ თეატრს საუკეთესო მაგალითი ჰყავს, რომელმაც თანამედროვეობის ღრმა შეგრძნებით ფართო გზა უჩვენა მარჯანიშვილისა და ამხეტელის პროგრესულ ტრადი-ციებს.

3030 ზარაშიძე

ლუი არაგონი და აკაკი ხორავა  
აკაკი ხორავა და ინდოელი პროფესორი რაი ნირენდრანანტი  
მსოფლიო მშვიდობის საბჭოს სხდომაზე



„ვეფხისტყაოსნის“ — S 5006 ხელნაწერის პირველი მხატვარი

შოთა რუსთაველის საიუმბილოდ

# „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების ისტორიისათვის

იუზა ხუსკივაძე

კ

<sup>3</sup> ნიკ. ბერიძისწილი. XVII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, I, 1944; ვალ. გაბაშვილი — ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958.

<sup>4</sup> Г. Н. Чубинашвили — Иранские влияния в памятниках архитектуры Грузии: III международный конгресс по иранскому искусству и археологии, 1939.

<sup>5</sup> კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია; II, 1941. ალ. ბარამიძე. არჩილის ლიტერატურული შეხედულებანი; ლტერატურული ძიებანი; XIII, 1960. ალ. ბარამიძე. ბიძილა რუსთაველის ვარშემო XV—XVII საუკ. ქართულ მწერლობაში; 1952.

<sup>6</sup> ტექსტისა და მისი თანხმული მინიატურების ხაზოვან ჩარჩოში მოქცევის ადგილი ზერხი, ირანული საშინაობური ხელნაწერებიდან ენა შემოტანილი და ჩვეულებრივია XVII საუკ. და შემდგომი პერიოდის ქართულ ხელნაწერებისთვის; იხ. შიხ. H 2074 და H 54 ხელნაწერები — ვეფხისტყაოსანი; H 88. ვ. წ. აურისოვსკეული“ ხელნაწერი 1681 წლისა და სხ. აღნიშნულ პერიოდში გვხვდება ისეთი ხელნაწერებიც, სადაც მხოლოდ მინიატურებია მსუბუქი ხაზებით მოჩარჩობული ტექსტი კი, დატოვებულია თავისებულად; მაგ., S 3702 ხელნაწერი — „ვისრამიანი“; H 599 ხელნაწერი — „ვეფხისტყაოსანი“.

<sup>7</sup> დასურათებელ მასალისადმი მხატვართა ამგვარ მიდგომას ისიც დასტურებს, რომ პოემის 87 ილუსტრაციიდან 29 მინიატურაში მინაწილებას იღებენ ისეთი, შედარებით მცირეხარისხოვანი პერსონაჟები, როგორცაა როსტევენი და ფარსადან მეფე.

<sup>8</sup> ცალკე უნდა გამოიყოს 65-ე მინიატურა, რომელიც არ უნდა იყოს შესრულებული ხელნაწერის ძირითად დამსურათებელთა მიერ.

<sup>9</sup> გარდა 39-ე მინიატურისა, რომელიც წარწერის ვარშემო დატოვებული — შიგრიე ტარილს ამცნის რამაშ მეფის ღალატს ამბავს.

<sup>10</sup> სპარსული წარწერის პირველად აკადემიკოს შ. ამირანაშვილის მიერ ენა წაკითხული — იხ. მისი რუსთაველის პოემა: ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელნაწერებში, ენციკლის შობაზე III, 1938.

<sup>11</sup> შიხ., 52-ე მინიატურის სპარსულ მინაწერზე ვკითხვლობთ: „ტარიელმა ქალის დასინჯად მისილი ყმაწვილი მოცა“ — მინიატურაზე სწორედ ეს ეპიზოდი გამოხატულია; მაშინ, როცა იმედი მინიატურის ქართული წარწერა შევდომით განმარტავს სტენას — „ქ. სისიო რომ მოვიდა“. 53-ე მინიატურის სპარსულ წარწერა იცილებს „ტარიელი ცისხი ნიხე იფა ლაშქარი რომ მოვიდა“ — კომპოზიციამ ზუსტად ადგვარადა სტენა ვაშლი. ქართული წარწერა კი, ამ შემთხვევაშიც არასწორად განმარტავს ეპიზოდს: „ენახე, სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილი“. იგივე მეთოდმა 55-ე და სხვ. მინიატურებზე.

<sup>12</sup> ბ. გორდენიანი. ვეფხისტყაოსანი“ დასურათებანი: ვახ. „ლიტერატურული საქართველო“; 1937, 26. XII. გვ. 4.

<sup>13</sup> Pope. A Survey of persian art; V: ტაბულა 812 a, b; 878.

<sup>14</sup> იგივე. ტაბულა 912.

<sup>15</sup> Guest, G. D. — Shiraz painting in the sixteenth century (Washington); 1949; გვ. 26—29

<sup>16</sup> M. Shulz. Die persische islamische miniaturmalerei II ტაბ. 91, 169.

<sup>17</sup> Shulz. დასახ. ნაშრომი, II. ტაბ. 169. Pope, დასახ. ნაშრომი V, ტაბ. 922, 923.

<sup>18</sup> Pope, დასახ. ნაშრომი, V, ტაბ. 923.

<sup>19</sup> Pope. დასახ. ნაშრომი, V, ტაბ. 917, 922, 923.

<sup>20</sup> В. М. Зуммер. „Живописная традиция Востока по данным миниатюры“, изд. Аз. ГНИИ, Баку, 1930, стр. 4.

<sup>21</sup> პირველი ისტების მიერ შესრულებულ მინიატურაზე ავთან-ლილი ნიხევა ფენმობრძობი და არა ტაბულა, როგორც ეს შეთხვემებურ მინიატურაზეა მოქმედი. ამ გარემოებას პირველად შიხ. ქელიძემ მოიპოვა ყურადღება; მისი აზრით მცირე ისტატმა თემცა ზუსტად თავისი კორექტურა მიერ ავეული კომპოზიცი, მაგრამ შიხ. თავისი კორექტურა შეიტანა მასში „სტენის“ (სყანის) სახით და ამით გამოხატული ეპიზოდი უფრო დაუახლოვა ტექსტს (ამონაწინ სტენი დაუფანა დაჯდა კრძალვი და რილითა — 124) იხ. შიხ. ქელიძე, ვეფხისტყაოსანი“ დასურათების ისტორიისათვის, 1960, გვ. 26-27.



შოთა რუსთაველი.



ს. მერაბიშვილი  
შოთა რუსთაველის  
ძეგლი თბილისში

# LA PELLE DI LEOPARDO DI SCIOTHA RUSTHAVELI



ROMA - CREMONESE EDITORE - MICHELI



## “ვეფხისტყაოსნის” იტალიური გაერთიანება

ვასილ ჩაჩანიძე

უ

ოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით მსურს ქართულ საზოგადოებრიობას ვამცნო „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი გამოცემის შესახებ იტალიურ ენაზე, რომელსაც მე უცხოეთში შევცვდი.

1942 წელს, ფიცხელი ომის პერიოდში, იტალიაში პირველად გამო-



იგი ზღვაზე მესამიდან, უმბოდაც კოსოსკადეს, რაკეტებ, კაბოვერე, ზღვას ზღის ხანა არ დაქმნა.

1856 afferravano i negri, li decapitavano e li gettavano in mare. Poi condussero seco la splendida creatura. L'orfi loro incontro

უციათ „ვეფხისტყაოსნის“ არასრული თარგმანი იტალიურ ენაზე. წიგნი გამოიცა იტალიის მეფის ვიქტორ ემანუელ მესამის სასახლის ინიციატივით და მიეძღვნა საქართველოს მეფეების შთამომავლის — ირაკლი ბაგრატიონის — მუხრან-ბატონის შვილის სიძედ შესვლას გრაფი პასკუინების ოჯახში. წიგნი იტალიურად უთარგმნია რაფიელ ალექსანდრეს ძე ივანიცი-ინგილოს, შემდეგში მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარის ესპანეთში (მადრიდში). გამოცემის წამძღვარებული აქვს ქართველ მეფეთა გენეოლოგია, მოკლე აღწერილობითა და ილუსტრაციებით. წიგნი მხატვრულად გაუფორმებია ქართველ ხატვარს — გიორგი აბხაზს, რომელიც რომის ოპერის თეატრში მოღვაწეობს. გარეკანი სამფორვანია — წივილი ფონით, თეთრი და შავი ზო-

ლებით და სიმბოლურად უნდა აღნიშნავდეს ძველ ქართულ დროშას; წიგნი მეტად მცირე ტირაჟითაა გამოცემული და დიდ იშვიათობას წარმოადგენს, რის გამოც მას საქართველომდე ვერ მოუღწევია. „ვეფხისტყაოსანი“ მეორედ, უკვე სრულად, იტალიურ ენაზე გამოუციათ 1945 წლის ივლისში (მხოლოდ ბაზარზე 1947-1948 წელს გამოვიდა). იგი თარგმნა ნეპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის პროფესორმა, დოქტორმა შალვა ბერიძემ, რომელიც ძირითადად ცხოვრობს ფროზინონეში (იტალიაში, აპრუცის რაიონში). პოემის ყველა ტაეპი თარგმნილია პროზად. ამ გამოცემის თავისებურება ის არის, რომ ილუსტრაციები შესრულებულია ძველებური მხატვრული სტილით იტალიელი მხატ-

ნაი იგი, გარს ეყვარ ხმისტლი ძრეულ-კვი: წის კვი მიუზღვიდეს თვლნი ახად დაეყვი,



... era una barca ben ricoperta di veli ... nell'area era (solata una donna di bellezza celeste...

სიღის ქაოსს საეფლისის, სედა და ჰარი დაბრინ-  
სეკლითა ცარფხეხეს, თუი სრელთა გელთა.



Parlet era riverfo, figurato, con le vesti la-  
cere i capelli sparsi, ferito alla testa.



ერის ფულვიო ბიანოინის მიერ. მხატვარს ხანგრძლივი მუშაობა უწარმოებია იტალიის არქივებში დაცული ძველი აღმოსავლური მხატვრული ნიმუშებისა და მინიატურების შესასწავლად, რათა შეექმნა პოემის შესატყვისი ილუსტრაციები. ამ გამოცემის შესახებ იტალიის გაზეთში „პობოლი“ ვრცელი წერილით გამოვიდა წინა გამოცემის ავტორი-რაფიელ ივანიკი-ინგილი.

წიგნი გამოიცა ქალაქ მილანში, გამოცემლობა, „Bianchi - Giovini“-ს მიერ მეტად მცირე ტირაჟით (სულ 500-მდე კალი), ერთ ფე-ზემბლარს საქართველომდე მოულწევიან, მაგრამ აკლია გარეკანი. ამ გამოცემის შესახებ აღნიშნულია გაიოზ იმედაშვილის კაპიტულურ ნაშრომში—„რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712—1956 წლებში“ (საქ. მეც. აკადემიის გამოცემა, თბ. 1957 წ.)



„ვეფხისტყაოსნის“ ამ იტალიურმა გამოცემებმა იტალიელ მკითხველს გააცნო გენიალური „ვეფხისტყაოსანი“.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი სასიხარულო ფაქტიც: დაახლოებით იმ პერიოდში, როდესაც ქართველი ხალხი შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავს აღნიშნავდა, ნეპოლში შოთა რუსთაველის საპატივცემლოდ დიდი სურვიით გამოუციათ საფოსტო ღია ბარათი — „Carlolina illustrata“, ცალ მხარეი შოთა რუსთაველის პორტრეტით და წარწერით იტალიურ ენაზე, ხოლო მეორე მხარეს სამისამართო და მოკითხვის ბარათით. ამ ბარათის შესახებ პირველად ი. ტაბაღუამ გამოაქვეყნა თავის წიგნში „ვეროპის ქვეყნებში“ (სახ. უნ. გამოცემა 1959 წ. თბილისი). ასეთივე საფოსტო ღია ბარათი თანარ მეფის პორტრეტით და სათანადო იტალიური წარწერით



ვინ უდრს სიგრიან მან მეთი ბუნარიად.  
დიდხანს უტრეცს გვერცხითოთუა გელიო...



Non sei far parole e a lungo lo conosci,  
pieno di morte viviva, non pudando il suo  
coraggio, o si profittare il messaggio...

როს შეუქანს მთაძმანი, დარხანს სტეპ-მეტი.  
პოსტკმს, იტუებს... ვა, ტრბოლიო, ვაბრ...



Milora il fle lanciò grida ferocissime. O figlio  
lo educato con tanta cura, da me, in sei secoli  
fioristi non si può parlare più di un profittare...

მის ღმრს ფიტანს ხანუნ ფანისხლო ბეჯე კარა  
განხს ფიქსი ძოკბე ტურეა მადებელთი სიქეს...



Quella, fra l'altro, dice un fatto ben fatto  
a Hechard. Le offre ricche doni, accetti con  
sfclamazioni gioiose

გამრკალის ტანს ვისმეუ ვარეული უსაბუნებო  
გებურეს მამულით მიდის, თანის თქმად კანკა...



Una magnifica scena d'armonia armonica  
e il suo corpo non è di un altro bel punto e  
solo leggero, inelastico e non è...

იტალიელებს დიდი სერიით გამოუციათ.

ქართული კულტურის სხვა ნიმუშებსაც შევხვდებით იტალიაში. ასე მაგალითად, ნეაპოლის ეროვნებათა გალერეაში ნახაუთ დიდი ფორმატის ქართულ-იტალიურ ლექსიკონს შედგენილს ქართველი მისიონერის ნიკიფორე იბრაქის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) და სტეფანე პაოლინის მიერ. ეს პირველი ნიმუში ყოფილა ლექსიკონოლოგიის მეცნიერებაში. ლექსიკონი დაწერილია მხოლოდ ორ ცალად, რომელთაგან ერთი ნეაპოლში ინახება, ხოლო მეორე კი თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის განსაკუთრებულ ფონდში.

აქვე შევხვდებით იტალიურ ენაზე დაწერილ ქართული ენის გრამატიკას, შედგენილს ფრანჩისკო-მარია მაჯიოს მიერ და გამოცემულს 1670 წელს. რომში ვატკანის მუზეუმის განსაკუთრებულ ფონდში ინახება



ერკველ მეფის ბრწყინვალედ შეს-  
რულებული პორტრეტი.


ქართული კულტურისათვის დად  
საგანძურს წარმოადგენს ვატიკანს  
და იტალიის სხვა არქივებში დაცუ-  
ლი VI-VII საუკუნეების ხელმოკრუ-  
ლებში კოლხიდასა და რომის იმპე-  
რიას შორის პოლიტიკურ-ეკონომი-  
ური ურთიერთობის შესახებ. ამ მასა-  
ლების ქართველების მიერ გაცნობის  
აუცილებლობაზე ზრუნავდა იტალი-  
აში მყოფი, ქართული კულტურის  
მოღვაწე, კათოლიკე მერი — მიხეილ  
თარნნიშვილი, რომელიც გარდაიც-  
ვალა და ამ მასალას ამჟამად შემ-  
სწავლელი აღარ ყავს.

ვაუწყებ რა ქართველ საზოგადოე-  
ბას ზემოაღნიშნულის შესახებ, მი-  
ზანდუნოილად მიმართა ჩვენი რეს-  
პუბლიკის სათანადო ორგანიზაციებ-  
მა იზრუნონ ამ გამოცემების შესა-  
ძენად და შეიტანონ ისინი ქართული  
კულტურის ფონდში.





ქართული  
ინჟინერული  
არქიტექტურის  
ინსტიტუტი  
ბინის ინტერიერის  
ორი მაგალითი.  
თბილისი.



# ბინის ინტერიერი

თანამედროვე მასობრივი მშენებლობის ბინის ორგანიზაციის  
ზოგიერთი საკითხი

## ვახტანგ დავითაია



აკობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მატერიალური და სულიერი მოთხოვნები განსხვავებულია. იგი დამოკიდებულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ საფუძვლებზე, ადამიანთა კულტურულ განვითარების დონეზე. შესაბამისად იცვლება ყოფის ხასიათი და როგორც მისი ფუნქცია — საცხოვრებელი ბინის ინტერიერიც.

საცხოვრებელთან დაკავშირებულია ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი საარსებო ინტერესები. მისი საექსპლუატაციო და სანიტარულ-ჰიგიენური ხარისხი უშუალოდ განაპირობებს

ადამიანის ჯანმრთელობას, შრომისუნარიანობასა და საერთო განწყობილებას. ამიტომაც, საცხოვრებლის ისტორია განუწყვეტელი პროცესია გარემოდან მისი სათანადო იზოლაციისა და გარდაქმნისა სასურველი მიმართულებით.

ხანგრძლივი კონკრეტულ-ისტორიული, გეოგრაფიული და ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების გავლენით სხვადასხვა ხალხის ყოფა ყალიბდება სხვადასხვანაირად, ვლინდება სპეციფიკურ ეროვნულ ფორმაში და ხასიათდება დიდი სიმყარით, მაგრამ სიმყარე არ ნიშნავს უცვლელობას. არ არსებობს ერთ-ხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული უცვლელი ეროვნული ყოფა. იგი განვითარებადი მცნებაა და იცვლება საზოგადოების სოციალურ გარდაქმნებთან ერთად. რამდენადაც სწრაფია ეს გარდაქმნები, მით უფრო სწრაფ ცვლილებებს განიცდის ყოფაც და საცხოვრებელიც.

მეორეს მხრივ, საერთო სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური, სახელმწიფოებრივ-სამართლობრივი წანამძღვრები, ცალკეული ერების ზოგიერთ ყოფით თავისებურებებთან ერთად აყალიბებენ საერთო სახელმწიფოებრივ ყოფით ნიშნებს, ახალ ეთიკებსა და მორალს, ახალ საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას. ისინი სულ უფრო და უფრო არბილებენ იმ კონტრასტებს, რომლებიც სხვადასხვა ხალხების ყოფაში, საცხოვრებელსა და მისი ინტერიერის ფუნქციურ-მხატვრულ ორგანიზაციაში ვლინდებოდა.

განზრევლად ეროვნებისა, დღეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ყოფიერების ყველა ასპექტში, მათ შორის ყოფა-ცხოვრებაში აღინიშნება საერთო სახელმწიფოებრივი, ახალი სოციალისტური ნიშნების კონსოლიდაცია, რომლებიც თავის მხრივ განაპირობებენ ყოფის ორგანიზაციის საერთო ფორმებსა და ტენდენციებს, მათ შორის საერთო ნიშნებს საცხოვრებლის ორგანიზაციაში.

აქვე უნდა აღინიშნოს: არც ყოფა, არც საცხოვრებელი არ ვითარდება იზოლირებულად, ერთი ქვეყნის ფარგლებში. კაცობრიობის თანამედროვე კულტურა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შედეგია ურთიერთგამიდრების რთული ორმხრივი პროცესისა. ამ პროცესში, უპირველეს ყოვლისა, და შედარებით ადვილად ხდება იმ მხარეების განმტკიცება, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კლასობრივ ინტერესებს (მაგ. ტექნიკისა და მეცნიერების დარგში).

საერთო ნიშნები სხვადასხვა ქვეყნის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ორგანიზაციაში ლოკიკურია იმის ძალითაც, რომ იგი ძირითადად საცხოვრებელია გარკვეული კლასისა, მისი წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია მუშათა კლასთან, რომელიც დღესაც წარმოადგენს ამ ტიპის საცხოვრებლის მთავარ მომხმარებელს და მომავალშიც პრინციპულად განსაზღვრავს მისი განვითარების გზებს. კოლექტიური მრავალბინიანი საცხოვრებლის წარმოშობა და ფართო გავრცელება მიუთითებს მის მომხმარებელთა საერთო მისწრაფებებზე და ყოფის ზოგიერთ საერთო თავისებურებაზე. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს სხვადასხვა სოციალური სიტუაციის ქვეყნებში მუშების და კლასობრივად მათთან ახლო მდგომი წვრილბურჟუაზიული ფენების, ასევე ეკონომიურად ნაკლებად გარანტირებული ინტელიგენციის (რომლებიც მრავალბინიანი კოლექტიური საცხოვრებელი სახლის ძირითადი მომხმარებლები არიან) პირობების, იდეოლოგიის, ყოფის ხასიათისა, და საცხოვრებელი სარგებლობის უფლებების სრულ გაიგივებას.

როცა ვლაპარაკობთ ბინის ინტერიერის ორგანიზაციის თანამედროვე პრინციპებზე, ზოგიერთი მათგანი სავესებით კანონზომიერად წარმოგიდგება სხვადასხვა სიძლიერით გამოვლენილ საერთაშორისო ნიშნებად.

თანამედროვე მასობრივი ბინათმშენებლობის საერთო ნიშნად, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს ინტერიერის ორგანიზაციის მთელ რიგ საერთო ტენდენციებს, შეიძლება მივიჩნიოთ მცირევაპარტიანობა.

სხვადასხვა ქვეყნის მასიური ბინათმშენებლობის ოციციალურ ნორმებში, ან ამა თუ იმ კონკრეტულ დასახლებაში გამოყენებული ნორმებით აღინიშნება საცხოვრებელი ფართების და სათავსოთა სიმძალეების გარკვეული სიახლოვე.

სსრკ-ის, აშშ-ის, საფრანკეთის, ინგლისის, იტალიის, ბელგიის, შვეიცარიის სხვადასხვა სამშენებლო ნორმებით სათავესოთა სიმძალეები ძირითადად 2.30-2.50 მ-ით განისაზღვრება.

მნიშვნელოვანად შემცირდა ბინაში ოთახების რაოდენობა. საბჭოთა კავშირის, ასევე მსოფლიოს მთელი რიგი სხვა ქვეყნების მასიური ბინათმშენებლობა 1-4 ოთახიანი ბინებით ხორციელდება.

ცვლილებები თანამედროვე ბინათმშენებლობაში ოთახების, სიმძალეების და ოთახების შემცირება, არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ეკონომიურობის გამოვლინებად, არამედ განვითარების კანონზომიერი პროცესია. ჩვენის აზრით, აქ არსებითი როლი ითამაშა სამმა ფაქტორმა:

პირველი. თანამედროვე ოჯახი ხასიათდება ოჯახურ უკრებებად დაყოფის მისწრაფებით, რის გამოც მისი დემოგრაფიული სტრუქტურა (ოჯახის წევრთა რიცხოვნობი, ასაკობრივი, სქესობრივი და ნათესაური დამოკიდებულების მონაცემები) მნიშვნელოვანად განსხვავდება ადრინდელი ბურჟუაზიული და უფრო წინა ეპოქების „დიდი ოჯახებისაგან“. დღეს იგი ძირითადად 1-6 სულისაგან და ერთი ან ორი ოჯახური უკრედისაგან შედგება. ცხადია, ამ გარემოებამ დიდად განსაზღვრა ბინაში ოთახების შემცირების ტენდენცია.


მეორე. თანამედროვე ქალაქური ტიპის საცხოვრებელი ბინის ხასიათი მნიშვნელოვანად განაპირობა საზოგადოებრივი მომსახურების ქსელის განვითარებამ.

ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს, ერთი მხრივ როგორც ფაქტორი, რომელმაც არსებითად განსაზღვრა თანამედროვე ბინის ხასიათი და ცვლილებები, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოვიდგება, როგორც საშუალება ამ ცვლილებების განხორციელებისა.

ხალხურ საცხოვრებლებში გაერთიანებული იყო ოჯახის სასიცოცხლო პროცესებთან დაკავშირებული თითქმის ყველა ფუნქტორი, საცხოვრებლის ევოლუცია ნათელი მაგალითია ოჯახის საყოფაცხოვრებო პროცესების თანდათანობით დიფერენციაციისა — ინდივიდუალური სექტორის პარალელურად საზოგადოებრივი სექტორის ჩასახვა-განვითარებისა. სოციალისტურმა საზოგადოებამ მიანიჭა რა ქალებს თანაბარი იურიდიული და პოლიტიკური უფლებები, შექმნა რეალური საფუძვლები მათი საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმისათვის, რამაც

დასვენების კუთხე ერთოთახიან ტიპიურ ბინაში (მეორე მაგალითი). თბილისი.






საერთო ოთახის ინტერიერის ფრაგმენტი

არსებითად დაანჭვარა რიგი საყოფაცხოვრებო ფუნქციების გაკოლექტიურების პროცესი. საბჭოთა კავშირში მიკრო რაიონის ორგანიზაციის უკანასკნელი პერიოდის პრაქტიკა გვიჩვენებს თუ როგორ იზრდება სასოფაღობრივი სექტორის ხვედრითი წონა ყოფის ორგანიზაციაში. სასენიით საფუძვლიანად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გააკვეული პერიოდის შემდეგ, მრავალი დღეს ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ფუნქციის ოჯახში ჩატარება ისეთივე ანაქრონიზმი იქნება, როგორც თანამედროვე ქალაქში ექიმთან მომშობიარება, ან ოჯახში ყოველდღიურად პურის ცხობა, რძის პროდუქტების წარმოება და სხვ.

სასოფაღობრივი მომსახურების ქსელის განვითარება, როგორც პრინციპი ყოფის ორგანიზაციისა, სხვადასხვა ქვეყანაში

საძილე ოთახის ინტერიერის ფრაგმენტი



ნაშო სხვადასხვა ფორმით ხორციელდება და სხვადასხვა მიზნებს ისახავს. იგი ყველაზე გამოკვეთილ და სრულყოფილ სახეს ატარებს სოციალისტურ სინამდვილეში.

შესამე. ოჯახური ყოფის ორგანიზაციაში მეცნიერებისა და ტექნიკის აქტიური შეჭრა დღევანდელი დღის უმნიშვნელოვანეს ნიშანს და თანამედროვე საცხოვრებლის (ფართო გაკეთი), კერძოდ, ბინის ინტერიერის განსაზღვრულ ერთ-ერთ არსებით ფაქტორს წარმოადგენს.

დღეს საცხოვრებლის ინტერიერის კომფორტაბელურობის მიღწევა ხორციელდება არა იმდენად საცხოვრებელი ფართის ჯადილების ხარჯზე, არამედ მისი მოხერხებული გვეგარების, საექსპლუატაციო ხარისხის ამაღლების, საინჟინრო და საინტარულ-პოეტიურ მოწყობილობათა სრულყოფის ხარჯზე. ლიფტები, ნავთობტარები, გათბობის, განიავების და განათების პროგრესული სისტემები, კონდენციონერი, სან-კვანძები-სა და სამხარეულოს რაციონალური მოწყობილობანი, ტელეფონი, მაგივარი, რადიო, ტელევიზია და სხვა — წარმოადგენენ ჩვენი ყოფის პრაქტიკულ რეალობას, მისი კომფორტაბელურობის მახასიათებელს.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ქმნის რა ადამიანის დროის, შრომისა და სახსრების ე. ი. მოღონად ყოფის რაციონალური ორგანიზაციის რეალურ საფუძვლებს, მას სათანადო ცვლილებები შეაქვს „მოხერხებულისა“ და „ლაშაისა“ გაგებაში. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ისინი, უპირველეს ყოვლისა, სისუსტისა და რაციონალურობის პრინციპებიდან გამომდინარებენ. შესაბამისად, თანამედროვე პროგრესული ადამიანი ისევე უარყოფითად აღიქვამს საცხოვრებელი ფართის გაუმართლებელ სიდიდეს და სუსტა დეკორატულობას, როგორც მათ საწინააღმდეგო სიფიროვნასა და მხატვრულ შეზღუდულობას.

ამდენად, გარკვეული საფუძველი არსებობს, რათა ფართობის, სიმაღლისა და ოთახთა რაოდენობის შემცირება მხოლოდ ეკონომიურობის შედეგად არ ჩაითვალოს.

ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული ტენდენციები მხოლოდ მცირედ იმ ნაწილს იმ საერთო შეხების წერტილებისა, რომლებიც ვლინდებიან თანამედროვე საცხოვრებელი სახლისა და მისი ინტერიერის გვეგარებით ორგანიზაციაში, მხატვრული გააზრებისა და საინჟინრო მოწყობის საკითხებში. მაგრამ, რაც არ უნდა ბევრი საერთო არსებობს სხვადასხვა სისტემის ქვეყნებს შორის ყოფის ორგანიზაციის საკითხებში, მათში განსხვავებანიც გარდუვალია.

ბუნებრივ-კლიმატური და საუკუნეების მანძილზე განმტკიცებული ტრადიციული ეროვნული ყოფისა და ახალი ყოფის ურთიერთამოკიდებულების ძალით ბინის ორგანიზაციაში განსხვავებანი ლოკალურია არა მარტო სხვადასხვა, არამედ ერთი და იმავე სოციალურ-ეკონომიური, მრავალეროვანი და სხვადასხვა კლიმატური ზონების მომცველი ქვეყნების შიგნითაც (მაგ. საბჭოთა კავშირში). და თუ დღეს ჩვენი საცხოვრებლები თითქმის არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ის ფაქტი, რომ პრინციპულად ერთი და იგივე სექცია მოქმედებს, როგორც მეორე, ასევე მეოთხე კლიმატურ ზონაში, უპირველეს ყოვლისა, ელემენტარული ბუნებრივ-

კლიმატური და ყოფით საექსპლუატაციო თავისებურებათა გათვალისწინებლობა, სოციალური ხასიათის შეცდამა.


საერთო საფუძვლები და ნორმები არ გულისხმობენ გადაწყვეტის იდეატურობას, ვარიანტთა შეზღუდულობას. (უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ერთი და იგივე აზრის გადმოცემა შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ენით, ანუ ერთ შინაარსს გააჩნდეს ასახვის მხოლოდ ერთი ფორმა). ისინი კონკრეტული არიან მხოლოდ გარკვეულ ასპექტში, ხოლო ზოგადი სხვა მიმართებაში. ნორმა 9 მ<sup>2</sup> კონკრეტულია, როგორც ნორმა ერთ სულზე, ხოლო ზოგადი და განუსაზღვრელი ამ ფართის ორგანიზაციის შესაძლებლობათა თვალსაზრისით. მიუხედავად საფრანგეთის სამშენებლო ორგანიზაციის HLM-ის („საცხოვრებელი დაბალი ბინის ქირით“) და საბჭოთა კავშირის ბინათმშენებლობის ნორმების თითქმის სრული თანდამთხვევისა, აგრეთვე საფრანგეთის სამხრეთი რაიონების და საბჭოთა კავშირის სამხრეთის რაიონების (მაგ. ამიერკავკასიის) კლიმატური პირობების სიახლოვისა, ბინების გააზრება მნიშვნელოვნად განსხვავდება თანამართისაგან.

აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყოფით-საექსპლუატაციო ფაქტორები და ბინის ფუნქციურ-მხატვრული ორგანიზაციის პროფესიული ოსტატობა. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი არსებითა ყოფის ორგანიზაციის პრობლემათა შორის და ჩვენც ამაზე გვინდა შევიჩრდეთ.

განივილით ზოგიერთი მაგალითი. სურ. 1 ნაჩვენებია ერთი და იგივე ფართის ორგანიზაციის ორი მაგალითი.

1. 1-319—C სერისს ერთოთახიანი ტიპობრივი ბინა, სასარგებლო ფართი 27,8-მ<sup>2</sup>. ცხოვრობს ერთი სული. მდებარეობით სქესი. ბინაში ავეჯით დაკავებული ფართი ნორმაზე (30%) გაცილებით მაღალია. ოთახში იგი უდრის 67,6%. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ „მგეღარ ფართებს“ (0,8 მ<sup>2</sup>), რომელიც წარმოიშვა ავეჯის უხეირო განლაგებით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ოთახში ავეჯით დაკავებული ფართი უდრის 69,3%. ტამბურში დაკავებულია თითქმის მთელი ფართი (35,8%), რომელიც კარის ზვრელების არეში არ ხედება, ხოლო სამზარეულოში იგი უდრის 58,4%. სათავსოების ავეჯით გადატვირთვა, მისი უსიტემო განლაგება ართულებს მოძრაობას ტრანზიტულ გასასვლელებში. (ნახაზე აღნიშნულია შავი ლაქით). იმისათვის, რომ ტამბურიდან აივანზე მოვხედეთ, საჭიროა ყურადღების მაქსიმალური დამატება, ხოლო ოთახის ცენტრში და აივანზე გასვლა შეუძლებელია „დამატებითი ღონისძიებების“ — სკამების გადაადგილების გარეშე. ასევე, მაგიდის (1) და სკამის (7) გადაადგილების გარეშე შეუძლებელია ტანსაცმლის კარადის, (4), სერვანტის (5) და სამზარეულოს ყოყლდლიური ჭურჭლის კარადის (5) კარების გაღება. ტამბურში მოთავსებული ტანსაცმლის კარადის ერთ-ერთი კარის გაღება საერთოდ შეუძლებელია. დიასახლისი ნორმალურად ვერ სარგებლობს ხელსაწიით სამზარეულოში.

ბინის ავეჯით გადატვირთვა ქმნის მნიშვნელოვან საექსპლუატაციო დისკომფორტს, გაუმართლებლად ძაბავს ადამიანის ნერვულ სისტემას, ამცირებს ჰაერის მოცულობას და აფერხებს განიავებას. სათავსო მუქი შინდისფერი, კედლის ხალიჩის, საწოლების, საწოლი-დივანის და მაგიდის ქსოვილის





დასახვევი ტიხარი ბუნებრივი ბოქოსაგან. ჩეხოსლოვაკია

მოუხეხარი ნახატი, ასევე ავეჯის თარობზე განლაგებული მრავალრიცხოვანი „დეკორატიული“ ნივთი კიდევ უფრო ძაბავს ინტერიერის საერთო სიტუაციას.

ბინის ფუნქციურ-მხატვრული გააზრების თვალსაზრისით აქ ინტერიერის კომპონენტთა უბრალო კონტროლირებასთან გვაქვს საქმე. ავეჯი, ქსოვილები, თარობებზე განლაგებული ბროლისა და ფაიფურის ვაზები, კედლის ტონი — ყველაფერი პირველ პლანზე გამოდის. დარღვეულია მოვარისა და მეორეხარისხოვანის ურთიერთდაქვემდებარების პრინციპი. ინტერიერში ავეჯის გაუმართლებელი თავმოყრა — სამი საწოლი, ორი ტანსაცმლის კარადა, (აგრეთვე საკიდარი) ზუთი მაგიდა, ცხრა სკამი, სამი ჭურჭლის კარადა — ერთოთახიან ბინაში (ერთ სულზე) მიუთითებს, რომ ბინა გააზრებულია

კარადა — ტიხარი საერთო და საძილე ოთახებს შორის.





ბავშვთა ოთახი საბოთახიან ბინაში (ესკოხეთი)

არა საექსპლუატაციო მოხერხებულობის პრინციპებიდან, არამედ პირველ პლანზე გამოდის მემზანის „საჩვენებელი მხარე“.

ბინის მეტაკლებად მსგავსი გააზრება არ არის შემთხვევითი მოვლენა, არამედ იგი შემიკვდირობით კავშირშია „ზედმეტბათა პერიოდის“ მთელ რიგ ყალბ შეხედულებებთან, რომლებმაც ბინის კომფორტაბელურობის კრიტერიუმი ძირი-დადალ რაოდენობით კატეგორიებამდე დაიყვანეს (სიდიდე, სიმაღლე, სიმაკვლე და სხვ.).

2. იგივე 1-319-C სერიის ერთოთახიანი ბინა, ცხოვრობს ერთი სული, მამრობიანი სქესი.

მოზინადრემ ცვლილებები შეიტანა ბინის დაგეგმარებაში. ტიპარის გადაადგილებით გააუქმა ტამბურიდან სამზარეულოში გასასვლელი კარიდორი, რითაც 2,2 მ<sup>2</sup>-ით გააღიდა ოთახის ფართი. სათანადოდ შემცირდა სამზარეულო, რომელშიც ვხვდებით ოთახიდან. მასში ტექნოლოგიური სქემის მიხედვით განლაგდა ხელსაბანი, მაგიდა (იგივე ჭურჭლის კარაზი) და ჭურა. ასევე მაგიდა ორი საჯდომი ადგილით. ასეთი სამზარეულო საესებით საკმარისია მცირესულადობის ოჯახისათვის.

ზემოთ სხენებული რკინოსტრუქციის შედგება გაცილებით გამართვად ტრანსიტული გასასვლლების სქემა, მნიშვნელოვანად შემცირდა მისი სიგრძეც.

ოთახში კარგადაა გამოვლენილი ძირითადი ფუნქციური ზონები. გამოყოფილია დასვენების და საშუალო კუთხე. (დღი-

სა და ღამის დასვენება შეთავსებულია ერთმანეთთან) (სურ. 2). კედლის გასწვრივ განლაგებული გრძილი ტაბლა (2,40 მ) მშენებრად ასრულებს თავის ფუნქციებს სხვადასხვა შეკრებულობისას, ხოლო ჩვეულებრივ პირობებში გამოყენებულია საჯდომად. აქვეა განლაგებული რადიომიმღები, ფირსაკარგი, ეურნალები და სხვ. ტამბურში მთელ სიმაღლეზე მოწყობილი კარადა (3) ითავსებს სხვადასხვა კორპუსული ავეჯის ფუნქციებს და მნიშვნელოვანად ამცირებს ოთახში ავეჯით დაკავებულ ფართის (29,3%).

ფუნქციური მიზანშეწონილობასთან ერთად კარგადაა გააზრებული ინტერიერის მოცულობით-მხატვრული სახე. ჩაშენებულმა კარადამ გაანთავისუფლა რა ოთახი სხვადასხვა კორპუსული ავეჯისაგან, განაპირობა ის, რომ სათავის ყველაზე მაღალი ავეჯი (მაგიდა) არ აღემატება 80 სმ. ე. ი. ინტერიერში არ აღინიშნება სიდიდითა მკვეთრი კონტრასტები, რომელიც ასე ძაბავს და ანაწევრებს ინტერიერს ადრე განხილულ ბინაში. კედლების მოციფო ნაწრისფერი ტონი წარმოადგენს იდეალურ ფონს წითელი საწოლის, სავარძლების, სკამების და ტაბლაზე განლაგებული შავი ფერის ბალიშებისათვის. იგი ასევე მიზანშეწონილია ბინის ორიენტაციის (დასავლეთი) თვალსაზრისითაც. კიხარია შესრულებული სამზარეულოს მუხის ვიწრო ფიკრებისაგან, წარმოადგენს ინტერიერის სანტიკერის ელემენტს და განსაკუთრებულ მყუდროებას ანიჭებს საშუალო კუთხის. გემოვნებით შერჩეული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები (ფოტო, ნახატი, კურაიკა) წარმოადგენს ორგანულ ელემენტს ამა თუ იმ ფუნქციური ზონისა. საერთო განყოფილება მხიარული და ოპტიმისტურია.

ზემოთ განხილული ორი ბინა წარმოადგენს ორ ურთიერთ-საზინააღდეგო მგაგლითს ერთი და იგივე ფართის გააზრებისა და ნათლად მიუთითებს ინტერიერის ფუნქციურ-მხატვრული ორგანიზაციის უნარის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

საკუთარების ინტერიერის საკითხები საჭარტაგლოში როგორც პრაქტიკოს არქიტექტორთა, ასევე არქიტექტურის მკვლევართა ინტერესების სფეროს მიღმა იყო. იგი არ ყოფილა და დღესაც არ არის კომპლექსური პროექტირებისა და კვლევის საგანი. შესაბამისად არ გავგანჩია საჭარტაგლოის კლიმატური, ყოფით-საექსპლუატაციო და დემოგრაფიული მოთხოვნებიდან გააზრებული ბინის ინტერიერის ორგანიზაციის საპროექტო რკინომენდაციები. ყველა ინდივიდუალური თუ ტიპობრივი სქემატი, რომლითაც გაშენებულა ან დღესაც მიმდინარეობს მასობრივი ბინათმშენებლობა საჭარტაგლოში, გააზრებულია ბინა — როგორც ოთახების ჯამი, რომელიც უნდა მოეწყოს კორპუსული ავეჯით და არცერთი მათგანი უფრო დეტალურად არ სწავდება ყოფის ორგანიზაციის საკითხებს, არ არის გამოყენებული გაცილებით რაციონალური და საექსპლუატაციოდ მოხერხებული კარადა-ტიხრების, სვეტური და სტელაჟური ავეჯი, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ასრულებენ როგორც ავეჯის, ასევე გვიმარების ფუნქციებს. სტაციონალური ტიხრები უნდადგეს ბინის ტრანსფორმაციის შესაძლებლობებს ოჯახის დემოგრაფიულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ყოველივე ამან ატობმატურად განაპირობა ბინის დიფერენცირებული ეტაპობრივი ფორმირება: 1. გვემარებით

ორგანიზაციად (დამპროექტებელთა კომპეტენცია) და 2. მოწყობად (მოხინდრეთა კომპეტენცია).

ბინის ინტერიერის ფუნქციურ-მხატვრულ საკითხთა დი-  
ლექტანტ ხელოსანთა ხელში გადასვლამ ძირითადად ფართო  
მასების საცხოვრებელი მათ მხატვრულ-გამომგონებლურ  
უნარს დაუქვემდებარა. ეს პროცესი განსაკუთრებით საკრძინო-  
ბია ომის შემდგომ წლებში. „გაფორმების“ მიზნით საც-  
ხოვრებლის ინტერიერში ფეხმოკიდებულმა კედლისა და ტე-  
რის მხატვრობამ, რომელიც წარმოადგენდა წარსული არქი-  
ტექტურული სტილების კედლისა და ტერის რელიეფური და-  
მუშავების (ძერწვით) ხერხების იაფფასიან მიბაძვას, ფარ-  
თოდ გავრცელებულმა ფაიფურის სტატუეტებმა, ბრჭყვილა  
ნივთებმა, რომლებმაც შეავსეს „თავისუფალი“ ადგილები ავე-  
ჯის თაროებზე, ცალობრივად გამოშვებულმა სტილისტურად  
შეუსაბამო ავეჯმა და სხვამ ძალზე უარყოფითი როლი შეას-  
რულა ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს ორგანიზაციის საქ-  
მეში და იგი დიდი ხნით ააქდინა განვითარების სწორ გზას.


მცირეგაბარიტიანმა ბინათმშენებლობამ მთელი სივრძე-  
სიგანით დააყენა ფართისა და სივრცის რაციონალური ორგა-  
ნიზაციის აუცილებლობანი, მოითხოვა ინტერიერის შემოქმე-  
დებით პრობლემების პრინციპული გადასინჯვა.

ნორმა 9 მ<sup>2</sup> შეიძლება ჩაითვალოს დამამაყოფილებლად  
მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი საცხოვრებლის (ფართო გა-  
გებით) ყველა საკითხი გააზრებულია კოორდინირებულად,  
კომპლექსურად, სადაც ყველაფერი ემორჩილება პარამონიულ  
ინტეგრაციას.

სათავსოთა მრავალფუნქციურობა და ოჯახის დემოგრაფი-  
ული სტრუქტურის განწყვეტილი ცვლილებანი ვერ იგუებენ  
„კაპიტალურ“ ინტერიერს და ითხოვენ სივრცის მაქსიმალურ  
ვარიანებულრობას. ვარიანებულობის განხორციელებისათვის  
აუცილებელია სხვადასხვა რიცხვობრივი ოჯახის შესაბამისი  
უსაყრდენო სივრცე, რომელიც ასაწოები, დასაკეცი, გასაწევი,  
დასახვევი (სურ. 5) და სხვა სახის ტიხრების, კარადა-ტიხ-  
რების, (სურ. 6) სტელაური და სექციური ავეჯის საშუალე-  
ბით გეგმარდება ყოველი კონკრეტული ოჯახის საჭიროებისა-  
მებრ და პერიოდულად ტრანსფორმირდება თვით ოჯახის  
მიერ.

მცირეგაბარიტიანობამ პრინციპულად შეცვალა ავეჯის ხა-  
სიათი. კედელთან ზურგიით „დაბმული“ კორპუსული ავეჯი  
დაიძრა კედლიდან, შეუთავსდა ტიხარს და გაათავისუფლა  
ფართის მნიშვნელოვანი ნაწილი. ცალობრივი და ნაკრები  
კორპუსული ავეჯის პოზიციების დათმობა აღმავალი ტენდენ-  
ცია და თუ დღეს ძირითადად კარადები (ტანსაცმლის, წიგ-  
ნის, ტურჭლის, თეთრეულის) შეუთავსდნენ ტიხარს, მომავალ-  
ში, შესაძლოა, სხვა ავეჯმაც (მაგ. საწოლი, მაგიდა) გადაი-  
ნაცვლოს კედლისკენ.

სივრცისათვის ბძობლამ განაპირობა ავეჯის მრავალფუნ-  
ქციურობა და ვარიანებულობა, რის შედეგადაც ტრადიციული



ტამბურის ორგანიზაცია (ლიტვა)

სტატური ინტერიერის ნაცვლად ვლბულობთ დინამიკურ ინ-  
ტერიერს, რომელიც იცვლება პერიოდულად ყოველდღიური  
ოჯახური პროცესების შესაბამისად.

ამრიგად, თანამედროვე ბინა გარკვეულად ემსგავსება თე-  
ატრალურ სცენას, სადაც ერთი და იგივე სივრცე საჭიროებო-  
სამებრ ემორჩილება ადამიანის ნებას, სადაც უმნიშვნელოვანეს  
გეგმარებით ელემენტად გვევლინება ავეჯი.

ყოველივე ამის გამო ზღვარის გავლება ბინის გეგმარებით  
ორგანიზაციასა და ინტერიერის მოწყობას შორის, საცხოვრებ-  
ელი სექციის და ავეჯის პროექტირებას შორის (რასაც ადგი-  
ლი აქვს დღეს ჩვენს პრაქტიკაში) ყოვლად დაუშვებელია,  
მითუმეტეს, რომ მასობრივი ტიპური ბინათმშენებლობა ამის  
განხორციელების იდეალურ პირობას, საოჯახო ყოფაში მუშ-  
ჩანობისა და პრიმიტიულობის გამოვლინებათა ლოკვიდაციის  
საუკეთესო საშუალებასაც წარმოადგენს.

პეტერ-პაულ რუბენსი.  
კამერისტკა

ოგიუსტ რენუარი.  
ჭალი მხარათი



## ხელოვნების საბანკური



პარმენ ზაქარაია



ვენმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟის დაარსების 200 წლისთავი. აქ გამართულ დიდ ზეიმში მონაწილეობა მიიღო როგორც ჩვენი რესპუბლიკებიდან, ისე უცხოეთიდან ჩამოსულმა მრავალმა სტუმარმა. ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ხელოვნების ამ დიდ საგანძურს გადაეცა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. ახლა მას უკვე ეწოდება „ლენინის ორდენისანი სახელმწიფო ერმიტაჟი“. სხვადასხვა ორდენებით იქნენ დაჯილდოებული აგრეთვე ერმიტაჟის თანამშრომლები.

ლენარდო და-ვინჩი.  
მ. ჯონა ლიტა

ვან-დეიკი.  
ავტობოტრატები

როგორც ცნობილია, ერმიტაჟი მოთავსებულია ე. წ. ზამთრის სასახლეში (რუსეთის იმპერატორთა ყოფილი რეზიდენცია). მცირე ხავეზობის მაგივრად აქ 1754-1762 წ.წ. ვ. რასტრელიმ ააგო სასახლე, რომელიც რუსული არქიტექტურის სიამაყე და მსოფლიო ხურომოთღვრების შედეგებია.

1764 წელს აქ ჩაისახა ერმიტაჟის ისტორია. მაშინ მუზეუმს რამდენიმე დარბაზი ეკავა, ხოლო რევოლუციის შემდეგ მას გადაეცა მეფის სასახლის მთელი ანსამბლი.

ეკატერინე II, აგრძელებდა რა პეტრე I მიერ დაწყებულ გზას, აგენტების მეშვეობით ეძებდა ძვირფას ნახატს, ქანდაკებას თუ ანტიკვარულ ნივთს. მისი ელჩები, დიპლომატიური წარმომადგენლები არ უშვებდნენ არც ერთ ხელსაყრელ მომენტს აუქციონზე, რათა შეეძინათ ყველაფერი კარგი, რისი შექმნაც კი შეიძლებოდა.

პირველი მხატვრული ნაწარმოებები სწორედ 1764 წელს იქნა შექმნილი პრუსიაში. მალე ფონდებს მიემატა დრეზდენიდან, ჟენევიდან, ამსტერდამიდან, პარიზიდან, ლონდონიდან ჩამოტახილი მხატვრული განძეულობანი. რამდენიმე წლის შემდეგ საჭირო გახდა ახალი დარბაზებისა და პავილიონების აგება.

საინტერესოა თვით სიტყვა „ერმიტაჟის“ წარმოშობაც. მეფეებს სჭირდებოდათ მყუდრო ადგილები, სადაც დაისვენებდნენ ყოველდღიური საქმეებისაგან. ასეთ ადგილს ვერსა-ლის სასახლეში ერქვა Ermitage. მისი მიზაძებით პეტერ-ბურგის სასახლესთანაც შეიქმნა ერმიტაჟი. იმპერატორის სიცოცხლეში ერმიტაჟის სიმდიდრის ნახვა მხოლოდ მისი ნებართვით შეიძლებოდა.

XIX ს. პირველ ნახევარში ერმიტაჟის კოლექციების ზრდა ძალზე ნელი ტემპით მიდიოდა, ვინაიდან ინტერესი შენეულა, თანაც ნაპოლეონის ომებმა დიდად შეაფერხა ევროპაში დიდი თუ მცირე კოლექციების შექმნის საკითხი.

ნიკოლოზ I ხელოვნების მოყვარულად თვლიდა თავს, მაგრამ ბევრი რამ ემსხვერპლა მის სიმაკაცრეს, გაუნათლებლობას. მაგალითად, 1834 წ. იმპერატორის ბრძანებით კოცონზე დაწვეს 109 სურათი, რომელიც მას არ მოეწონა.

ვოლტერის ბიბლიოთეკა ისეთ „ცხრაკლიტულში“ მოათავსეს, რომ მისი უბრალოდ ნახვა არავის შეეძლო. ეწინოდით, რომ ვოლტერის აზრები არ გაეცემებოდათ.

ვინაიდან ერმიტაჟის საექსპოზიციო დარბაზები ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნას, 1839 წელს მიუნხენელი არქიტექტორის კლენცის პროექტით დაიწყო მშენებლობა (მშენებლობაში მასთან ერთად მონაწილეობდნენ არქიტექტორები ვ. სტასოვი და ნ. ფიმიოვი). სპეციალური საგამოფენო დარბაზების მქონე დიდი ნაგებობა დამთავრდა 1852 წ. იგი მოდგმული იქნა ძველი ერმიტაჟის მხარეს. განთავისუფლდა ფელტენისა და დელაშოტის მიერ ადრე აგებული დარბაზები. ისინი რეკონსტრუქციის შემდეგ მიემატა მეფის სასახლეს.





ახალ საგამოყენო შენობას „იმპერატორის მუზეუმი“ ეწოდა და მთელი კოლექცია მასში გადავიდა.

ისევ იწყება ახალ-ახალი კოლექციების შექმნა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ამ პერიოდის შენაძინებულ ალხანინშა-ვია არა ერთი პირველხარისხოვანი სურათი — ტიციანის, ვერონეზეს, გვიდო რენის, ველასკესისა და სხვათა. მრავალღებდა ერმიტაჟის არქეოლოგიური ფონდები ბოსფორიდან. სკეითეების მეფისა და მისი მეუღლის საფლავს ორი ათასამდე ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და სხვა ნივთები ამოყვა.

ახალი მუზეუმისათვის გადარჩეული იქნა 1600 სურათი. 1000 სურათი ნიკოლოზ I-მა დიდებულებში თუ სხვადასხვა დაწესებულებებში დაარიგა. მაგრამ ყველაზე დიდი უზედურება ის იყო, რომ 1812 ექსპონატი არსად იყო „გაწესებული“ და ისინი, როგორც „უვარგისნი“, გასაყიდად გაიტანეს. ამის შედეგად გაიყიდა: ჯორჯონეს, კარავაჯოს, ტინტორეტოს, რემბრანდტის, რუბენსის, ვან-დეიკის, ვერონეზეს, ველასკესის, მურილიოს, ვატის და ბევრ სხვა გენიალურ შემოქმედთა ნაწარმოებები.

ახალი სიტუაცია, ახალი ატმოსფერო ევროპასა და კერძოდ რუსეთში ნი-იანი წლების დასაწყისში იძულებულს ხდის იმპერატორს, რომ მუზეუმის კარი მთლიანად თუ არა, ცოტათი მაინც გამოაღოს. ერმიტაჟის დაარსების ასი წლის შემდეგ ხალხის წარმომადგენლებს ასე თუ ისე მაინც შეეძლოთ მოხვედრა გამოყენებაზე.

ღრუბებითი მთავრობის დროს მხოლოდ ცოტა რამ იცვლება ერმიტაჟის ცხოვრებაში. ნამდვილად ხალხის სამსახურში მუზეუმი მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დგება, ქვეყანა მტრებს იგერებდა და შიგნით კულტურის საკითხებს აგვაბრებდა. მალე მუზეუმს დაუბრუნდა სასახლის ის ნაწილი, რომელიც პირველი ასი წლის განმავლობაში ეკუთვნოდა. შემდეგ კი მთელი ზამთრის სასახლე გადაეცა ერმიტაჟს.


საბჭოთა პერიოდში შეიქმნა და გამდიდრდა ერმიტაჟის ფონდები. ამ მხრივ შესამჩნევი შევსება ხდება პირველ წლებში, როდესაც მუზეუმს მიემტა ნაციონალიზებული კერძო კოლექციები და მეფისა და დიდებულთა სეიფებში გადანახული იშვიათობანი. მასვე დაუბრუნდა ის აურაცხელი სიმდიდრე, რომლის გატაცებას აპირებდნენ, მაგრამ ვერ მოასწრეს.

ერმიტაჟის თანამშრომლებმა მაღალ მეცნიერულ დონეზე აიყვანეს სამუზეუმო-საექსპოზიციო მუშაობა. ახლა აქ არა მარტო დასავლეთ ევროპის მხატვრობის გამოყენებაა, არამედ თავმოყრილია თითქმის მთელი მსოფლიოს კულტურის ამსახველი ექსპონატები. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა თვალის გადევნოთ მრავალი ქვეყნის ხელოვნების ისტორიას თითქმის კაცობრიობის არსებობის მთელს მანძილზე. მსოფლიოს დიდი მუზეუმებს არ ამშვენებს ისეთი შედეგები, როგორც ერმიტაჟშია თავმოყრილი.



პოლ გოგენი  
ტაიტელი ქალი

პაბლო პიკასო  
აბსენტის მოყვარული



ელვარდ გრიგის სახლი ბერკეში

სოფლის მეურნეობას. ამდენად, საგარეო ვაჭრობა ნორვეგიის ერთ-ერთი სასარგებლო წყაროა. ექსპორტს კი წარმოადგენს თევზი, ხე-ტყე, ქალაღი, აბრეშუმი, ქიშ. პროდუქტი და სამთამანდნო მეტალურგიული ნაწარმი.

უცხოელისათვის ნორვეგია დედამიწის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო კუთხეა, სადაც ტყით დაბურული მიწები, ზღვა, მინდვრები ადამიანის ხელით კიდევ უფრო გაკეთილშობილებული და გალამაზებულია. არ შეიძლება ეს ქვეყანა ნახო და მან არ მოგაჯაღოვოს, საოცარი სიმკვეთრით არ აღიბეჭდოს მესხიერებაში.

ამ მოგზაურობიდან პირველი ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა ვიკინგთა გემმა (X-XI ს.), რომელიც გასული საუკუნის ბოლოს ოსლოფიორდის ფსკერიდან ამოიღეს. ეს ე. წ. ოსიერგის გემი შავ ელვებანტურ გედს მოგვაგონებს თავისი ნატიფი პროპორციებით. მისი სიგრძე 25 მეტრია, სიგანე 6-8 მ. ხელნაწერების ამ შესანიშნავ ქმნილებაში შერწყმულია სიძლიერე, გონიერება და გემოვნება. მნახველს ნათლად წარმოიდგება თვალწინ, თუ როგორი მდიდდური, მამაცი მეთომრები იყვნენ ამ ხომალდების მფლობელი ნორვეგიელი მეკობრეები — ვიკინგები, რომელნიც ამ გემებით გარდა ატლანტიკის ოკეანისა, ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვის სამხრეთისაკენ ახერხებდნენ გადასაცვლებას. მოპოვებული ნადავლი მათ ზოგჯერ არაბებამდე მიჰქონდათ. გემში აღმოჩენილი ინვენტარი ისე კარგადაა შენახული, რომ იმდროინდელი კულტურის დონის სრულიად ნათელი სურათის აღდგენა შეიძლება. გემთან ერთად ამოიღეს ოთხ ბორბლიანი, ნატიფი ფორმის ეტლი და მოჩუქურთმებული მარხილი, რომელიც ყოველი ნორვეგიელისათვის ისეთივე აუცილებელია როგორც ნავი. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მისტიურ დრაკონთა ოქროს თავები, რომელნიც მარხილის წაწმინდადებდნენ და „მოგზაურობისას გზაზე ავი სულები უნდა გაეფანტათ“. სამხედრო იარაღი, სამეურნეო ნივთებიც სრულიად შეესატყვისებოდა ნორვეგიელ მეთომარ-მეკობრეთა ძალს და სიმდიდრეს. ვიკინგების გემების წარუშლელი სახე ჩვენ თან გვედგება ათი დღის მანძილზე, სანამ ამ ქვეყანაში ვიმყოფებოდით.

# გეორგიის გზის ქვეყანაში

მანანა ქიქოძე

სორვეგიის ევროპელები „შუადამის შვის ქვეყანას“ ეძახიან. მართლაც, საღამოს 11 საათზე ნორვეგიაში ჯერ კიდევ მზე ანათებს და დილის 4 საათზეც აღარ ბნელა. ნორვეგია ლამაზი ფიორდების ქვეყანაა. ფიორდები მაღალ მწვერვალებშია შეჭრილი და როდესაც უახლოვდები ან თვითმფრინავიდან დასცქერი, ისეთი შთაბეჭდილება გეკმნება, თითქოს მთები ჩაუძირაიათო ზღვაში. ნორვეგიაში დაახლოებით 4 მილ. მოსახლეა... უმთავრესად მეთევზეობას, ტყისა და სამთამანდნო მეურნეობას ეწევიან. თავისი მდებარეობის გამო ნორვეგიელი მოსახლეობის მხოლოდ 20% მისდევს

შიშენელოვან სანაზაობას წარმოადგენს აგრეთვე პირველი პოლარული პოლუსის აღმოჩენელთა ხომალდი, რომელსაც „ფრამ“ — „წინ“ ეწოდება. „ფრამი“ აგებულია ფრიდტიოფ ნანსენის ინიციატივით. ამ გემმა სამზღის იმოგზაურა. პირველად 1893-96 წ. ნანსენის მეთაურობით ისლოდან ნორვეგიის შემოვლით, რუსეთის სანაპიროებზე გავლით ჩრდილოეთ პოლუსამდე მიაღწია. ამ მოგზაურობით ნანსენმა დააპტაცია თავისი მეცნიერული თეორია ოკეანის შესახებ და დამატებით მრავალი დაკვირვება აწარმოა ოკეანეთა ბუნების გასარკვევად. მეორე მარშრუტი, 1898-1902 წ. წ. ოტო სვედრდუპის თაოსნობით მოხდა გრენლანდისაკენ. ამ ექსპედიციასაც მეცნიერული მიზანი ჰქონდა დასახლები. მას უნდა გაერკვია აღმოსავლეთ ციმბირის ზღვათა დინამიკა. მესამე კომპანია კი 1910-12 წ.წ. შედგა როალდ ამუნდსენის ხელმძღვანელობით, რომელმაც სამხრეთ პოლუსი დაიპყრო. „ფრამი“ — უსამართლო ვენია, შეიცავს კომფორტაბელ დიპლომატიურ საკვლევო დარბაზებს, საცხოვრებელ და საინვენტა-



ვიკინგების გემი

რო კაიუტებს, საველსიოდ განკუთვნილ სათავსებს, საფუთიაჰო და სამედიცინო ოთახებს, საწყობებს და პატარა ქალაქის შობაგებულებას სტოვებს.

ოსლოში ნორვეგიელები უცხო ტურისტებს პირველ რიგში უჩვენებენ ცნობილ ფრიგენერის პარკს, თავისი შადრევნებით, მრავალფეროვანი მცენარეული ნარგავებით, ფერადფერადი ყვავილებით, აუზებით, საესტრადო თეატრით და კაფერესტორნებით. მაგრამ ყველა შობაგებულებას აღმეტანება გუსტავე ვიგელანდის (1869-1943 წ.) სკულპტურულ ნაწარმოებთა ვალერეა ღია ცის ქვეშ. ავტორის მიერ აღგებორთვი ხერხით დაბაჭვილი თემების სხვადასხვაობა ერთ მთლიანობაშია მოქმედობი. იგი გაერთიანებულია ხუროთმოძღვრის ერთი უაღრესად ორიგინალური მანერით. ავტორის ყველაზე საინტერესო ობიექტი ადამიანია, ადამიანის ცხოვრება მის შემოქმედებასთან განუყოფლად არის შესისხლხორცებული, მისი სიყვარულით ხელოვნებისადმი ადამიანისადმი სიყვარულშია გამოვლენილი, პარკის ალაყაფის ჩამაგებულ ბრინჯაოს კარიბჭეში ჩაქსოვილია ადამიანის მიერ დრაკონების დატყვევების სიუჟეტი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს გონიერების ზეიმის მუხების ბნელ ძალებზე. ბრინჯაოს სკულპტურაშია დიდი ჯგუფი დგას პარკის სიღრმეში შემავალ ხიდზე, ამ ქანდაკებებშიც სიმბოლურად გააზრებულია ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მხარეები და თვისებები. ხიდის დასასრულს აღმართულია ბრინჯაოს ორი რგოლი, ერთს მასში მოქცეულია ხელები და ფეხები გაშლილი ადამიანები ატრიალებენ. ეს ცხოვრების ჩარხია. მეორე რგოლში კი გადმოცემულია ადამიანის ბრძოლა ცხოვრებისეული სიმძლევიდან თავის დასაღწევად ადამიანთა სხეულები ეხერხებიან ამ რგოლს და ცდილობენ ადამილიონ, განათავსოფლდნენ ამ მუდმივი მოძრაობისაგან. ხიდის ქვეშ ბავშვებისათვის არის მოწყობილი სპეციალური მოედანი: ხელოვნური ტბით, პატარა ნავით, გედებითა და მტრედებით.

პარკის ცენტრალური ადგილი უჭირავს შადრევანს. შადრევანს ირავლივ გარს არტყია ბრინჯაოს კედელი, რომელზედაც 60 რელიეფური ფიგურა გამოქრწურული. კედლის თავზე აღმართული სკულპტურული ჯგუფები ასახვენ ადამიანის ბავშვობას, სიყმაწვილეს, სიჭაბუკეს, სიმწიფის წლებს, სიბე-

რეს და სიკვდილს. შადრევანის ირავლივ დაყოლებულია შავი და თეთრი მოზაიკა მონაცვლებით, რომელსაც ლაბირინთი ეწოდება. ესეც სიმბოლური მნიშვნელობისაა. ეს ის მწელი და მძიმე გზაა, რომელიც ადამიანმა უნდა გაიაროს თავისი არსებობის მანძილზე. თითონ შადრევანს კი ქმნის 6 მამაკაცის შავი გრანიტის ფიგურა (2 ჩვეულებრივი ადამიანის ზომის), რომელთაც ხელში უჭირავთ თასი, საიდანაც წყალი ამოდის. ეს თასი ცხოვრებისეული ტვირთია. ყოველ ფიგურას იგი თავისებურად უჭირავს. თუ ერთი მთელი სიმძიმით ეწოდება ამ თასს, მეორე უფრო ნაკლებად ცდილობს დაიტვირთოს თავი, მესამე საერთოდ გაურბის ტვირის და ერთი სიტყვით ისე, როგორც ეს ხდება კიდეც.

ფროგენერის პარკის ყველაზე ამაღლებულ ადგილას აღმართულია გრანიტის 17 მეტრიაანი მოხოლითი, რომელიც ვიგელანდმა 9 თვე ძერწა. იგი 2700 ტონიანი ქვის ლოდია რომლის ამოტანა და ადგილზე დადგმა 2 წელი გრძელდებოდა. ვიგელანდმა ამ მოხოლითზე თავისი რწმენა ჩააქსოვა. მოხოლითი შედგება 120-მდე ერთმანეთში გადახლართული ადამიანის სხეულისაგან. იგი იწყება დახოცილი სხეულებით, რომელიც ზევითივე მოძრაობაში მიდინს და რაც უფრო ზევითი აყოლებთ თვალს, დინახავთ, რომ ადამიანთა სხეულები საოცარ დინამიზმობაში გადადინს. შეიძლება იფიქრო, თითქოს ეს სიცოცხლის გამარჯვება იყოს სიკვდილზე, ან ადამიანთა ლტოლვა სიმაღლეებისაკენ, სინათლისკენ, იდეალისაკენ. განცვიფრებას იწყებს ავტორის საოცარი პროდუქტიულობა, მისი შემოქმედების მრავალფეროვნება და ინტელექტუალური სიღრმე.

აქვე მინდა მოვიფიქრო ის სასიამოვნო სახანაობა, რომელმაც არანაკლებ შობაგებულება მოახდინა ჩვენზე ფროგენერის პარკში. ეს იყო ნორვეგიული ახალგაზრდა, რომელიც ნორვეგიის განათავისუფლების ეროვნულ დელეგატულს 17 მასის ზეიმობდა. პარკთან 3-4 ძველი მარკის მანქანა გაჩერდა. მანქანები წითლად იყო შეღებილი და თეთრი ასიებით წარწერები ქმნიდა გაკეთებული. წარწერების ამოკითხვა ცხადია, ჩვენ ვერ მოვახერხებთ. მანქანებიდან გადმოვივადენ 15-17 წ. ქალ-ვახეი, რომელიც წითელ და ლურჯი ემბლემიანი ტანისამოსი ეცვთა და წითელი ფეხებიც ეხურათ (ყოველ სასწავლებელს თავისი ემბლემა აქვს: კიბო, თევზი, ჭობტი, ობობა, თხა, კახეი, დრაკონი და სხვ.). ეს ახალგაზრდები საგანოცოდ არიან დახოხვნილები, ისინი ვივილ-ხივილით შემოვივადენ, შემოვგვსიუნ და ჩვეთვის გაურკვეველი შექაზილებით მოგზაართვადნენ, ტროსტები ეჭირათ ხელში და მიწაზე არტყამდნენ. ამ დღესასწაულის პერიოდში ახალგაზრდობას ნება ჰქონდა დაერგვია მოქალაქეობრივი წესრიგი. მაგ. ისინი ქალაქში მოედნებზე მდგარ ნორვეგიის ცნობილ მოღვაწეთა ყველა ქანდაკებას თავიანთი ქედებით ამკობდნენ. ქუჩეში მიმოსვლის წესებს არ ემორჩილებოდნენ და სხვა. ყველა ამ „ბოროტმოქმედებისსათვის“ პოლიცია მათ პასუხს არ თხოვდა.

თანამდებრივე ნორვეგიის ფერწერის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ედუარდ მუნკის ნამუშევართა გამოფენა, რომელიც თანამდებრივე არქიტექტურის უკანასკნელი სიტყვით აცხებულ შენობაშია ექსპონირებული. ედუარდ მუნკი ნორვეგიული ფერწერის რევოლუციონერად ითვლება. იგი 1944 წ. გარდაიცვალა. მას სიცოცხლეშივე ხედა წოლად საყოველთაო

ალიარება. მუნიციპალიტეტში გამოფენილია 1027 სურათი, 6 სკულპტურა, 44000-მდე აკვარელი და 1500 გრაფიკული ნაწარმოები. გარდა მის პირად გამოფენაზე წარმოდგენილი ნაწარმოებებისა, მას უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზი და შოკოლადის ფაბრიკის დარბაზი მოუხატავს. მუნიციპალიტეტის ფერწერა მდიდარია ფერების სინრაველითა და გამათა ვარიაციებით. მისი შთაფარი თემა ავადმყოფობა, შიში და სიკვდილია. საჭიროა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის არქიტექტურის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი მემკვიდრეობა.

ნორვეგიაში თანამედროვეობა ისტორიას ავსებს. ამის საბუთის ნიმუშია აკრებულის ციხე-სიმაგრე. ოსლოში მდებარე, რომელიც მიუახლოვდება ზღვიდან, ფიორდის მარჯვენა ნაპირს გამოიხატავს შუა-საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ციხე-სიმაგრის სილუეტი. იგი აგებულია 1300 წ. ჰაონ V-ის მიერ. ეს ნაგებობა დინასტიურ ომების მსხვერპლი შეიქმნა და მხოლოდ XVI ს. იქნა აღდგენილი. დღეს აკრებულის ხეივანი მოპირკეთებულ, შეფანდლიან დარბაზებში იმართება პოლიტიკური ხასიათის დარბაზობა და მკვლისები. შენობაში პატარა ბუნებრივი ეკლესია კვირადღებით აწარმოებს მღვდელთმსახურებას. მთელი თანამედროვე ყოფა ნორვეგიაში, წარსულის სიყვარულის გამოხატულებათა, მისი პატრიისციზმის და განდიდების შედეგია. ყველა ახალი, თანამედროვე სტილის და ფორმის საყოფაცხოვრებო ნაგებობაში ისტორიული მოტივების თავისებურად განთავსებისა და მათი ახალთან შერწყმის ცდა იგრძნობა. ეს უნარჩუნებს ნორვეგიულ ხელოვნებას ტრადიციულ ეროვნულ სახეს. ამიტომაც მთელი ეს ქვეყანა თავისი ბუნებრივი თვისებებით, საყოფაცხოვრებო ნაგებობებითა და ხელოვნების ნაწარმოებებით ერთ მთლიანობაში ძალზედ თვითმყოფადია და ორიგინალურად აღიქმება. ციხე-სასახლის მთავარ შესასვლელთან მეორე მსოფლიო ომში გერმანულთა მიერ დაზარალებული ნორვეგიელების პატარა საფლავია, ამ ყაიდის საფლავებს მადლიერი მამულიწვილი დიდი პატრიისციზმით უვლიან. სადა საფლავის ქვის მარჯვნივ და მარცხნივ წითელი ბაზალტის ჯვრები დგას. მათ ძირას მუდმივი ცეცხლი ათობა, ასევე მუდამ ყოფილების კონა ამკობს იქაურობას.

ნორვეგიული ყოფის მეტად მომხიბლავ სურათს შლის ბიგდოს ფოლკლორული მუზეუმი, რომელიც ღია ცის ქვეშ არის მოწყობილი, და დაახლოებით 50 სახლს თვლის. სახლების წინ დგანან ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ქალები, იმ ტანისამოსში, რომელ კუთხვსაც ისინი წარმოადგენენ. (ისინი ექსპურსიამბლოდის ფუნქციასაც ასრულებენ) სახლები უთავრესად დარბაზული ტიპისაა. ყველაზე დიდი დარბაზის შუა გულში მოთავსებულია ცეცხლისათვის. დანარჩენი ოთახები დამხმარე მეურნეობისათვის არის განკუთვნილი ან საძინებლებია. საძინებლები ძალზედ მოკლეა, რადგან ნორვეგიულ გულს თურმე მდგომარეობა უნდა სძინებოდეს, მტრის თავდასხმისა ან მოსალოდნელი ხანძრის შემთხვევაში ფხიზლად უნდა ყოფილიყო. საცხოვრებელი სახლების გარდა ამ ტერიტორიაზე იმერული ტიპის ბუდელები და სასიზმნდებელი აქვია XVII ს. ორსართულიანი ლუთერანული ხის ეკლესია, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. იგი ხეზე



XVII საუკუნის ხის ეკლესია

მოჩუქურთმების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს და ნორვეგიელთა ხის დამუშავების მდიდარ ტრადიციას ასახავს.

ნორვეგია ხომ ხე-ტყის ქვეყანაა, გვიან ფოლადურ ხანაშიც აქ განსაკუთრებით ხის სახლებს აგებდნენ. ბერგენისა და სტავანგერის სასტუმროებში, სადაც მოზრდილი ქვის შენობებში ვიყავი გაჩერებული, ფანჯრებთან გვიდა ძალიან მსხვილი მცხვილი დაგვიხილა ბაწარი, რომელიც ხანძრის შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა მაცხოვრებელს. ახლა მას მხოლოდ სიმაბოლური ხასიათი აქვს. ხის ნაგებობათა ხანძრის საშიშროება დღესაც შემორჩენილია ნორვეგიელთა ფსიქოლოგიაში.

დიდი ინტერესს იწვევდა ჩვენში უნივერსიტეტის ნახვა. უნივერსიტეტის სტუდენტთა მთელი ჯალაქი არსებობს, რომლის მოზრდილი, მოდერნისტული სტილით აგებული შენობა რექტორატს, სააქტო დარბაზებსა და დეკანატებს შეიცავს. უნივერსიტეტში მივიღო რექტორმა ჰანს ფოსტმა, რომელსაც საქართველოში უცხოვრია ქართული ენის დასაუფლებლად და იმდენად შეუწყავლია, რომ იგი დღესაც ქართული გრამატიკის საკითხებზე მუშაობს. მე მქონდა ბედნიერება პატივცემულ პროფესორს ქართულ ენაზე გამოცხადებოდა, რომელიც მის-

თვის საქართველოს მოსაგონებლად ჩატანილი მცირე საჩუქარი და მოკითხვა გადასევა ქართველი მეგობრებისაგან. პროფესორმა ფოტმა დადიანიველით მოიგინა საქართველოში გატარებული ხანა და მოკითხა ქართველი მეგობრები.

ოსლოს უნივერსიტეტს ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს, მასში 10.000 სტუდენტი ირიცხება. უნივერსიტეტის ახალ ტერიტორიაზე ისტორიის, ფილოსოფიის, ფილოლოგიის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და სოციალური ფაკულტეტებია. დაუსრულებელი ფაკულტეტი კი ცალკე უნივერსიტეტშია. აქ გარდა ნორვეგიელებისა, 190 უცხოელი სტუდენტი სწავლობს. განათლება ნორვეგიაში უფასოა. 75% სტუდენტებისა იღებს სესხს სახელმწიფოსაგან. შესასვლელი გამოცდები ფასიანია. მაგ. ამა თუ იმ ფაკულტეტზე შესასვლელი გამოცდები, დაახლოებით 100 კრ. უდრის. რაც შეეხება, საერთო საცხოვრებლის (ხშირად ოჯახებით ცხოვრობენ სტუდენტები), მოგზაურობის ბიუროს, ჯანბრუნების დაჯილდოვების, წიგნების მაღაზიების, საბავშვო ბაღების, სასწავლო წიგნების გამომცემლობის, სასაუზმე რესტორანების შენახვისათვის თითოეული სტუდენტი სემესტრში 20 კრონს (დაახლოებით 2 მანეთს) იხდის. უნივერსიტეტთან არსებებს უზრუნველყოფის კანტორა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებს სამუშაოს მოძიებასა და მოწყობაში. არსებობს აგრეთვე სტუდენტთა ორგანიზაცია, რომელსაც ევალება სტუდენტების საყოფაცხოვრებო საკმეების მოვარება. სახელმწიფოსაგან ამ ორგანიზაციას 1 მილ. კრონი აქვს გამოყოფილი. სტუდენტებისათვის ლექციებზე დასწრება აუცილებელია, კურსის დამთავრება და დიპლომის აღება კი ნებისმიერი. სურვილისთავე დიპლომის მისაღებად 5-6 წლის ბოლოს პრაქტიკით გათვალისწინებულ საგნებს აბარებენ. უნივერსიტეტსა და კვლევით ინსტიტუტებში კურსდამთავრებული სტუდენტები მაგისტრისა და ასისტენტის ხარისხს იღებენ. ხოლო პროფესორობისა და დოქტორობისათვის საჭიროა რომელიმე თემის დამუშავება და მისი დაცვა.

უნივერსიტეტის ტერიტორიაზევე კვლევითი ინსტიტუტებია, საერთო საცხოვრებლები, ბიბლიოთეკები, ფიზკალტურული დარბაზები. უნივერსიტეტის ცენტრალურ მოედანზე დგას სკულპტურა, რომელიც ჰაერს განასახიერებს და თითონ ნორვეგიელები ამბობენ, რომ იგი სტუდენტებს ცოდნას ასახავს, რომელსაც ისეთივე ხარვეზები აქვს, როგორც ამ ქანდაკებას.

ოსლოში ჩვენ მოგვიწყო შესვლამა ნორვეგია — სსრ კავშირის ურთიერთობის საზოგადოება (რომელიც 1945 წ. დაარსებულა და რომელიც 65 კოლექტივია გაერთიანებული) ეს საზოგადოება 29 განყოფილებას შეიცავს და მასში დაახლოებით გაერთიანებულია 23 000 კაცი. საზოგადოების საბჭო ყროლომის მიერ ირჩევა 3 წელწადმი ერთხელ. საბჭოს საათობრო ხმა აქვს, ყროლომა კი უზუნაეს ხელისუფლებას წარმოადგენს. საზოგადოებასთან არსებობს კომისიები ხელოვნების, მეცნიერების, პროფკავშირის, ლიტერატურისა და ახალგაზრდობის. მათი მიზანია თავისი პროფილით ნორვეგია — სსრ კავშირის ურთიერთთანამშრომლობა განავითარონ. იგი საზოგადოებრივ საწყისებზე არსებობს, მისი შემაღენ-

ლობა მრავალფეროვანია, ამიტომაც მუშაობა სხვადასხვა სულისკვეთებით მიმდინარეობს. ამ ორგანიზაციის თავისი მუქედვით ორგანო აქვს, რომელიც დაახლოებით თვეში ერთხელ გამოდის. საზოგადოებამ ამ ბოლო ხანს, დიდი მუშაობა ჩაატარა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაულის მოსაწყობად.

დღი სიყვარულია და პატივით მივიღო ცნობილმა პასტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, რეგნარ ფორბეხმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის დიდ მეგობრად თვლის თავს. მან დაგვათვალთვინა ოსლოს ყველაზე დიდი და ძველი კათედრალი „ბურჯი“, რომელიც დღეს ოსლოს სულიერი ცხოვრების მამამთავრად ითვლება. რეგნარ ფორბეხი ჭადარა, ლამაზი, მწიფე და ბრვე მიხუტდა. აშკარად ჩანს, რომ ის ძველი ვიკინგების შთამომავალი უნდა იყოს. იგი ამ კათედრალში 17 წლის მანძილზე ჭადაგებდა ფეხის სამსახურს, მოყვასთა სიყვარულსა და ადამიანთა შორის შვიდილობს და ამიტომაც ლენინური პრემიით დააჯილდოეს. ეს კათედრალი 1690 წ. არის აგებული, 4 ნაგვიან, წითელი, გამომწვარი აგურის ჯვრის ტიპის ტაძარია და ყველაზე მთავარ კათედრალად ითვლება მიიღს ნორვეგიაში. აქ ხდება სამეფო კორონაცია, საკლესიო პირთა დაგვირგვინება და მიუხედავად იმისა, რომ იგი ითვლება სახელმწიფო ეკლესიად, მას მაინც ფაქტურად შეუვალაობა აქვს მოპოვებული. მიიღი კათედრალის შიდა კედლები მოხატულია ცნობილი ნორვეგიელი მხატვრების მიერ.

ოსლოში ოთხი დღე დავავაით და შემდეგ გავუდგეტი გზას ბერგენისაკენ, უმშვენიერესი ქალაქისკენ, რომელიც ოსლოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და ნორვეგიის მუსიკისა და თეატრის სამშობლოდ ითვლება. ბერგენისაკენ მხატვრულით წავედი. გავიარეთ დაახლოებით 180 გვირაბი, ულამაზესი ტყით დაფარული მიდამოები, მივაღვეით ყინულთან მწვერვალებს. გზაზე შეთხილამურეები გვგვებდოდნენ. ვიკუნდავით მათთან ერთად; ადგილობრივი მკვდინი ამბობენ, რომ ყოველი ნორვეგიელი თხილამურებით იბადებაო. მართლაც ნორვეგიელი ბავშვი 2 წლის ასაკიდან თხილამურზე დგას. ასევე დაუფლებლობა ნავის ნიშნებს. მთა და ზღვა ნორვეგიელის ცხოვრების მუდმივი ადგილსამყოფელია.

განსაკუთრებით შესამჩნევია ნორვეგიელთა სიყვარული მცენარეული კულტურისადმი, იქ ყველაწიარით ხარისხსა და ფერის ხეს წააწყდებით. ყვავილები ხომ, მათი ჯიხტი მხარეა. არ არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულება ან კერძო სახლი, რომ მას ყვავილები არ აშვენებდეს.

ნორვეგიის ჩქარი მდინარეები, თვალწარმატება ჩანჩქერები, მთის ძირში მოულოდნელი ტბები წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებენ. ქალაქი ბერგენი ე. წ. ტროლდების ბორცვზეა გაშენებული. ტროლდები ნორვეგიელი ფოლკლორის პერსონაჟებია. დღესაც შემორჩენილია მრავალი ზღაპრული სიუჟეტი, რომელიც საუფუძლად დავიდ როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ისე მუსიკასაც. კერძოდ ედუარდ გრიგის ცნობილი „პერ-გიუტუსი“, რომელიც იმავე სახელწოდების დრამის მიხედვითაა შექმნილი.



ბერგენის ჩამოვლილ სახეს მთლიანობაში მაშინ წარმოიდგენ, როდესაც მის ფუნქციონირებზე ახალ-ეს მეტად კომფორტაბელური, კეთილმოწყობილი პლატაო, თავისი შესანიშნავი რესტორანი, საიდანაც მთელი ბერგენი ხელისუფლებით ჩანს. (რესტორანში ჩვენი შესვლისთანავე რამდენიმე რუსული სიმღერა შესრულებს სიმბრუნებებში გამოწყობილია შევიტარებებსა). მწვანეში ჩაფლული სხვადასხვა ფერის წითელსაზურავებიანი სახლები, შადრევანიანი ბაღები თვალწარმოტაც სანაპიროს წარმოადგენენ. ქალაქში მუსიკალური ფესტივალი მიმდინარეობდა, სახელმწიფო დაწესებულებებში ეროვნული დროებითი იყო გამოფენილი და პარკებში 2 საათიდან 4-მდე ორკესტრი უკრავდა.

ბერგენის ჩამოვლილ უცხოელი არ შეიძლება ცნობილი კომპოზიტორის ედუარდ გრიგის სახლ-მუზეუმში არ ეწვიოს. ეს არის ბერგენ ფიორდის კიდეზე, ტროლების ფრიალი ბორცვზე მდებრივ სამთიანობა ხის სახლი, შესანიშნავი მყუდრო ბაღნარით. მთელ ამ მიდამოს სამი მხრიდან ზღვა არტყია. აქ გაატარეს ედუარდ და ნინო გრიგებმა თავისი ცხოვრება, მარტოებმა, რადგან მათ ერთადერთი ქალიშვილი 1 წლის ასაკში დაეღუპა. კომპოზიტორის მეუღლე ნინო ცნობილი მომღერალი ყოფილა, რომელიც გრიგის მუსიკის პროპაგანდას ეწეოდა ხალხში. მისი კონცერტები ძალზე პოპულარული იყო არა მარტო ნორვეგიაში, არამედ ევროპაშიც. ამ სახლის ყოველი ოთახი, ყოველი კუთხე გრიგების ინტიმურ ცხოვრებაზე მეტყველებს. ყველაფერი დღეს ისეა წარმოდგენილი მხატვრულიათვის, როგორც ეს იყო დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ. აქ ნახავთ გრიგის ზღაწერებს, მის საყავარე ნივთებს, ვიგელანდის მიერ შესრულებულ პორტრეტს, იმ საჩუქრებს, რომელიც გრიგებს მიაჩვენეს მადლიერი თანამემკვიდრებმა.

ბაღში ცალკე დგას ერთობათბილი საღებო-სტუდია, სადაც ედუარდმა მუშაობდა, ვინაიდან მათი სახლი სტუმართმოყვარე და ხალხსასეუ იყო, მას სჭირდებოდა განმარტოებაც. ამ სტუდიის მთელ ერთ კედელში უზარმაზარი ფანჯარა დატანებული, საიდანაც ბერგენფორდის თვალუწყვეტი სიგრძე მოსჩანს. იქიდან ესმოდა გრიგს ზღვის ხმაური, მოსჩანდა ნორვეგიის ყინულოვანი მწვერვალები, გრიგის სამუშაო ოთახში ზამთარ-ზაფხულდობილი ერთი ბუხარი, რომელიც თითქოს სამუშაო გარემოს სიმყუდროვეს მატებდა. სახლს გზა პირდაპირ ზღვისაკენ ჩაუდის, რომელსაც ნინო და ედუარდ გრიგების აკლდამისავე მიჰყვებოდა. ეს აკლდამა კლდეში ჩადგმული კლდის ამ ქვეს ეცემა ზღვაში ჩამავალი შუის უკანასკნელი სხვი.

ჩვენი ექსკურსია სამხრეთ ნორვეგიის მეთევზეობით განთქმულ ქალაქ სტავანგერისკენ გაემართა, რომელიც აგრეთვე ნაფთომწებლობით, ელექტრომეტალურებით, საკონსერვო საწარმოებითა და ფაბრიკებით არის ცნობილი. სტავანგერი მწვანეშია ჩაფლული და ტიპურ ნორვეგიული ქალაქის სახეს ატარებს. სტავანგერფიორდისკენ ჩვენ დიდი კატერით გავემსახერეთ, რომელსაც „თეთრი ლედა“ ერქვა. კატერები ნორვეგიაში კომფორტაბელურია, როგორც თვითმფრინავები. ლამაზად მორთული საერთო დარბაზები და საინფორმაციო მომარაგებული კაფე-რესტორანი ისეა მოწყობილი, რომ ადამიანმა ფიორდში გაფრთხილებისას ქუეყანაშიც საინფორმაციო უნდა მიიღოს. ფიორდის უჩვეულო სანახაობას კიდევ ის დაერთო, რომ ჩვენ-

თან ერთად მგზავრობდა რამდენიმე ჯგუფი V-VI კლასის მოსწავლეებისა, რომელთაც სასწავლო წელი დამთავრებულად და სასეირნოდ მოდიოდნენ. მათი მეზობლობა ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა. საოცრად მოხდენილი და ზრდილობიანი ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ და გვიმღეროდნენ ეროვნულ სიმღერებს.

ჩვენ ვუახლოვდებოდით სტავანგერფორდის ყველაზე მაღალ ნაპირს „პუკს“, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1800 მეტრად აღის. იმ დღეს, სწორედ „პუკსზე“ 2 ინგლისელი საქმისანი ალბინისტი ასულიყო ვიკის რეკლამის ფოტოს გადასაღებად, იმის დასამტკიცებლად თუ ვიკის მსმელი კაცი როგორ ადვილად ადის ისეთ მაღალ მწვერვალზე, როგორც „პუკია“, ზღვას დასცქერის და შიში კი არ იპყრობს. სტავანგერის ყოველდღიურ გაზეთში იყო ცნობა ჩვენი ჩასვლის შესახებ, იმის შესახებაც თუ რა დიდი საშიშროების წინაშე ვიყავით, როდესაც მწვერვალ „პუკის“ მიუვანლოვდით, შეიძლება თავზე დაგვეცემოდნენ ინგლისელი ბიზნესმენები. ამ საშიშროებას ჩვენ, რასაკვირველია ავცდიდით.

ოსლოში დაბრუნებისას ჩვენ ვინახულეთ ეროვნული გალერეა, რომელიც დაახლოებით 2500 ექსპონატს შეიცავს. გალერეა ექსპონირებულია არა თემატურად და ქრონოლოგიურად, არამედ კოლექციონერთა დარბაზების მიხედვით. ძალიან დაგვიანტერესა ნორვეგიულ ოსტატთა ორიგინალებმა ქრისტიან კროგის, ერიკ ფერენშოილის, ედუარდ მუნკის ტილოებმა და გუსტავ ვიგელანდის სკულპტურულმა ნაშეუფრებმა. აქვეა რიგდის რამდენიმე სკულპტურა, ედუარდ მანეს, კლოდ მონეს, რენუარის, მატისის, ვან-გოგის ორიგინალები.

ნორვეგიაში ყოფნის უკანასკნელ დღეს ჩვენ ვეწვიეთ აგრეთვე ნორვეგიის რატუმს — სტორტინგს, რომელიც აგებულია გამოშვარი მუქი ფერის აგურისაგან და კედლებში თეთრი მარმარილოს ლაქები აქვს დატანებული. შენობის ერთადერთ მოთხოვობას ბრინჯაოს სკულპტურები წარმოადგენენ. შენობის შესასვლელის ცენტრში ბრინჯაოს გედები ქმნიან შადრევანს. სტორტინგის მთავარი დარბაზები მოხატულია ნორვეგიული მხატვრების მიერ, პანოები სოფლისა და ქალაქის ყოფის კოლორიტულ მოტივებს ასახავენ. 2 დარბაზი დამოუბილი აქვს ქორწინებათა ბრატულის შესრულების აქტს, რადგან სამოქალაქო ქორწინება ქალაქის თავის ხელმძღვანელობით ხდება. რამდენიმე მოზრდილი დარბაზი მოპირკეთებულია ადგილობრივი მარმარილოთი და ბრინჯაოთი, აქ დიპლომატიური მიღებანი და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონეები იმართება ხოლმე. სხდომათა დარბაზს კი წარმოადგენს მრგვალი ფორმის, ხის დამუშავებული ოთახი, რომელიც ავტომატურად იღება და იცვლება. ამ დარბაზში ყველაზე ამაღლებული ადგილი ქალაქის მერისთვის არის განკუთვნილი. აქ წყვდია ქალაქის ყველა საკურორტო საკითხი.

ოსლოში, ისევე, როგორც ნორვეგიის სხვა კუთხეში, განსაკუთრებით მოვლილია საპეტოთა მეომართა საფლავები. ნორვეგიელები ცოცხალი ყვავილებით ამკობენ მათ. იქვე წარწერაა: „ნორვეგია მაღლობს გიხდით თქვენ“.



კობე ლოლაუ

# სელოპანი ეპოპეაჰი

ნუნუ მესხი

ათი მეგობრობა სკოლის მეზობიდან დაიწყო. ერთად იყვნენ სკოლაში, ერთად დადიოდნენ ვოროშილოვის სახელობის კლუბში ცეკვაზე და როდესაც აქ ცეკვის მარტივ ილიეთეს ეცნობოდნენ, მათი მამები დერეფანში დიდი ხნის ნაცნობეობით საუბრობდნენ.

სასწავლებლის ხელმძღვანელის კ. ჩივაძის გააცეკვას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ბავშვებმა ორ კვირაში აითვისეს ყველა ილიეთი, ალღო აუღეს ქართული ცეკვის ხასიათს და მისამებ კვირას უკვე რეპერტუარის მქონე მოსწავლეებს ამოუდგნენ გვერდში.

მაღე ვოროშილოვის სახელობის კლუბში გაიმართა თბილისის საშუალო სკოლების თვითმომქმედი წრეების კონცერტი. პროგრამაში სხვა ნომრებს შორის იყო „მთიულური“ კოტე ლოლაძისა და გიორგი პატარაის შესრულებით.

კონცერტს დღეს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, პარტერის პირველ რიგში ისხდნენ მათი მამები, ძნელი გასარკვევი იყო, რომელი წყვილი უფრო დელეგატი, — კულუმბეში ქართულ ჩოხებში გამოწყობილი შვილები თუ პარტერში მო-

საუბრე მამები, რომლებიც ხშირად გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს და მოუთმენლად ელოდნენ ფარდის ახდას. დებიუტანტების დიდი წარმატება სვდით წილად. მათმა სხარტმა „მთიულურმა“ მაყურებელი ალტაცებაში მოიყვანა. მოცეკვავეებმა გამოამყვანეს დანამიურობა, ტემპერამენტი და შესრულების მაღალი ტექნიკა.

პირველი კონცერტის შემდეგ მოსწავლეთა ყველა საკონცერტო პროგრამაში ყმაწვილებმა საპატიო ადგილი დაიჭირეს.

კ. ჩივაძის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მეგობრებმა მოზარდმაყურებელთა თეატრს მიაშურეს, სადაც შეიქმნა ქალაქის ბავშვთა აქტივის სიმღერისა და ცეკვის თვითმომქმედი წრეები.

1936 წელს ქართული ხელოვნების დეკადისათვის მზადებისას გამართულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ 15 წლის გიორგი პატარაია აღმოსავლეთ საქართველოს თეორეტიკულ ანსამბლში მიიწვიეს. ანსამბლს ხელმძღვანელობდა ს. კავსადე, ქორეოგრაფიულ ჯგუფს — ი. სუხიშვილი. ანსამბლში ლოლაძეც მივიდა და ორმა მეგობარმა კვლავ ერთად განაგრძო ქორეოგრაფიული ხელოვნების რთული გზა. ამის შემდეგ მეგობრები ადარ დაცილებულან. ქართული ხელოვნების დეკადამ (1936 — 1937 წწ), როგორც ცნობილია, დიდი წარმატებით ჩაიარა, მისი პატარა მონაწილენი ლოლაძე და პატარაია დაჯილდოვდნენ ველოსიპედებით.

1938 წელს ი. სუხიშვილმა ქართული ხალხური ცეკვის ახლადრამოვლობივებულ ანსამბლში მიიწვია კ. ლოლაძე და გ. პატარაია. ამ პერიოდში ჩატარდა მეორე ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეთა მიიღო ქართული ცეკვის ახალგაზრდა ანსამბლმა.

ოლიმპიადის ჟიურიმ შეარჩია მონაწილენი საქართველოს რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის. პროგრამაში შეტანილი იყო ცეკვა „კინტორუი“ კ. ლოლაძის და გ. პატარაის შესრულებით.

ამ პერიოდში ა. ვ. ალექსანდროვის ანსამბლი ამერიკაში საგასტროლოდ წასასვლელად ემზადებოდა (ეს გასტროლიტი არ შემდგარა). ოლიმპიადის დაქსწრო თვით ალექსანდროვი რომელიც მოვლაპარაკა ი. სუხიშვილს და თავის ანსამბლში წაიყვანა: ი. სუხიშვილი, კ. ლოლაძე, გ. პატარაია, ვ. ყუფარაძე და შ. კურდელაშვილი.

ქართული ჯგუფი თავისი რეპერტუარის დახვეწას შეუდგა. მათ ამერიკაში საჩვენებლად მოამზადეს „ბორუმი“, „მთიულური“, „ფერხული“, „ფარიკაობა“ და სხვ. ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ვ. სიმონოვი, რომელმაც ლოლაძე და პატარაია მოამზადა რუსული ცეკვისასათვის და პირველად დააწყებინა ვარჯიში კლასიკაში.

მოსკოვში შეიქმნა „საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი“ ზ. დუნაევსკის ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფიული ჯგუფის ხელმძღვანელად მიწვეული იყო ა. მ. მესქერი. ქართულ ჯგუფში იკვივე შემადგენლობა იყო. ანსამბლში შევიდა მხოლოდ 8. რამიშვილი.

1941 წლის ივნისში ანსამბლი საგასტროლოდ ჩავიდა კანსაში. პირველი კონცერტი ჩატარდა 20 ივნისს, მეორე კი საპატიო ბრძოლებისა და ტყვეების ზუზუნში.



გიორგი პატარაია

უმჩვენელი ეპიზოდური როლები დასამახსოვრებელი და სანტერესო გახადეს.

ბ. ასაფივის „ბასჩისარას შადრევანში“ ისინი გამოვიდნენ ნურალის პარტიში, პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბაში“ ასრულებდნენ ნეაპოლურ ცეკვას, (კ. ლოლაძეს ამ ბალეტში შექმნილი აქვს მასხარას სახასიათო როლი), რ. გლიერის ბალეტ „წითელ ყაყაშიში“ ცეცხლფარების კოლორიტულ როლს და ცეკვას ბაბთით, ს. ცინცაძის „ცისფერ საუნჯეში“ ბიონერების იერსახეები შექმნეს.

მათ მიერ განხორციელებული როლები, საოპერო თუ საბალეტო სპექტაკლებში, გამოირჩევა ღრმა გააზრებით. ისინი ქორეოგრაფიული ენით მოუხირობენ მაცურებელს გმირის ცხოვრებაზე, მის შინაგან ბუნებაზე, პოულობენ ხასიათს და დასამახსოვრებელ იერსახეებს ქმნიან. მათ ქართულ ცეკვებს კი ახასიათებს მაღალი ტექნიკა, ტემპერამენტი. მსოფლიოს მრავალ ქვეყანას გააცნეს მათ ქართული ცეკვის ხელოვნება, ზოგიერთ ქვეყანას ორჯერ და სამჯერ ეწვივნენ და ყველგან ათიათასობით უხვოელი მაცურებლის აღტაცებას იწვევდნენ.

ქართული ხალხური ცეკვის სხვა ოსტატების გვერდით კ. ლოლაძე და გ. პატარაია ერთ-ერთი პირველებია ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობენ ნ. რამიშვილი და ი. სუბიშვილი. ისინი მონაწილეობდნენ ანსამბლის პირველ კონცერტში, რომელიც 1945 წელს ჩატარდა.

მეგობრების საკონცერტო პროგრამაში, რომლითაც შემოიარეს მთელი საბჭოთა კავშირი და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, ძირითადად შედიოდა „მხედრული“, „მთიულური“, „კინტორი“, „ფარიალა“, „ქორეოგრაფიული ეტრუდი“, „ცეკვა წყაროსთან“.

ამ ცეკვების ქორეოგრაფები თვითონ არიან. ისინი გულდასმით სწავლობენ ხალხური ცეკვების თავისებურებას და კლასიკური ცეკვის პრინციპებზე ქმნიან ორიგინალურ ქორეოგრაფიულ ნახაზებს.

იმ დავაწლისათვის, რომელიც მათ ქართულ ქორეოგრაფიაში მიუძღვით, კ. ლოლაძეს და გ. პატარაიას საჭარბოელოს დასახსურებელი არტისტის წოდება მიენიჭათ.

მალე ანსამბლი იწყებს ფრინტულ ცხოვრებას. მას დავაწლებული ჰქონდა დასავლეთ ფრონტის მისადგომების კულტურული მომსახურება.

1944 წლის დასაწყისში მოსკოვში მოეწყო ქართული მუსიკისა და ლიტერატურის მცირე ფორმის დეკადე. მაშინ დაისვა საკითხი ლოლაძისა და პატარაიას თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამომყვანის შესახებ. აქ მათ დებიუტი ჰქონდათ ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში“, ასრულებდნენ „მთიულურს“. დებიუტს მოჰყვა გამოსვლები თითქმის ყველა ქართულ ოპერაში. ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისში“ — „მთიულური“ და „მხედრული“, აკ. ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩაღში“ — „ხაჩარული ცეკვა“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში“ — „კინტორი“, „ზოლა“. კ. ლოლაძე ამავე ოპერაში გამოვიდა მიხეილის ეპიზოდურ როლშიც. შ. აზმაფარაშვილის ოპერა „მეხობერ გიორგი“ მეგობრები ასრულებდნენ „მხედრურსა“ და „მხედრულს“. სპექტაკლი ქორეოგრაფიულად გააფორმა ვ. ჭაბუკიანი და თვითონაც მონაწილეობდა. ლოლაძე და პატარაია მონაწილეობენ აგრეთვე მთელ რიგ საოპერო სპექტაკლებში (აკ. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღში“ — „მხედრული ცეკვა“, პ. ჩაიკოვსკის „მაზეპაში“ — „უკრაინული ცეკვა“, „ქოშოში“ — „საპორტელთა ცეკვა“. უკანასკნელ პერიოდში აკ. ანდრიაშვილის ოპერა „ზვავში“ — თუშური ცეკვა), დ. თორაძის ბალეტ „მშვიდობისათვის“ ისინი ასრულებენ მშები სმირნოვის როლებს. ამ სპექტაკლში ლოლაძემ და პატარაიამ სანტერესო სახეები შექმნეს და თითქმის შე-

კ. ლოლაძე და გ. პატარაია





აგარჯოს სახალხო თეატრი უძველესია საქართველოში. წელს მას 90 წელი შეუსრულდა.

1875 წ. ქართული ენის სახალხო მისწავლებელმა ალ. ცხევათაძემ მცირერიცხოვან სცენისმოყვარე ენთუსიასტებთან ერთად დააარსა პირველი დრამატული დასი, რითაც საფუძველი ჩაეყარა საგარჯოს თეატრს. პირველი სპექტაკლი იყო ალ. ცხევათაძის პიესა „ბედნიერი ქორწილი“, რომელშიც

## უკველასი

როლებს ასრულებდნენ ერ. გულისაშვილი, სამსონ, ალექსანდრე და ვანო მჭედლიშვილები, დ. ჯაბადარი, ნ. ქურდოვანიძე. რეჟისორად მოიწვიეს ლ. ჩერქეზიშვილი. პირველმა წარმატებამ ფრთა შეასხა ენთუსიასტებს. შემდეგ მათ დადგეს „გაყარა“, „სამშობლო“, „არსენა“, „და-ძმა“, „პეპო“, „რაც გინახავს“, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“ და სხვ.

ამ პერიოდისათვის თეატრი უკვე გასცილდა საგარჯოს და წარმოდგენებს ახლო სოფლებში მართავს. თანდათან იზრ-

## სასულსო

დება ხალხის სიყვარული მშობლიური თეატრისადმი. მცირერიცხოვანი კოლექტივი ახალ ძალებს იძენს. თუ თავდაპირველად ქალებისათვის სცენა გადაულახავი ტაბუ იყო, ახლა ეს ყინულიც დამსხვრდა და თეატრში მოვიდნენ სცენისმოყვარე ქალები, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს მის წინსვლას და განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია დ. მაისურაძე, ბ.

## თეატრი

მჭედლიშვილი-ალნიაშვილისა, ლ. გამაკიძე, ს. ბერიძე, ბაბო, მინაღარი გულისაშვილები და სხვები.

მთავარი საკითხი მაინც გადაუჭრელი რჩებოდა — საგარჯოში არ იყო მუდმივი თეატრი. ამიტომაც, მოხეტიალე სცენისმოყვარეები წარმოდგენებს მართავდნენ ყველა მოსახერხებელ ადგილას, ეს იქნებოდა ზემო სკოლის შენობა, გილანშვილის ჩარდახი, გარსიაშვილის ეზო, ბაზრის ქუჩა, ჯაბადარის აგარაკი თუ ქურდანიანთ კალო. ასეთ პირობებშიც კი საგარჯოელთა სპექტაკლებს შინ და ლაზაით არ დაკლებია... 1910 წელს კი ფასიანი წარმოდგენებიდან შემოსული თანხებით და შემოწირულებით დაიწყო თეატრის მშენებლობა,

რომლის დამთავრებაც 1914 წ. იზეიმეს. ამ დროდღაც საგარჯოს თეატრში ჩამოსვლას იწყებენ ცნობილი ქართველი მხანობლები. 1917 წ. აქ ჩამოვიდა ვასო აბაშიძე, რომელმაც დადგა „სიძე-სიმამრი“ და თვითონვე ითამაშა მთავარი როლი. შემდგომში საგარჯოს სტუმრები იყვნენ შ. დადიანი, ნ. გოციბოძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ზ. გომელაური და სხვ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საგარჯოს თეატრმა მთლიანად იცვალა სახე. მას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა, ენერგიული მოღვაწე ალ. ბურთი-აშვილი. ძირეულად განახლდა თეატრის რეპერტუარიც. ძველი, მეტწილად დროშობილი პიესების ნაცვალად თეატრში მკვიდრდება რევოლუციური პათოსით გამსჭვალული პიესები. ამავე ხანებში თეატრთან ყალიბდება ახალგაზრდობის ლიტერატურული წრე, რომელიც ახალგაზრდობის დრამატულ დასად გადაკეთდა. მას შემდგომდგანლობდა მწერალი სიმონ მთვარაძე.

საგარჯოს თეატრის კოლექტივი მუდამ ახლის ძიებაში იყო. რეპერტუარი იცვებოდა ახალი პიესებით, რათა ფეხდაფეხ მიჰყოლოდნენ ყოველდღიური ცხოვრების მაკისცემას. განსაკუთრებით ნაყოფიერად წარმოება თეატრმა მუშაობა ომის შემდგომ წლებში, როდესაც განხორციელდა ჭაჭუაძის „ეკითილი მეზობლები“, მ. მრეველიშვილის „პარათაშვილი“, ა. აფხაიძის „სახელგატყლილი“, ს. მთვარაძის „სასოფარი“, გ. ბუაჩიძის „მეკაცი ქალიშვილები“, ნ. კანდელაკის „მეცნიერი სოფელში“ და სხვ.

საგარჯოს სახალხო თეატრი მუდამ იზიდავდა ქართველ რეჟისორებს. ამის საწინდარი იყო ნიჭიერი დრამატული კოლექტივის უკვე საკმაოდ მოხეტიალი სახელი. თ. წერეთემ, გ. სულთანიშვილმა, გ. დარისპანაშვილმა და ვ. ფურცელაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თეატრის შემოქმედებით ისტორიაში. ასევე ნაყოფიერი მუშაობა აქვთ გაწეული მხატვრებს: ი. ხუროშვილს, დ. თავაძესა და ი. ლალიძეს. კომპოზიტორებს ნ. ვაჟაძეს, ნ. მამისაშვილს, ნ. გიგაურს.

წელს საიუბილეოდ თეატრმა მიაშთადა გ. ივანიშვილის დრამატული ნოველა „შემთხვევა გზაზე“.

სპექტაკლის დამდგმელი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაყურებელს ურჩენეს შემოქმედებითად მართალი სპექტაკლი. ყურადღებას იპყრობს რეჟისორ ნუნუ მდივნი-შვილის მიერ საკვანძო ეპიზოდების სცენური გადაწყვეტა. კარგია მხატვარ ირაკლი ხუროშვილის მხატვრული გაფორმება, ლ. თორთაძის მუსიკა. მსახიობთაგან განსაკუთრებით გამოიჩინებდა ჭიორელის ქვრევის, ელისოს როლის შემსრულებელი ე. თედიაშვილი ასევე საინტერესო სახეებს ქმნიდა ჯ. ძაბილაშვილი (პლატონი), შ. ბაზრიაშვილი (ისაკი), რ. მართაშვილი (გურამი), ვ. სალარიძე (თამარი), ი. ბუზიაშვილი (მძლოლი).

ამ სპექტაკლმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ საგარჯოელებს თეატრი უყვარდა და პატარს სცემენ, მაგრამ მაინც ზედრია გასაკეთებელი, კარგი იქნებოდა თუ სათანადო ორგანიზაციებით კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევდნენ საგარჯოს სახალხო თეატრს, სცენისმოყვარეთა ამ უძველეს და ნიჭიერ კოლექტივს.

სიხილო თაჩინაშვილი

# ქუთაისის თეატრის გეგმობარი პეივაზი

გივი მეფისაშვილი

**უ**ადრესად მდიდარია ქართული თეატრის წარსული. ადრედესაც მის ისტორიას ეცნობით, შეუძლებელია გვერიდ აუაროთ ქუთაისის თეატრულ ცხოვრებას. აქ იღვწოდნენ მშობლიური ხალხის საკეთილდღეოდ ლაღო მესხიშვილი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია და სხვები. ქუთათურები მეგობრობდნენ და თანაუგრძნობდნენ მსახიობებს, მხარში ედგნენ თეატრს. 1905 წლის რევოლუციის დღეებში ქუთაისელი მშრომლები იარაღით ხელში ბარაკადგებზე გააყვანენ ლაღო მესხიშვილს.

მძიმე მატერიალური მდგომარეობა დაღს ასვამდა თეატ-

რალურ ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, თეატრი მაინც არსებობდა, რაშიც უდიდესი დამსახურება მიუძღვის იმ დროის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს. აღსანიშნავია აგრეთვე თეატრისადმი ექიმთა დიდი მხარდაჭერა. ისინი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უფასო სამედიცინო დახმარებას უწყვეტდნენ მსახიობებსა და მათი ოჯახის წევრებს.

გამოჩენილი დოსტაქაირი სამსონ თოფურია წლების მანძილზე თანამშრომლობდა თეატრში, როგორც ექიმი. დიდ მზრუნველობას იჩენდა მსახიობების ჯანმრთელობისადმი. სამსონ თოფურია დიდად განიცდიდა ლაღო მესხიშვილის ყოველ ავად გახდომას. 1897 წლის გაზაფხულზე მოხდა სამწუხარო ამბავი: „ყაჩაღების“ უკანასკნელ აქტში, ჭერზე დაკიდებულ ჭაღზე თავი უნდა ჩამოეხრჩო ლაღოს — ფრანკს. უნებურად, ყულფი კარგად ვერ გამოისო, თოკმა ყელში წაუჭირა და ჭაღიდან ცოცხალ-მკვდარი ჩამოხსნეს. მდგომარეობა საავალალო იყო, ლაღომ ხმა დაკარგა, ლაპარაკსაც ვერ ახერხებდა, განკურნების იმედი არ იყო. სამსონ თოფურიამ პირველმა გაუწია მას სასწრაფო დახმარება და რჩევა-დარიგება მისცა. იგი ლაღო მესხიშვილის სწორი სტუმარი იყო, მეურნალობდა, მაგრამ ვინაიდან მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, ურჩია სამეურნალოდ ხარკოვში გამგზავრებულიყო. მაგრამ ლაღოს სხვა ქალაქში გასამგზავრებელი თანხა კი არა, ოჯახის რჩენის საშუალებაც არ ჰქონდა. ამან ყველა მისი გულშემბატკივარი დაადიქრა. ვასო აბაშიძე ქუთაისში კირილე ლორთქიფანიძეს წერდა: „ალექსეიევი-მესხიშვილის ერთდროული რაიმე შესამჩნევი დახმარება, შეუძლებლობის გამო, არავის ჩვენ-თაგანს არ ძალუძს. ამიტომ საჭიროა ისეთი რაზე საშუალება ვინმართ, რომლითაც გადავადვილოთ შემდგომი ექიმობაც და ცოლ-შვილის შენახვაც. დღეს ჩვენ საადგილმამულო ბანკში დავადგინეთ, ყოველთვიურ ჯამაგირისაგან თითოეულმა გადავდლოთ 2 პროცენტი. ამის შეკრება მივანდით ხოლმე კასირს ჯამაგირის დარიგების დროს.

ეს არის ქალაქის გამგეობაში ვიყავი და იქაც თანაუგრძნობენ ამ საქმეს. თუ თქვენი საზოგადოების მსახურნიც შემოგვიერთდნენ, მაშინ თვეში უკანასკნელი 70-80 მანეთი შეიკრიბება ხოლმე, თბილისი იფიქრებს და იზრუნებს მასზე და ამნაირად კარგი საიმედოდ დახმარება იქნება. ჩვენ ბანკში ფულის შეკრებასა და თვიურად გადაცემას მე თვითონ ვიკისრებ“<sup>1</sup>. კირილემ არა თუ თანაგრძნობა გაუწია, არამედ სხვებიც ჩააბა ამ კეთილშობილურ საქმეში.

გარდა ამისა, მოაწყვეს საღამოები ლ. მესხიშვილის სასარგებლოდ. 1895 წლის 12 აპრილს წარმოდგენილი იქნა „ყაჩაღები“. სამსონ თოფურიამ აქაც ყურადღება გამოიჩინა და ბევრი ბილეთი მეგობარ-ნაცნობებში გაავრცელა.

15 აპრილს გახუთი „იგურია“ საზოგადოების ამწინდლა: „ჩვენი ნიჭიერისა და საუბედუროდ ავადმყოფი არტისტის ვლ. მესხიევის სასარგებლოდ გამართულ სპექტაკლიდან შემოვიდა 671 მანეთი“ 55 კაპიკი, ხარჯი იყო 156 მანეთი, დარჩა ნაღდი 512 მანეთი“. წყაივითა თუ არა ეს ცნობა ხალხმა, მთელი საქართველო ფეხზე დადგა, დაიწყო ავადმყოფი მსახიობის სასარგებლოდ შემოწირულობანი. გახუთება აუკვეყნებ-

<sup>1</sup> ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კირილე ლორთქიფანიძის არქივი, საბუთო № 14.



სამსონ თოფურია

დნენ შემოწირულობათა სიას. ბევრი მათგანი უსახელოდ გზავნიდა თავის წვლილს.

და, აი, ლადო მესხიშვილი სამსონ თოფურიას რჩევითა და დახმარებით ხარკოვში გაემგზავრა. გულთბილად გააცნო იგი ქუთაისის სასოჯადოებამ, ეტლებით ჩაპყვნენ სადგურ რიონში. ლადო მესხიშვილი გაზეთ „ივერიაში“ უსაზღვრო მანძილობას უხდიდა ქუთათურებს თანაგრძნობისათვის და დამედებული დასძენდა: „გამოვთქვამ იმედს, კვლავ შევძლო ვემსახურო იმ სასოჯადოებს, რომელმაც ასე მშურვალე მონაწილეობა მიიღო ჩემს განკურნებაში“ („ივერია“ 1895 წ. 23 აგვისტო).

ლადო მესხიშვილი ხარკოვიდან სრულიად განკურნებული ჩამოვიდა, სცენაზე დაბრუნებას სამსონ თოფურიას უმაღლიდა. ამიტომაც 1904 წლის ივნისში, როდესაც მიმედ დაამედებული სამსონ თოფურია გარდაიცვალა, ლადომ იგი დიდი მწუხარებით დაიტრია.

ხელოვნება და ლიტერატურით დიდად იყო გატაცებული მედლინის მეცნიერებათა დოქტორი დიმიტრი ნაზარიშვილი, რომელიც არა მარტო ექიმი, არამედ საუკეთესო ჟურნალისტი და სასოჯადო მოღვაწეც იყო. იგი გაზეთ „შრომის“ (1884) ერთ-ერთი მთავარი რედაქტორი და მისი რედაქტორ გამომცემელია დიმიტრი დლანაიანი ერთად. ამ პერიოდში ქუთაისის თეატრში სპექტაკლები სისტემატურად არ იმართებოდა. თეატრს რეჟისორობდა აკაკი წერეთელი, რომელსაც დროგამოშვებით ანტონ ლორთქიფანიძე ეხმარებოდა. როცა აკაკი თბილისში წავიდა, წარმოადგინეს დადგმის საქმე ქუთაისში შეფერხდა. ამასთან დასმი წარმოიშვა უთანხმოებანი.

დიმიტრი ნაზარიშვილი გაზეთ „შრომაში“ აქვეყნებს წერილებს, რომლებშიც თეატრალურ მოღვაწეებს რჩევას აძლევდა დავა შეეწყვიტათ და თეატრისათვის მიუხედათ. ამ საქმეში მას მხარი დაუჭირა მისმა მეგობარმა და ნათესავმა ვფრო კლდიაშვილმა, რომელმაც თეატრის ხელმძღვანელობა ითავა და კვლავ დაიწყო წარმოდგენების დადგმა საქველმოქმედო მიზნით.

1885 წლის სექტემბრიდან თეატრს სათავეში ჩაუდგა კოტე მესხი, დასმა განახალა მუშაობა. პირველი სეზონი წარმატებით ჩატარდა და ამით ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა მუდმივ პროფესიულ თეატრს.

ინტელიგენციის მოწინავე ნაწილთან ერთად თეატრს მხარში ამოუდგა ექ. დიმიტრი ნაზარიშვილიც, რომელიც თეატრის ყოველი წარმატებისა თუ წარუმატებლობის გამზიარებელი გახლდათ.

1892 წელს დიმიტრი ნაზარიშვილი ქუთაისში გახსნა ქალაქის უფასო სამკურნალო ამბულატორია, რომელიც მთავრობისაგან არავითარი დახმარებით არ სარგებლობდა. „დიმიტრი ნაზარიშვილი ხანდახან ამბულატორიის სასარგებლოდ წარმოდგენებს მართავდა — წერს თავის მოგონებებში სპირიდონ ბოლქვაძე, — იწვევდა თბილისიდან მაკო აბაშიძეს, ვასო აბაშიძეს, აგრეთვე საყვარელ მსახიობს — ლადო მესხიშვილს და სხვ. მაშინ თეატრი ქალაქის ცენტრალურ ბაღში იყო. მე ჩამაჯენდა სალაროში, ყოველ ხარჯს გარდა 200 მანეთი გვრჩებოდა. იმ დროს ეს კარგი შემოსავალი იყო, ამით ჩვენ ვიძენდით სა-ექიმი ხელსაწყოებს... ერთხელ 400 მანეთის ხელსაწყო გამოვიყრეთ და ამით გავამდიდრეთ ჩვენი ამბულატორია“.

ასეთი საქმიანი და მეგობრული დამოკიდებულება იყო თეატრსა და დიმიტრი ნაზარიშვილის შორის, ისინი საქართველოს შემთხვევაში როგორც მორალურ, ისე მატერიალურ დახმარებას უწყვეტდნენ ერთმანეთს.

1894 წელს ვ. ბალანჩივაძის მეთაურობით შეიქმნა დრამატული ამხანაგობა, რომელმაც წარმოდგენების დადგმა იკისრა, მაგრამ ვინაიდან მას არც აქტიორული ძალები ჰყავდა და არც მატერიალური საშუალება უწყობდა ხელს, 1896 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა თბილისის დრამატული სასოჯადოების ფილიალი, რომლის მითავე ლადო მესხიშვილი იყო. მან მოიწვია სასცენო ხელოვნებით დანიჭრესებელი ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციის კრება, რომელმაც აირჩია სათეატრო კომიტეტი: კოტე ბაქრაძე — ჟურნალისტი და სასოჯადო მოღვაწე, სილოვან ხუნდაძე — პოეტი და პედაგოგი, ილია ჩიჭოვანი, მწერლობაში ი. პონტელის ფსევდონიმით ცნობილი, ივანე პურადაშვილი — ფინანსური დარგის მოღვაწე, ვ. წულუკიძე, ევ. ლოსაბერიძე (ექიმი, რომელსაც დაეკისრა ხაზინადრობა) და ექიმი გაბრიელ გოკიელი, რომელმაც იკისრა თეატრის ექიმის მოვალეობა. კომიტეტს დაეველა თეატრისათვის ყოველმხრივი ხელმძღვანელობის სიწყვეტი.

თეატრის ექიმთა შორის ასევე დიდი სიყვარულით სარგებლობდა ერთივე ხუნდაძე. მას ძალიან უყვარდა ახალგაზრდობა. სისტემატურად იმუშავებდა სამეცნიერებად და წარმოდგენის დადასტურებულ ამოუშვებდა მსახიობების ჯანმრთელობის თუ ყველაფერის რიგზე იყო, თავის ადგილს დაეკავებდა პარტურში, ავადმყოფობის შემთხვევაში მაშინვე ავადმყოფ მსა-

ხიობთან გაჩნდებოდა. იგი არა მარტო ჰკურნავდა, „ხშირ შემთხვევაში მსახიობებს აძლევდა წამლისა და საკვების ფულს“ — იგონებს შალვა დადიანი.

ე. ხუნდაძე ყველაზე მეტად მაშინ იყო გახარებული, როცა რომელიმე ახალგაზრდა მსახიობი სპექტაკლში წარმატებას მიაღწევდა. რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა ხონელი იგონებს: პიესა „ორ ჯიბიერში“ პატარა ჯიბიერს ვამა-შობდი. ერთ-ერთ სცენაში ჩუმად ჯიბიდან რევოლვერს ვართ-მევედი გრაფს. ეს სცენა ისე კარგი გამოვიდა, რომ ჩვენი ექიმი ალტაცებამი მოვიდა, სპექტაკლის შემდეგ, როგორც კი შემ-ხვდა, გულწრფელად მიმილოცა გამარჯვება და გადაჭარბე-ბულად შემაქო“.

ე. ხუნდაძე მეტად ფრთხილი იყო, არავითარ წვრილმანს უყურადღებოდ არ დატოვებდა. ხშირად ამბობდა ხოლმე: „მე-დიცინაში წერილმანი არ არსებობს, ყველაფერს თავიდან თუ არ უმკურნალებ შემდეგ ძნელია მისი განკურნება“.

ქუთაისის თეატრის ისტორიაში დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე ექიმ ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანს, რომელმაც რუსეთში მიიღო სამედიცინო განათლება. იქ კოტე მარჯანი-შვილთან მეგობრობამ დააახლოვა და შეაყვარა თეატრი. სწო-რედ ამან უბიძგა ალ. ასათიანს 1921 წლიდან ქუთაისში ჩა-მოსვლისთანავე თეატრში დაეწყო თანამშრომლობა. მისი გა-ნუყრელი მეგობრები იყვნენ ნუცა ჩხეიძე, შალვა ლამაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, უშაბგი ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი და სხვები.

თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე, კარგი შეხედულების ვაჟაკი, მუდამ მზარული, სიცოცხლით სავსე და ჩინებუ-

დიმიტრი ნაზარიშვილი



გაბრიელ გოგიელი

ლი მომღერალი — ასეთად ახასიათებენ მას მისი მეგობ-რები.

იგი არა მარტო მსახიობების ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც უსასყიდლოდ მკურნალობდა. — ალექსანდრე ასათიანი ახლო მეგობარი იყო ვლადიმერ ჯიჭიასი, რომლის დახმარებითა და მხარდაჭერით ქუთაისში პირველი სამშობიარო სახლი გახსნა.

ქუთაისის თეატრთან მჭიდროდაა დაკავშირებული ექიმი გაბრიელ გოგიელი. იგი სისტემატურად ესწრებოდა სპექტაკ-ლებს. მის პირად არტივში, სხვა საინტერესო მასალებსა და ფოტოებთან ერთად, ინახება ყველა წარმოდგენის პროგრამა, გაზეთები, რომლებშიც გამოქვეყნებულია რეცენზიები ცალ-კეულ სპექტაკლებზე.

გ. გოგიელი, გარდა იმისა, რომ 90-იანი წლებიდან 1938 წლამდე თეატრში განუწყვეტლად, უსასყიდლოდ მუშაობდა, საუკეთესო მეგობარი იყო ლ. მესხიშვილის, ვ. გუნიასი, შ. დადიანის, ი. იშნელის, ვ. ურუშაძის, ვ. შალიკაშვილის, კოტე მარჯანიშვილის, ი. ზარდალიშვილისა და სხვათა. ი. ზარდა-ლიშვილთან მას ნათესაური კავშირიც ჰქონდა, გაბრიელის ბებია ზარდალიშვილის ქალი იყო.

გ. გოგიელს დიდი ღვაწლი მიუძღვის სათავყანო მსახიო-ბის ნუცა ჩხეიძის გამოჯანმრთელებაში. ნუცა ახალგაზრდობა-ში ფილტვების სისუსტეს უჩიოდა. მისი ჯანმრთელობა გ. გო-გიელის მუდმივი კონტროლის ქვეშ იყო. ექიმმა მის აბასთუ-ნანში გამგზავრებასაც შეუწყო ხელი.

გ. გოგიელი ხშირად მატერიალურ დახმარებასაც უწევდა ხელმოკლე მსახიობებს, მათ ოჯახებს. გაბრიელი რეცეპტს



გიორგი ხუნდაძე

რომ გამოწერდა, კარებთან მიმცილებულს ეტყოდა: „ერთი წამალი ბალიშის ქვეშ დადგეოდე“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბალიშის ქვეშ ხუთმანეთიანი იჩნებოდა.

გულითადად მეგობრები იყვნენ გაბრიელი და ლადო მესხი-შვილი. გოციელებისა და მესხიშვილების ოჯახები ერთმანეთს მობირდაპირე სახლებში ცხოვრობდნენ ქუთაისში აკ. წერეთლის ქუჩაზე. მეგობრობდნენ არა მარტო ლადო და გაბრიელი, არამედ მათი ოჯახებიც. ლადო დიდ ანგარიშს უწყევდა გაბრიელის რჩევა-დარიგებებს.

რალაც შემთხვევის გამო გ. გოციელი ლ. მესხიშვილს გაუნაწყინდა, შეწყვიტა მასთან სიარული და მკურნალობაზეც აიღო ხელი. ერთ დღეს გაბრიელთან ლადის მუღუღე მივიდა — „მიშვილეო, ლადო კვდებაო“. გაბრიელი იმ წუთს ავადმყოფთან გაჩნდა. უწირ დააღო ლ. მესხიშვილის გულს და უცებ მისი ჩურჩული მოესმა: „აღარც ასლა შემირიდგები?“ გამოიჩვეა, რომ დიდმა მსახიობმა ყოფილივე ეს გაითამაშა იმისათვის, რომ მეგობარი შეეჩვიებინა.

ექიმ გ. გოციელის ქალიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ფატი გოციელი იგონებს, რომ ლ. მესხიშვილი შესანიშნავად განასახიერებდა სხვადასხვა სწეულებით, განსაკუთრებით ნევრასტენიით დაავადებული ადამიანის მდგომარეობას. გ. გოციელი ექიმების ურჩევად ენახათ ლადო მესხიშვილი ჰაუპტმანის „შვილების დღესასწაულში“, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ნათლად წარმოედგინათ ნევრასტენიკი ადამიანის სიმპტომები (ლადო ამ პიესაში ოჯახის მეთაურის — ნევრასტენიით შეპყრობილი მეცნიერის როლს ასრულებდა).

ა. გოციელი სტუდენტობის წლებში შეხვდა ანტონ ჩეხოვს. ერთ-ერთი არადღეების შემდეგ გაბრიელი ამანაგებთან ერთად ხარკოვისაკენ მიემგზავრებოდა. რომელიღაც პატარა სადგურზე ვაგონში შემოსულა ჩეხოვი ექიმის ხელჩანით. სტუდენტებმა მაშინვე იცნეს იგი. გულუხვად გაუმასპინძლდნენ და როგორც გამოჩინილ მწერალს ხოტბა-დიდება შესახეს. პასუხად ა. ჩეხოვს მისთვის ჩვეული ფრაზა წარმოუთქვამს: აბა რა მწერალი ვარ, მე ექიმი ვარო. ამ შემთხვევის შემდეგ ჩეხოვი და გ. გოციელი გულითადად ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს საექიმო ყრილობებზე.

ცნობილ ქართველ მომღერალს ვანო სარაჯიშვილს გ. გოციელი ერთ-ერთ ახლობელ ადამიანად მიაჩნდა. ფატი გოციელი იგონებს: ერთ დღეს ფორტეპიანოს ვუჯექი და გაკეთილს ვამზადებდი, შემომხემა, რომ მსახური, რომელიც მამაჩემის კაბინეტში პაციენტების შესვლას აწესრიგებდა, ალექსეველი ელაპარაკებოდა დედარჩემს — ვიღაც ექიმის კაბინეტში შევარდაო. ჩუმათ წამოვდექი და დედარჩემს კედში გაეყვი. დედა მამას კაბინეტი შეაღო თუ არა, ვიღაც ლამაზი კაცი ხელზე ემთხვია და დიდი სიყვარულით მიოკითხა. მერე გავიგე, რომ ეს კაცი ვანო სარაჯიშვილი ყოფილა. თურმე თბილისიდან მომავალ მატარებელში მთელი დამე მეგობრებთან ქეიფში გაატარა. ქუთაისში რომ ჩამოვიდა, ხმა აღარ ჰქონდა, საღამოს კი კონცერტზე უნდა გამოსულიყო. მამამ საღამომდე ხმა აღუდგინა ვანოს, რომელმაც იმ დღესაც, როგორც ყოველთვის, მსმენელების უდიდესი აღტაცება გამოიწვია.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი ნდობითა და პოპულარობით სარგებლობდა გოციელი მსახიობთა შორის, მოვიყვანო ერთ მაგალითს: 1933-34 წლების სეზონში მარჯანიშვილის სახელობის თეატრს რიონის მიდრეულუქტრისადგურის მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის უნდა წარმოედგინა „ურიელ აკოსტა“. უშანგი ჩხეიძე იმხანად უყვე ავად იყო, მაგრამ მაინც თხოვეს ეთამაშა ურიელი. ვერავითარმა თხოვნამ ვერ გატარა, უარზე იყო. მოსთენილები რომ აღარ მოეშენენ, უშანგიმ ასეთი ულტიმატუმი წამოაყენა: „მამინ ბაბონი გაბო იჯდეს კულისებში და თუ ცუდად გახდები მაშინვე მომეშვილოს“. ქუთაისის ძველ მკვიდრთ, ალბათ, ახსოვთ, რომ უშანგიმ ამ დღესაც მისთვის ჩვეული ბრწყინვალეობით ითამაშა. საქმეტაღის შემდეგ გაბრიელმა უსაყვედურა მას: რატომ დამაჯე და ჩემს მეგუქსე რავს მომამოწო, თუ ასე კარგად შეგეძლო ეთამაშაშნო?

უშანგიმ ამაზე მიუგო: ეს იმიტომ (თუ ამას კარგი თამაში ჰქვია), რომ თქვენ კულისებში მეგულებოდითო.

გ. გოციელის შემდეგ ქუთაისის თეატრს თითქმის 25 წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა რესპუბლიკის დამსახურებელი ექიმი ჭიჭიკო იოსელიანი.

ამ გულიწმირდ და დაუზარელ ექიმს არაკითხილ განკურნავს ალექსანდრე იმედაშვილი და იუზა ზარდალიშვილი, ვარლამ ჩხეიძე და ანდრო მურუსიძე. მისი პაციენტები იყვნენ მარი გელაშვილი, შალვა ხონელი, ვახტანგ მეგრელიშვილი, გრიგოლ ნაცვლიშვილი, შოთა საჯალია, ვალერიან გვეციკაძე და სხვები. თეატრში განსაკუთრებული პატივისცემით იგონებენ ამ ძვირფას ადამიანს, დღესაც ახსოვთ ჰიპერტონიით



ალექსანდრე ასათიანი

დაავადებული რევისორი თეიმურაზ ლორთქიფანიძე თუ როგორ ეხვეწებოდა ყველას, ჭიჭიკო იოსელიანი მომიყვანეთ, ყოველგვარ წამალს მისი ტბილი საუბარი მირჩევნიაო. გულისხმიერი მკურნალიც ყოველთვის თავს დასტრიალებდა ავადმყოფს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტ ვახტანგ მეგრელიშვილს ყოველთვის სალაპარაკოდ აქვს—ჭიჭიკომ რამდენჯერმე სიტყვით მომარჩინაო. შალვა დადიანი ამბობდა, სურდოც რომ მქონდეს, გული მაინც ჭიჭიკოსაკენ მიმიწევსო.

ჭიჭიკო იოსელიანის კარები ყველასათვის ღია იყო. მან ერთხელ ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოსული სახელგანთქმული სომეხი მსახიობი ვაჰარამ ფაფაზიანიც კი განკურნა.

შალვა ხონელის ოჯახის წევრები დღესაც სიამაყით ამბობენ, შალიკო სააკაოს ჭიჭიკომ მოაბრუნაო. გულის ინფარქტით დაავადებული შალვას გამობრუნების იმედი არავის არ ჰქონდა, მაგრამ ექიმის ენერგიულმა, გულისხმიერმა ცდამ ნაყოფი გამოიღო. ჩვენი თეატრის ერთ-ერთი უხუცესი მსახიო-



ჭიჭიკო იოსელიანი

ბი დღესაც მხნედ გამოიყურება და აქტიურად მონაწილეობს ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში.

თეატრში ჭიჭიკო იოსელიანს სპეციალური კაბინეტი ჰქონდა გამოყოფილი. 1957 წელს ჯანმრთელობის დაცვის დარგში მუშაობისა და დამსახურებისათვის რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება მიენიჭა. თეატრის კოლექტივმა გულთბილი საღამო გაუმართა სახელოვან მკურნალს. მისი სურათი ვესტიბიულში მსახიობის პორტრეტების გვერდით მოათავსეს. დირექციამ მას პარტერში სპეციალური სკამიც კი გამოუყო.

დღესაც ღიაა ჭიჭიკო იოსელიანის ოჯახის კარები ქუთაისის თეატრის მსახიობებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, ამჯერად სახელოვანი მამის საქმეს მისი შვილი, მედიცინის წყნცივრებათა კანდიდატი გურა იოსელიანი აგრძელებს.

ქუთაისის თეატრის საუკუნოვან მატჩანეში ოქროს ასოებით იქნება აღბეჭდილი ღვაწლმოსილი ექიმების სახელები, რომელმაც თავისი ღვაწლით დიდი წვლილი შეიტანეს ქუთაისის თეატრის შემოქმედების ცხოვრებაში.

ამ მიზნობას ღრმად უნდა ჩავუფიქრდეთ მუსიკოსი პედაგოგები, განსაკუთრებით კი ის ნაწილი, რომელიც ახალგაზრდობის აღზრდას ენახებოდა. უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა მეცნიერების ზოგადი საფუძვლების შესწავლასთან ერთად აუცილებელია ხელოვნებისაში ინტერესის გაღვივება, სწორ ესთეტიკურ შეხედულებაში გამოშვებება. ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ზოგადსაგანმანათლებლო და სახელოვნო სკოლებს, მათ შორის განსაკუთრებით საშუალო სკოლებს, რომელთა რიცხვიც ძალზე იზრდება. აღსანიშნავია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში 98 საშუალო სკოლაა. გარდა ამისა, ზოგადი განათლების სკოლებთან არსებობს მუსიკალური ჯგუფები, კულტურის თითქმის ყველა სახლიდან და საქარბნო კლუბებთან კი მუსიკის შემსწავლელი წრეები. დღეს საქართველოში მავშეთა დიდი ნაწილი პირველად-წყებით მუსიკალურ განათლებას აღბუღებს.

ძალიან იშვიათად და არც ისე გამოყვეთილად, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთანაც გვხვდება ზოგიერთი ნიშნული „უსტორიი სოციალისტობისა“ და განსაკუთრებით კი ცდები უშეშენიერესი ქართული სიმღერების „დასავლეთურ“ ყვირთზე წარმოდგენისა, რის შესახებაც არა ერთხელ მიუთითებთ. გავიხსენოთ თუნდაც კომპოზიტორ შ. შველიძის სტაბია „მუსიკა ხალხის საამაყოლ და საციეთლდელიოდ“, სადაც ავტორი მოიხივს, რომ კლასიკურ და უსტეტიკური ტრადიციებზე აყრდნობა და პროფესიონალიზმს დაუფლებული ახალგაზრდობა გზარბოთ ძვირფას ხალხურ მასალას. და იქვე უსტეტიკოლოგი ანიშნავს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გატაცებულია რა „უსტეტიკოსანობრი, უსტეტიკოლოგიური და უსტეტიკოლოგიური მუსიკით. მას ავიწყდება თავისი სახე, თავისი მე, თავისი გრეყოფილი სიამაყე“<sup>2</sup>. ასეთივე გულისტკიავლ გამოხატვად პროფ. გრ. ჩხიკავაძე, ჯერ კიდევ რასდენიმე წლის წინათ ვაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“<sup>3</sup> გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც იგი გვხვდა ახალგაზრდობის მხატვრული თვითმოქმედებას. ავტორი საზოგადოებრიობის ურადილება ამხელვებს იმ არაჯანსაღ მდგომარობაზე, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ჰვერდს უკლის მალაღმბატრულ მუსიკალურ შემოქმედებას, გატაცებულია ქაზბანდებით და „თავისი მუშაობა აღმავლობის ნაცულად დაკინებისაყენ მიჰყავს“. პროფ. გრ. ჩხიკავაძე ამას ხსნის „მოსწავლელ ახალგაზრდობის ურადილების ესთეტიკური განათლების საქმოდ დაბალი დონით და ამის მიუხედავ მიიჩნევს როგორც სახელოვნო ორგანიზაციების, ისე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების არასამარის მუშაობას ამ მიმართულებით. ამ საქობის გადჭრაში პროფ. ჩხიკავაძე დიდ პასუხისმგებლობას აყირებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. ჩვენი აზრით, ეს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს აგრეთვე საშუალო სკოლებსაც და მათთან ერთად ჯგუფებსაც და წრეებსაც. მათი ძირითადი ამოცანა უნდა იყოს არა მარტო მუსიკის სწავლება, არამედ მოსწავლის ესთეტიკური აღზრდაც.

ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში წლების მანძილზე ნაკლები ურადილება ექცეოდა მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდას. უკანასკნელ წლებში ამ ნაკლის გამოსწორებლად ჩატარდა მრავალი ღონისძიება. შეიქმნა მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა სახის წრეები, სკოლებთან გაიხსნა მუსიკალური ჯგუფები, რომელიც უდავოდ დიდ გავლენას ახდენენ ბავშვების მუსიკით დაინტერესებაზე. ამასთან სკოლებში გაუშვებინდა მუსიკის და სიმღერის სწავლება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში პედაგოგები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არიან შერჩეული ამ საქმისათვის. ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის სათანადო დონეზე დაყენებას უდავოდ განაპირობებენ მუსიკისა და სიმღერის მასწავლებელთა კვალიფიცირებული კადრები, რომელთა მომზადებასაც სათანადო ურადილება ექცევა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ მხრივ კიდევ ერთი მეტად სასარგებლო ნაბიჯი იქნა გადადგმული ლუშინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგურ ინსტიტუტში მუსიკალური განყოფილების გახსნით.

ჩვენს გამოხილვით არა გვაქვს სკოლებში მუსიკისა და სიმღერის სწავლების საქობის სპეციალური განხილვა, მაგრამ მიზანშეწონილად ვთვლით აღვნიშნოთ ერთი მეტად საგონისებო მოსარგება, რაც უდავოდ დავაყვინებელია მოსწავლის ესთეტიკურ აღზრდის საქობიდან. ცხადია, რომ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლებში მუსიკისა და სიმღერის სწავლებების ხარისხიანად და სანტიტრესოდ წარმართვას, რისთვისაც სხვადასხვა მეთოდურ ხერხებს და საშუალებებს უნდა მივმართოთ. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან საშუალებად მიგვაჩნია მუსიკალური მასალა

<sup>2</sup> შ. შველიძე „მუსიკა ხალხის საამაყოლ და საციეთლდელიოდ“. ვაზ. „კომუნისტში“ № 139 15 ივნისი 1963 წ.

<sup>3</sup> გრ. ჩხიკავაძე „მეტე ურადილება ახალგაზრდობის მუსიკალურ აღზრდას“. ვაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1960 წ. 10 მაისი.

# ქართული მუსიკის სწავლების შესახებ

ნათელა კენჭიაშვილი



არტია და მთავრობა უდიდეს ურადილებას აქცევს საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდას. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურას და ხელოვნებას, როგორც ახალგაზრდობის იდურად გამოწერლოების მძლავრ საშუალებას. პარტია უკუბრუნებს, რომ თობის მძლავრ საშუალებას. პარტია უკუბრუნებს ჩამოყალიბებულ უდიდეს მნიშვნელობა აქვს ლიტერატურას და ხელოვნების შემდგომ განვითარებას<sup>1</sup>. ხელოვნების მუშაობა ვლიან მტკიცედ ახსოვს იმ მიზნობა და აქტიურად მონაწილეობენ ახალი აღმართის აღსაზრდად სათანადო პრაქტიკული ღონისძიების გატარებაში თავისი დარგისა და პროფილის მიხედვით.

<sup>1</sup> სკკპ ცკ-ის ივნისის პლენუმის დადგენილება. ვაზ. „კომუნისტი“, 1963 წ. 22VI—№ 146.

მოსენ. მოსწავლე სკოლის კვლევებზე უნდა ეცნობოდნ თავის მშობლიურ ხალხურ შემოქმედებას, მომეც ერთიანი შემოქმედებას, აგრეთვე ქალსკოლა მუსიკალური ლიტერატურის ზოგადი მიზნულ-სწავლავით. ამასთან, მასობის მოწყობა თან უნდა ერთობლივ სანაზღაო ახსან-გამარტებას. მუსიკალური მასობის სკოლა ომაყენის მეთოდით ხავეჭობს უკეთ გაგნობას მუსიკალურ ხელოვნების მისთვის მათ გააკნობიყობებს და გაურზღის შეყარებულ მორიზობას, განუთიარებს გემოვნებას და გამოუწავებს მუსიკის მოსწონებას ჩვეულებას. ასეთი ომაყადებული ახალგაზრობა, საშუალოდ ზრდა უნდა წავლობდს გვაყვად და სწორად ესან ერთ-ერთი მთავარი პრინციპია იმისა, რომ სიმფონიური თუ კამერული მუსიკის კონცერტებს თითქმის მხოლოდ მოიყვანილებენ ესროვიან და არა ახალგაზრობის ფართო წრე.

ახალგაზრობის ესტრუქტურის აღზრდის საქმეში უმთავრესი პასუხისმგებლობა მაინც სასკოლურნი სახეგო ხასიყობს სკოლებს და მათთან ერთად ზოგადსაშუალო სკოლებს მუსიკალურ განათებას, კლასიკობთან არსებულ წრეებს აწეოქ.

მუსიკალური სკოლებისათვის, განსაკუთრებით ჯგუფობისათვის და წრეებისათვის საკულისხმოა უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მათი მოსწავლეებიც მხოლოდ მცირე ხანით განაგრძობს სწავლას სკოლაურ თესიკალურ სასწავლებლებს და რომ მათგან მხოლოდ დაბოლოებენ კა პირულებს ვაიოლებს კროველიანო მუსიკისებს, ვარაუდობენ კი მთავად კარგნებო კომპოზირებისს თუ ინტერპრეტებისს. თქვენთან მხატვრული თვითშემოქმედების წრეების წევრები, თქვენსად აქ სწორად აქ გამოადგება მათი მუსიკალური განსწავლავლობა და განვითარება, გემოვნება, მიღრეკლება თუ მისწრაფება. მათ მომადგებაზე ზეგარდა დამოკიდებული აქ წრეების იდებრ მხატვრული ღონე, მაასანადვე, ახალგაზრობის ესტრუქტურის აღზრდის სახითი მჭიდროდ არის დაცავრებული მუსიკალური განათლების სათანადოდ დაყენების სახითიანს. სასკოლო სკოლებში, ჯგუფებში, წრეებს ხავეჭობიანად მუსიკის კლემენტარული ანაზის სწავლებასთან ერთად დიდი უროადლება უნდა ექცეოდნ მშობლიური მუსიკალური ხელოვნების, საბჭოთა კავშირის ერების მუსიკის ხალხური საწყისების შესწავლის დაწვრვას. ეს მტად აუტკლებური სახითია და იგი მუსიკალურ სასწავლო დაწესებულებათა მთავარი მოყვანის წარმოადგენს.

განა დასაშაობა ის ფაქტი, რომ ჩვენი ახალგაზრობის ერთი ნაწილი (განსაკუთრებით კლასში მცხვრებები) კარგად არ იყვნის მშობლიური ხალხურ შემოქმედების, ვეფორების, სწორად აქედან განმოდინარების ის ვითარება, რომელიც წალად შეიხსება დღეს ჩვენი ახალგაზრობის მხატვრული თვითშემოქმედების კლემენტარების ცხოვრებაში. თუ რაიოლოდ თვითშემოქმედების წრეების გაოსტეგებულ გზებლავს ქართული, აგრეთვე მომეც ერების ხალხური შემოქმედებისა და საბჭოთა ხელოვნების ნიწურების ჩვენებით, ქალაქების და განსაკუთრებით თ უნდალებს სასწავლებლების ზოგადიური წარმომადგენელი გატაცებული უცხოურად დაღმუჭებული, ვიოამდ ქართული სიმღერებით და დრომოქმული მარტიუ ჯარული მუსიკით. რაიონებში მტკიცედ არის შემორჩენილი ხალხური შემოქმედება, რომლსაც ახალგაზრობა ხავეჭობდაც მშობლიური ენასთან ერთად ითვისებს და იტკობს. ქალაქად კი მიწხვდავად, იმისა, რომ დიდი უროადლება ექცევა მის კომპლურიზაციას, იგი უნდარებით მაინც აკლებდებოდს დამკვიდრებულს.

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრობა ძირითადად დასავლეთ ევროპის და ნაწილობრივ რუსული კლასიკური და საბჭოთა მუსიკის ნიწურებს სწავლობს და ეცნობა, მაშინ, როცა მოწინებენ უნდა ეკიდებოდნ მშობლიურ ხალხურ შემოქმედებას. ვინ არ მოხობდებოდა ქართული ხალხური სიმღერებით. ვაგნსხილოდ თუნდაც ის, რომ ზრდა კიდევ XIX საუკუნის დაწლებს დიდმა რუსმა კომპოზიტორებმა — ჩაიკოვსკიმ, რიმსკი-კორსაკოვმა, ბალაქირევა, რბინინმა და სხვებმა უროადლება მაიკცეს ხალხური მუსიკალური ფოლკლორის და იგი თავის შემოქმედებებში გამოიყენეს. დღეს კიდევ უფრო დიდებდა ინტერესი ქართული ხალხური ხელოვნებისადმი, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოურის ქვეყნებში. არ უყოფია საქართველოში ჩამოსული საზარდაგრეთვე ხელოვნათა არტერიი დღედაღამ, ქართული პროფესიული შემოქმედებისთან ერთად არ დაინტერესებულყო ხალხური მუსიკით, რომელსაც მუდამ აღტაცებანი მოჰყავს ისინი. ცნობილია, თუ რა წარუშლელი მთავებდობება მოახდინა სტურბერგე ამირჯანისის შვიტი მუსიკალური განახლებული ახალგაზრდა მომღერალი ანასტასიის „გარდღლას“ შიერ შესრულებულმა ქართულმა საკალოებებმა და ხალხურმა სიმღერებმა.

საქართველოში XIX საუკუნის დაწლებიდან დაწებულად განსაკუთრებით კი საბჭოთა ხელოვნების დაყარების ადგენა დიდი მუშაობა ტარდება ქართველი უსაბლოური ფოლკლორის შესწავლად, მის აღზადნებად. ჩვენი სპეკიალიზიტების მთავარწიული ნაყოფები შობა ადგებად უკანასკნელ წლებში გამოცემული ხალხური სიმღერების კოლექციები, მონათხადებული პროფ. გ. ჩხიკვაძის, მუსიკისმცოდნეობის ვ. ახობისა და თ. ჩიკვაძის შიერ.

